ონლაინ არქეოლოგია

№ 17 2020

Online Archaeology

***რედაქტორი* - ნიკოლოზ ანთიძე**

სარედაქციო კოლეგია:

კონსტანტინე ფიცხელაური

დავით ლომიტაშვილი

ნიკოლოზ თუშაბრამიშვილი

ზურაბ გიორგაძე

ნიკოლოზ მურღულია

***კოორდინატორი და სტილისტური რედაქტორი* -** მაია ჩოლოყაშვილი

***კორექტორი* –** თეა ქაშაკაშვილი

ინგლისური თარგმანი - ნინო გაბუნია

Editor – Nikoloz Antidze

Editorial Board:

Konstantine Pitskhelauri

David Lomitashvili

Nikoloz Tushabramishvili

Zurab Giorgadze

Nikoloz Murghulia

Coordinator and stylisc editor - Maya Cholokhashvili

Proofreader - *Thea Kashakashvili*

English translation - *Nino Gabunia*

ISSN 2587-4608 9772587460003

2020

რედაქციისგან:

რედაქცია, შესაძლოა, არ იზიარებდეს ჟურნალში განთავსებულ სამეცნიერო სტატიებში გამოთქმულ ზოგიერთ მოსაზრებას, მაგრამ "ონლაინ არქეოლოგია" შეუფერხებლად გამოაქვეყნებს ამგვარ წერილებსაც და, შესაბამისად, ღიაა პოლემიკისთვის.

From the editorial team:

Editorial, perhaps, does not share some opinions expressed in sciebtific articles in the magazine, but "Online Archaeology" publishes such letters and there fore it is open to discussions.

სარჩევი / CONTENTS

7 ბლიც-ინტერვიუ

არქეოლოგ გურამ ყიფიანთან

10 BLITZ-INTERVIEW

with Guram Kipiani

12 არქეოლოგიური დაიჯესტი

ცვანე - ივნისი - 2019

ოძრხე - ივნისი - 2019

ითხვისი - ივნისი - 2019

საფუზვრები - ივლისი - 2019

გუდაბერტყა - ივლისი - 2019

გრაკლიანი გორა - ივლისი - 2019

დიდნაური - ივლისი - 2019

ჭაქვინჯა - ივლისი - 2019

გელათი - ივლისი - 2019

დედოფლის გორა - აგვისტო - 2019

ხუნწი - აგვისტო - 2019

სამშვილდე - სექტემბერი - 2019

კაზრეთი - სექტემბერი - 2019

ნოქალაქევი - სექტემბერი - 2019

16 ARCHAEOLOGICAL DIGEST

Akhalsheni – August – 2020

Didnauri – July – 2020

Samshvilde – July – 2020

Khvamli – August – 2020

Itkhvisi – August – 2020

Gudabertka – September – 2020

Abuli – September – 2020

სარჩევი / CONTENTS

20 ახალი არქეოლოგიური აღმოჩენა

მტკვარ - არაქსის კულტურა ქსანში **- დავით სულხანიშვილი**

22 NEW ARCHAEOLOGICAL DISCOVERY

Kura-Araxes Culture in Ksani *- David Sulkhanishvili*

24 სტატიები

ციგა, ციგაობა, ციგურებთან დაკავშირებულ სპორტულ სახეობათა და ტერმინთა წარმომავლობის საკითხები და მათი არქეოლოგიურ-ისტორიული მიმოხილვა *- გურამ ჩიქოვანი*

მოდინახეს სამაროვანზე აღმოჩენილი საკინძების კლასიფიკაციისთვის *- ნანა კაპანაძე*

40 ARTICLES

For the Classification of the Pins Discovered at Modinakhe Cemetery *- Nana Kapanadze*

46 თვალსაზრისი

ნაოსნობა საქართველოში **- ნიკოლოზ თუშაბრამიშვილი**

54 VIEWPOINT

Navigation in Georgia - Nikoloz Tushabramishvili

58 გაიცანით საქართველო

ბაღდათი – ორი ციხის ამბავი *- თეა ქაშაკაშვილი*

66 GET TO KNOW GEORGIA

BAGHDATI – A TALE OF TWO CASTLES *- Thea Kashakashvili*

სარჩევი / CONTENTS

70 რეპორტაჟი გათხრებიდან

ლეგენდების ლეგენდარული სიმაგრე *– ბორის გელაშვილი*

77 REPORTAGE FROM EXCAVATIONS

LEGENDARY FORTRESS OF LEGENDS *– Boris Gelashvili*

81 მუზეუმები და არტეფაქტები

ნოქალაქევის არქეოლოგიური მუზეუმი *– დავით ლომიტაშვილი*

Nokalakevi Archaeological Museum *– David Lomitashvili*

92 საეტაპო ძეგლები

ჭაქვინჯა *- ნიკოლოზ მურღულია*

96 LANDMARK MONUMENTS

CHAKVINJA *– Nikoloz Murghulia*

99 COVID 19-ის გამოწვევა და ონლაინ სეზონი - 2020

ნოქალაქევის ქართულ-ინგლისური არქეოლოგიური

ექსპედიციის 20 წლის იუბილე ***- ნიკოლოზ მურღულია***

104 20TH ANNIVERSARY OF GEORGIAN-BRITISH ARCHAEOLOGICAL

Expedition of Nokalakevi and the Online Season –

2020 *- Nikoloz Murghulia*

107 მეცნიერი, მეგობარი, კოლეგა...

გურამ გრიგოლია – ***ვახტანგ ჯაფარიძე***

111 SCIENTIST, COLEGE, FRIEND...

Guram Grigolia *– Vakhtang Japaridze*

ბლიც-ინტერვიუ არქეოლოგ გურამ ყიფიანთან

არქიტექტურა და არქეოლოგია, არქიტექტურა არქეოლოგიაში, არქეოლოგია არქიტექტურულ ჭრილში - ამ მცნებათა სინთეზი საქართველოს არქეოლოგიურ ნარატივში მჭიდროდ არის დაკავშირებული გურამ ყიფიანის სახელთან. ბატონ გურამს მიაჩნია, რომ არქიტექტურა არქეოლოგიის გრამატიკაა, თავდაპირველად იქმნება სივრცე და მხოლოდ შემდეგ მზადდება ნებისმიერი ნაწარმი.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრულ პროფესორს, ბატონ გურამ ყიფიანს 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული. მან უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე (1972 წ.) დაიწყო მუშაობა არქეოლოგიურ ექსპედიციებში (1973 წ.). 1992 წლიდან გახლდათ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო საკითხებში. 1997 წლიდან კი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მცხეთის არქეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე იმავე პროფილით.

1992 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „კოლხეთისა და იბერიის წარმართული ტაძრები და ქართული ქრისტიანული არქიტექტურის წარმოშობის საკითხები“.

გურამ ყიფიანი - გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის სტიპენდიანტი, კაიროს უნივერსიტეტის კურსდამთავრებული (კურსი: „არქეოლოგია, ძეგლთა რესტავრაცია, სამუზეუმო საქმე“), გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტისა და კალსრუეს უნივერსიტეტის მომხსენებელი (თემა - „ანტიკური კლდოვანი არქიტექტურის შესწავლის პრობლემები“) დღეს „ონლაინ არქეოლოგიის“ ბლიც-ინტერვიუს რესპოდენტი გახლავთ.

- გურამ ყიფიანი და არქეოლოგია, როდის და როგორ გადაიკვეთა თქვენი გზები?

- ეს ძალიან ადრე მოხდა, მაშინვე, როგორც კი გავაცნობიერე, რომ არქიტექტურა არქეოლოგიის გრამატიკაა. უბრალო და მარტივია - ადამიანი ჯერ ქმნის სივრცეს და შემდგომ ამ სივრცეში ეწევა ნივთიერ წარმოებას, ვთქვათ, აწარმოებს კერამიკას და სხვ. თუ ჩვენ გადავშლით არქეოლოგიის ნებისმიერ სახელმძღვანელოს, ნებისმიერი ასაკობრივი ჯგუფისთვის, გავიგებთ, რომ ქვეყნების არქეოლოგია მათი არქიტექტურით იწყება, ანუ ეგვიპტური არქეოლოგია იწყება ეგვიპტური არქიტექტურით, ისევე, როგორც სუმერის სუმერულით, ასურული - ასურულით, ასევე ელამის, ბაბილონეთის ხეთასი, და ა. შ. აღარაფერს ვამბობ კლასიკურ არქეოლოგიაზე.

- რა მოგცათ სტუდენტობის წლებმა?

- სტუდენტობის წლებმა მასწავლა გრაფიკა, არქიტექტურის ისტორია, თეორია და სხვ. შემძინა მეგობრები.

- ვის მიიჩნევთ პედაგოგებად?

- ოთარ ლორთქიფანიძეს, ირაკლი ციციშვილს, პარმენ ზაქარაიას, გიორგი ლეჟავას, ალექსანდრე (ლალი) ჯავახიშვილს და სხვ.

– რომელი არქეოლოგიური გათხრები იყო ყველაზე საინტერესო და დასამახსოვრებელი თქვენთვის?

– ვანის არქეოლოგიური ექსპედიცია. მიმაჩნია, რომ ეს იყო სისტემა, რომელიც სპეციალისტებსა და ადამიანებს ზრდიდა.

– „წმიდა ნინო და ძველი საქართველოს დედაქალაქი“, „ვარძია“, „მესხური საცხოვრისი“, „კოლხეთისა და იბერიის წარმართული ტაძრები და ქართული ქრისტიანული ხუროთმოძღვრების წარმოშობის საკითხები“, უფლისციხის ორსვეტიანი დარბაზის ხუროთმოძღვრული კომპლექსი“, „კაპიტელები“ და სხვ. ეს თქვენი შრომების მცირე ჩამონათვალია. დღეს სამეცნიერო მოღვაწეობის რა ეტაპზე ხართ და რომელი სამეცნიერო სიახლით გაამდიდრებს გურამ ყიფიანი თანამედროვე ქართულ არქეოლოგიას?

– დასაბეჭდად რამდენიმე ნაშრომი მაქვს გამზადებული: „არმაზი და მცხეთა, ღვთაებანი და მეფენი“, „არქიტექტურა, დრო და ქრონოლოგია“, ვამთავრებ ნაშრომს – „ძველი სამყაროს არქიტექტურის ლექსიკონი და ცნობარი“ და სხვ.

– ერთ-ერთი ონლაინ ლექციის დროს ძალიან საინტერესო ფრაზას ამბობთ, “არქეოლოგიას, იმის გარდა, რომ უამრავი საკაცობრიო მიზანი აქვს, აქვს ერთი არსებითი მიზანიც: არქეოლოგია ის მეცნიერებაა, რომელიც მოწოდებულია დაარღვიოს სტერეოტიპი, ერთხელ ნათქვამი და გაზიარებული, რადგან სხვა შემთხვევაში მეცნიერება ვერ განვითარდება და თავის არსებობას ადრე თუ გვიან შეწყვეტს“. ითქმის თუ არა ეს საქართველოს არქეოლოგიის შესახებ?

– ყოველივე ზემოთქმული სწორედ საქართველოს ეხება. შემიძლია დავამატო, რომ საქართველოს ისტორია თავიდან არის დასაწერი.

– თქვენი აზრით ახალგაზრდა არქეოლოგთა როგორი თაობა მოდის? გურამ ყიფიანის გზავნილი მათ?

– მშვენიერი ახალგაზრდა თაობა მოდის, მაგრამ, ეს „მშვენიერება“ შეიძლება ძალიან სწრაფად გაქრეს თუ მათი შეგნებიდან გაქრება „წიგნის კულტურა“.

არქეოლოგია, ჩემი აზრით, გახლავთ პირველსავე ცხოვრებაში ნაბოძები მეორე სიცოცხლე ჩვენთვის, განგების მიერ გზავნილი სიკეთე კი განათლებაა. არქეოლოგი უპირველესად ერუდიტი უნდა იყოს, გაუნათლებელი არქეოლოგი ისევე ანგრევს ქვეყანას, როგორც ეგზალტირებული „პოლიტიკოსი“.

ბლიც-ინტერვიუ მიჰყავდა თეა ქაშაკაშვილს

Blitz-Interview with Guram Kipiani

Architecture and archaeology, architecture in archaeology, archaeology seen through architecture – synthesis of these concepts in the narrative of Georgian archaeology is closely related to the name of Guram Kipiani. Mr. Kopiani believes that architecture is the grammar of archaeology – at first the space is created and only following that any item is produced.
Professor of the Faculty of Architecture of the Georgian Technical University and full professor of the Ilia State University, Mr. Kipiani has published over 200 scientific works. On graduating the university (1972), he immediately started working in archaeological expeditions (1973). Since 1992 he was the deputy director for science of the State Museum of Fine Arts, while since 1997 he has been the deputy director of the Mtskheta Archaeological Institute of the Georgian Academy of Sciences.
In 1992 he defended doctoral dissertation and his thesis was "Pagan Temples of Colchis and Iberia and Problems of Origin of Georgian Christian Architecture".
Guram Kipiani – scholarship holder of the German Institute of Archaeology, Cairo University graduate (course: 'Archaeology, Monument Restoration, Museum Studies'), reporter of the German Institute of Archaeology and Karlsruhe University (topic – 'Problems of Research of Antient Rock Architecture') is the respondent of the blitz-interview of 'Online Archaeology' today.

– Guram Kipiani and archaeology, when and how did your roads intersect?

– It happened long ago, immediately as I realized that architecture is the grammar of archaeology. It is very simple – the human first creates the space and then starts producing objects there, say, pottery, etc. If we open any textbook of archaeology designed for any age-group, we will find out that archaeology of the countries begins with their architecture; in other words, Egyptian archaeology begins with Egyptian architecture, as well as Sumerian – with Sumerian, Assyrian – with Assyrian, that of Elam, Babylon, etc., Classical archaeology goes without saying.

– What did student years give you?

– Student years taught me graphics, history and theory of architecture, I also made friends.

– Who do you consider to be your teachers?

– Otar Lordkipanidze, Irakli Tsitsishvili, Parmen Zakaraia, Giorgi Lezhava, Alexander (Lali) Javakhishvili, etc.

– Which archaeological excavations were most interesting and memorable for you?

- Vani archaeological expedition. I think it was a system that brought up specialists and persons.

- 'Saint Nino and the Capital of Ancient Georgia', 'Vardzia', 'Meskhetian Dwelling', 'Pagan Temples of Colchis and Iberia and Problems of Origin of Georgian Christian Architecture', 'Architectural Complex of the Two-Column Hall of Uplistsikhe;, 'Capitals', etc. It is a short list of your works. What stage of scientific activity are you on today and what scholarly novelty will Guram Kipiani enrich modern Georgian archaeology with?

- I have a few works prepared for publishing: 'Armazi and Mtskheta, Deities and Kings', 'Architecture, Time and Chronology', I am working towards finalization of the work 'Architectural Dictionary and Directory of the Ancient World', etc.

- During one of your online lectures you mention an interesting phrase: 'Apart from a lot of panhuman objectives, archaeology has one essential aim: it is a field of science which is inclined to break stereotypes, once stated and shared; otherwise science would be unable to develop and will cease to exist at some point". Can it be said about Georgian archaeology?

- All the above-mentioned refers to Georgia. I can add that the history of Georgia must be written anew.

- What is your opinion about the new generation of archaeologists? What is your message to them?

- We have a perfect new generation, but this 'perfectness' can vanish soon if the 'culture of book' vanishes from their consciousness.

In my opinion, archaeology is the second life granted to us during our first life, while the virtue sent to us from heavens is education. An archaeologist, first, must be an erudite, because an ignorant archaeologist leads to the destruction of the country in the same way as an exalted 'politician'.

Blitz-interview conducted by Thea Kashakashvili

ახალშენი - აგვისტო - 2020

სასიმაგრო სისტემა და სამეურნეო კომპლექსი. საერთო ხედი.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით, 2020 წელს არქეოლოგიური სამუშაოები ხორციელდება სოფ. ქვემო ახალშენის (თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი) ტერიტორიაზე (ხელმძღვ. გოდერძი ნარიმანიშვილი).

აქ არქეოლოგიური სამუშაოები 2018 წელს დაიწყო და 2019 წელსაც გაგრძელდა. გათხრების შედეგად გამოვლენილია განვითარებული შუა საუკუნეების ნაგებობები და არტეფაქტები.

კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე, ტერიტორია ოთხ უბნად დაიყო:

I უბანი -ახალშენის ხევის მარჯვენა ნაპირი, სადაც განლაგებულია ორი ეკლესია. აქ შეინიშნება ნაგებობათა ნაშთები, ყორე ზღუდეები და კედლები, დაფიქსირებულია მარანი, საწნახელი და საქაჯავი;

II უბანი - ხევის მარცხენა ნაპირზე, თანამედროვე სოფლის ტერიტორიაზე გამოვლენილია ბრინჯაოსა და ანტიკური ხანის სამაროვანი;

III უბანი - I უბნის სამხრეთით დადასტურებულია ძველი დასახლება, რომელიც თავდაცვითი კედლით ყოფილა შემოზღუდული;

IV უბანი - კედლის აღმოსავლეთით გაუმაგრებელი დასახლება.

2020 წლის სამუშაოების მიზანია ნამოსახლარის არქეოლოგიური კვლევა, ცენტრალური და შიდა გზების გაწმენდა ბუჩქნარისგან; გზის სავალი ნაწილის არსებული ზედაპირიდან გრუნტის მოხსნა და ავთენტური ნიშნულის გამოვლენა; სასიმაგრო სისტემის ჩრდილო-დასავლეთი და სამხრეთი კედლების გათხრა.

დიდნაური - ივლისი - 2020

დიდნაურის“ სამაროვანზე აღმოჩენილი მცირე ზომის ყორღანი

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით, 2020 წელს არქეოლოგიური სამუშაოები ხორციელდება „დიდნაურის“ ნაქალაქარსა და სამაროვანზე (დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი) (ხელმძღვ. კიაზო (კონსტანტინე) ფიცხელაური).

სპეციალისტთა დაკვირვებით, ივრის ზეგანზე 2014 წელს აღმოჩენილი დიდი

ქალაქი ქ.წ. IX საუკუნეში მძლავრი მიწისძვრის შედეგად არის განადგურებული, რაც აქ არქეოლოგიური სამუშაოების განსაკუთრებულ პერსპექტიულობაზე მიუთითებს. აღმოსავლეთ საქართველოში ამ აღმოჩენების პროგრამული კვლევა სამხრეთ კავკასიისა და შესაძლოა, მთელი მახლობელი აღმოსავლეთის მასშტაბითაც, წარსულის ფუნდამენტური პრობლემის ახლებური გააზრების საფუძვლადაც კი იქცეს.

საანგარიშო წელს დიდნაურის ნაქალაქარის ჩრდილოეთით არსებული სამაროვნის აღმოსავლეთი ნაწილის ჰუმუსი მოიხსნა (სიღრმით 0,1 მ), გაითხარა სამაროვნის აღმოსავლეთი ნაწილი, განხორციელდა კულტურული ფენის პრეპარაცია.

დიდნაურის ნაქალაქარის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილზე, 3 შესასწავლ მონაკვეთზე მიმდინარეობს არქეოლოგიური გათხრები.

სამშვილდე - ივლისი - 2020

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით, 2020 წელს არქეოლოგიური სამუშაოები ხორციელდება სამშვილდის ნაქალაქარზე (თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი) (ხელმძღვ. დავით ბერიკაშვილი).

მიმდინარე წლის გეგმით გათვალისწინებული სამუშაოების შედეგები მნიშვნელოვანი იქნება, ვინაიდან განისაზღვრება ნაქალაქარის ციტადელის ჩრდილო-აღმოსავლეთ მონაკვეთში მდებარე ნაგებობის ფუნქცია და პარამეტრები; დადგინდება ციტადელში შემავალი, 2019 წელს აღმოჩენილი ტალანისებური შესასვლელის კავშირი ციტადელის შიგნით მდებარე ნაგებობასთან; ციტადელის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში შესწავლილი ნაგებობების საშუალებით მომზადდება საკონსერვაციო-სარეაბილიტაციო პროექტი; გამოვლენილი არქეოლოგიური მასალა დამატებითი წყარო იქნება ციტადელის ქრონოლოგიის, სტრატიგრაფიისა და სხვადასხვა პერიოდის კულტურების განსაზღვრისთვის.

ხვამლი - აგვისტო - 2020

გალავნის კარიბჭე

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით, 2020 წელს არქეოლოგიური სამუშაოები ხორციელდება ხვამლის წმინდა გიორგის ეკლესიის ტერიტორიაზე (ცაგერის მუნიციპალიტეტი) (ხელმძღვ. დავით სულხანიშვილი). გათხრები მიმდინარეობს ეკლესიის გალავნისა და მთავარი კარიბჭის გარშემო. ხვამლის წმინდა გიორგის ეკლესიის ტერიტორიაზე, გალავნისა და კარიბჭის გარშემო ტერიტორია გაიწმინდა არქეოლოგის ზედამხედველობით. ეკლესიის წრიული ბაქნის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ნაგებობების ნაშთებზე მოიხსნა ჰუმუსი, ფართობით 20X15X0.3 მ^3. აქ განხორციელდება გაწმედნილი ტერიტორიისა და მასზე არსებული ობიექტების ფიქსაცია და ფოტოვიზუალიზაცია.

ითხვისი - აგვისტო-2020

2019 წელს გამოვლენილი გვიან ელინისტური ხანის ნაგებობა

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით, 2020 წელს არქეოლოგიური სამუშაოები ხორციელდება ითხვისის „ნაქალაქარის“ ტერიტორიაზე (ჭიათურის მუნიციპალიტეტი ხელმძღ. ზურაბ ბრაგვაძე).

გათხრები მიმდინარეობს ნაქალაქარის ტერიტორიაზე, მის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში. ნაქალაქარი შეისწავლება არქეოლოგიურად, ხორციელდება ფენების პრეპარაცია; ნაქალაქარის დასავლეთით 300 მ მანძილზე, ადგილ „ნაციხარზე“, სამაროვნის ტერიტორიაზე ჰუმუსი მოიხსნა 0.2 მ სიღრმეზე; მიმდინარეობს ადგილ „ნაციხარზე“ მდებარე სამაროვნის კულტურული ფენის პრეპარაცია. განხორციელდება გამოვლენილი ნაგებობებისა და სამაროვნის ნაწილობრივი კონსერვაცია.

სამუშაოთა მიმდინარეობისას გამოვლენილი არქეოლოგიური ობიექტები და არქეოლოგიური მასალა სათანადოდ იქნება დაცული დაზიანებისგან, განადგურებისა და დაკარგვისგან, ასევე გარემო პირობებისა და სხვა არასასურველი ზემოქმედებისაგან.

გუდაბერტყა - სექტემბერი - 2020

ბრინჭაოს ნივთების ჩამოსასხმელი კომბინირებული ყალიბი

ბრინჭაოს დიადემა

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით, 2020 წელს არქეოლოგიური სამუშაოები ხორციელდება გუდაბერტყას ნამოსახლარზე (გორის მუნიციპალიტეტი) (ხელმძღვ. გიორგი მინდიაშვილი). დიდი სამეცნიერო ინტერესის პარალელურად, გუდაბერტყას არქეოლოგიური გათხრების მიზანია ძეგლის ტურისტულ ობიექტად ჩამოყალიბება.

2020 წლის სამუშაოები გულისხმობს: პავილიონთან (სამუშაო ტერიტორია) მისასვლელისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის მოწესრიგებას; 150 $მ^2$ ფართობის პრეპარირებას, გამოვლენილი ობიექტების აზომვითი ნახაზების გაკეთებას, ფოტო და აღწერილობით ფიქსაციას; მოპოვებული არტეფაქტებისა და საანალიზე ნიმუშების წინასწარულ დამუშავებას, აღრიცხვასა და დროებით შესანახად მიბარებას სერგი მაკალათიას სახელობის გორის ისტორიულ–ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

აბული - სექტემბერი - 2020

1. აბული. ციტადელის საერთო ხედი.

2. აბული. კომპლექსის საერთო ხედი.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაფინანსებით, 2020 წელს არქეოლოგიური სამუშაოები ხორციელდება აბულის, შაორის (ნინოწმიდის მუნიციპალიტეტი), ბეშთაშენის, სამების და ვრანლოს (წალკის მუციპალიტეტი) მეგალითურ კომპლექსებზე (ხელმძღვ. დიმიტრი ნარიმანიშვილი).

მიმდინარე წელს სამუშაოები ტარდება ორ ეტაპად.

პირველი ეტაპი: მიმდინარეობს ავრანლოს ციტადელის შიდა სივრცეში, კარიბჭის სამხრეთ-დასავლეთით, 2019 წელს გამოვლენილი კულტურული ფენების გათხრა 12X10 მ ფართობზე და კულტურული ფენის პრეპარაცია; ბეშთაშენის ციკლოპური სიმაგრის LXVII - LXIX ნაკვეთებში მიწა იხსნება ჰუმუსის 12მX8მX1.8 მ სიღრმეზე; სიმაგრის LXVII - LXIX ნაკვეთებში მიმდინარეობს არქეოლოგიური გათხრები.

12X8 მ ფართობზე მოხდება კულტურული ფენის პრეპარაცია და დასრულდება სამების ციკლოპური სიმაგრის ტერიტორიაზე 2019 წელს გამოვლენილი სათავსის არქეოლოგიური შესწავლა.

მეორე ეტაპზე აბულის ციტადელის შიდა სივრცის ცენტრალურ ნაწილში მოიხსნება ჰუმუსი 3.0X5.0 მ ფართობზე, სიღრმით 0,2 მ; დაგეგმილია აბულის ციტადელის შიდა სივრცის ცენტრალურ ნაწილის (3,0მX5.0 მ) ფართობის გათხრა, კულტურული ფენის პრეპარაცია; აბულის ციკლოპური კომპლექსის ჩრდილო-აღმოსავლეთით ფოკა-აბულის გზის პირას მდებარე ყორღანზე (20მX15მX0.3მ) მოიხსნება ჰუმუსი. გაითხრება აბულის ციკლოპური კომპლექსის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ფოკა-აბულის გზის პირას მდებარე ყორღანი (20მ X 15მ), შაორის მეგალითური კომპლექსის ქვედა დასახლების სიახლოვეს არსებული მცირე ყორღანზე ჩატარდება არქეოლოგიური გათხრები. მოხდება 20მX20მ ფართობზე გამოვლენილი კულტურული ფენის პრეპარაცია.

1. შაორი. სარიტუალო გზა.



2. შაორი. ცენტრალური სიმაგრე.

Akhalsheni, August, 2020

Funded by the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia, in 2020 archaeological works are conducted on the territory of Village Kvemo Akhalsheni (Tetritskaro Municipality) (leader: Goderdzo Narimanishvili).

Archaeological works started here in 2018 and they were resumed in 2019. The excavations revealed structures and artifacts of high medieval period.

Resulting from the specificity of research, the territory was divided into four plots: plot I – the right bank of the Akhalshenis Valley, where two churches are situated. Here are remains of structures, dry stone walls, as well as a wine cellar, winepress, etc.; plot II – on the left bank of the valley, on the territory of the modern village a cemetery of the Bronze and Classical epoch; plot III – south of plot I an ancient settlement was evidenced which had been surrounded with a defensive wall; plot IV – an unfortified settlement east of the wall.

The aim of works to be conducted in 2020 is to carry out archaeological investigation of the settlement-site, clean the central and internal roads from undergrowth; remove the ground layer from the surface of the carriageway and reveal the authentic benchmark; excavate north-west and south walls of the fortification system.

Didnauri – July – 2020

Funded by the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia, in 2020 archaeological works are carried out on 'Didnauri' city-site and cemetery (Dedoplistskaro Municipality) (leader: Kiazo (Konstantine) Pitskhelauri).

As the specialists observed, the vast city discovered on Iori Plateau in 2014 was destroyed in the ninth century BC as a result of a strong earthquake, which means that it is necessary to conduct long-term archaeological works in the area. The programmed research of these discoveries in eastern Georgia could provide basis for the novel conceptualization of the fundamental problem of the past not only in South Caucasus

but, probably, throughout the Near East.

During the year under review the humus layer of the eastern part of the cemetery situated north of Didnauri city-site was removed (0.1 m deep), eastern part of the cemetery was excavated, preparation of the cultural layer was carried out.

Archaeological excavations are underway on three plots to be examined in the north-west part of Didnauri city-site.

Samshvilde – July – 2020

Funded by the National Agency for Cultural heritage Preservation of Georgia, in 2020 archaeological works are carried out at Samshvilde city-site (Tetritskaro Municipality) (leader: Davit Berikashvili).

The outcomes of the works considered in the plan of the current year will be very important, because function and parameters of the structure situated in the north-eastern part of the citadel of the city-site will be defined; correlation between the passage discovered in 2014 and leading to the citadel and the structure situated inside the citadel will be identified; a conservation-rehabilitation project will be prepared on the basis of the constructions investigated in the north-eastern part of the citadel; the revealed archaeological material will be an additional source for determining the chronology, stratigraphy and cultures of different periods.

Khvamli – August – 2020



Funded by the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia, in 2020 archaeological works are carried out on the territory of the church of St. George of Khvamli (Tsageri Municipality) (leader: Davit Sulkhanishvili). The excavations are taking place around the fence of the church and its main gate. The territory around the fence and the main gate of the church of Saint George of Khvamli was cleaned under the supervision of an archaeologist. The humus layer on the remains of the structures situated on the area of 20 x 15 x 0.3m3 adjacent to the circular platform of the church was removed. Fixation and photo-visualization of the cleaned territory and the features present on them will be conducted.

Itkhvisi – August – 2020

Funded by the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia, in 2020 archaeological works are carried out on the territory of Itkhvisi 'city-site' (Chiatura Municipality) (leader: Zurab Bragvadze).

The excavations are taking place on the territory of the city-site, in its north-eastern part. The city-site is being explored archaeologically, preparation of the strata is taking place; the humus layer on the territory of the cemetery, 300 meters west of the city-site, on location called 'Natsikhari', has been removed at a depth of 0.2m; preparation of the cultural layer of the cemetery situated on location 'Natsikhari' is underway. Partial conservation of the revealed structures and cemetery is intended to be carried out.

The archaeological sites and material revealed in the process of works will properly be protected from damage, destruction and loss, as well as from the environmental conditions and undesirable effects.

Gudabertka – September – 2020

Funded by the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia, in 2020 archaeological works are conducted at the settlement-site of Gudabertka (Gori Municipality) (leader: Giorgi Mindiashvili). Alongside intense scholarly interest, the aim of the archaeological excavations of Gudabertka is to arrange the monument as a tourist site.

The works to be carried out in 2020 include: to organize the access road to the pavilion (working area) and its adjacent territory; to do preparation work on the area of 150 sq. m, do measured drawings, photo and descriptive fixation of the revealed features; conduct preliminary treatment and registration of the obtained artifacts and samples for testing and to deposit them at Sergi Makalatia Historical-Ethnographical Museum of Gori for temporary protection.

Abuli – September – 2020

Funded by the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia, in 2020 archaeological works are conducted at the megalithic complexes of Abuli, Shaori (Ninotsminda Municipality), Beshtasheni, Sameba and Vranlo (Tsalka Municipality) (leader: Dimitri Narimanishvili).

In the current year works are carried out in two stages.

Stage one: in the inner area of Avranlo Citadel, south-west of the gate, excavations of the cultural layers revealed in 2019 and preparation of the cultural layer are taking place over the area of 12 x 10m; in plots LXVII-LXIX of Beshtasheni cyclopean fortress the humus layer is removed over the area of 12 x 8 m at a depth of 1.8 m; in plots LXVII-LXIX of the fortress archaeological works are underway.

On the area of 12 x 8 m the preparation of the cultural layer will take place and archaeological investigation of the room revealed on the territory of cyclopean fortress of Sameba in 2019 will be finished.

Stage two: the humus layer over an area of 3.0 x 5.0 m at a depth of 0.2 m will be removed in the central part of the inner area of Abuli citadel; it is planned to excavate the area (3.0 x 5.0 m) and carry out preparation of the cultural layer in the central part of the citadel of Abuli; the humus layer (20m x 15 m x 0.3 m) will be removed on the kurgan situated on the side of the Poka-Abuli road, north-east of the cyclopean complex of Abuli; the kurgan (20m x 15 m) located on the side of the Poka-Abuli road north-east of the cyclopean complex of Abuli will be excavated; archaeological excavations will be carried out on the minor kurgan situated near the lower settlement of Shaori megalithic complex; preparation of the cultural layer revealed over the area of 20m x 20m will take place.

მტკვარ - არაქსის კულტურა ქსანში

ქსნის ხეობას საქართველოსთვის ყოველთვის საინტერესო პოლიტიკური თუ სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. ეს მხარე მართლაც უმდიდრესია ისტორიული ძეგლებითა თუ არქეოლოგიური აღმოჩენებით, ამიტომ, ცოტა რთულია რაღაც განსაკუთრებულისა და ახლის ძიება აქ.

და მაინც, არსებობს მოულოდნელობა... ხშირად განსაცვიფრებელი და, რაც მთავარია, საინტერესო, რადგან ისტორიის თანამედროვე ჭრილში წაკითხვის ახალ შესაძლებლობებს იძლევა.

ყველაფერი დაიწყო იმით, რომ სოფელ ქსანთან დამაკავშირებელი გზების სარემონტო-სარეაბილოტაციო სამუშაოების დროს, მშენებლებმა თვითნებურად ჩამოჭრეს ფერდობი. ამ გაუაზრებელი ქმედების შედეგად დაზიანდა არქეოლოგიური ობიექტი, რომელიც მაშინვე დადასტურდა, რომ შეიცავდა მტკვარ-არაქსულ ფენებს. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლობამ (როგორც გენერალურმა დირექტორმა, ისე არქეოლოგიური და მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლებმა) ადგილზე შეისწავლა ვითარება. სააგენტოს დიდი ძალისხმევის შედეგად, მშენებლებმა შეაჩერეს სამუშაოები და 2020 წელს დააფინანსეს მცირე მასშტაბის არქეოლოგიური კვლევა.

2020 წლის საველე სეზონზე მშენებლების მიერ დაზიანებულ ტერიტორიაზე (30-32 კვ.მ ფართობი) იმუშავა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ დავით სულხანიშვილის ხელმძღვანელობით.

ქსნის ხეობაში შემთხვევით აღმოჩენილი ობიექტი არქეოლოგ დავით სულხანიშვილის დახასიათებით:

ობიექტი მტკვარ-არაქსის პერიოდის ნასახლარია, რაც სამეცნიერო თვალსზრისით სიახლეა, რადგან, მცხეთის რაიონში მტკვარ-არაქსის კულტურა ნაკლებად იყო გავრცელებული და თითქმის არ არის შესწავლილი. ის განფენილია უზარმაზარ ფართობზე. სერი, რომელსაც ქსნის ციხე დაჰყურებს, მთლიანად ნასახლარია. ძეგლი საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან, აქ დადასტურდა კერა, ბაქანი, ჭურჭლები და დაფიქსირდა ორი ჰორიზონტი. ობიექტის ხასიათის საბოლოოდ დასადგენად, საჭიროა დედაქანზე დასვლა. ამჟამად დადასტურებულია რამდენიმე პერიოდი - მტკვარ-არაქსი, გვიან ბრინჯაოს ხანა და შუა საუკუნეები, რაც ძეგლს რეგიონისთვის საეტაპო მნიშვნელობას ანიჭებს.

ამ მიდამოებში არქეოლოგიური გათხრები ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 70 -იან წლებში დაიწყო ცნობილმა არქეოლოგმა ალექსი ბოხოჩაძემ, რომელმაც შუა და გვიან ბრინჯაოს ეპოქების კულტურული ფენები დაადასტურა.

მტკვარ-არაქსის კულტურა მაშინ არ დადგინდა, ის მხოლოდ ახლა გამოვლინდა, საკმაოდ მძლავრი და თვალსაჩინო ფენებით. სამწუხაროდ, ეროზიული პროცესების შედეგად არქიტექტურა დანგრეულია და მშენებლების ჩარევით, კედლები თითქმის მოხსნილია. მაგრამ, ისიც ძალიან საინტერესოა, რაც დარჩა. თუ რა ხდება შიგნით ამას მომავალი კვლევები გვაჩვენებს.

ქსნის ხეობაში შემთხვევით აღმოჩენილი ობიექტი არქეოლოგ ნიკოლოზ ჩადუნელის დახასიათებით:

ძეგლზე წარმოდგენილია მტკვარ-არაქსისითვის დამახასიათებელი თითქმის ყველა არტეფაქტი - კერა, ხელსაფქვავი, მტკვარ-არაქსული ჭურჭელი (სავარაუდოდ, მეორე საფეხურის, განვითარებული მტკვარ-არაქსის დროის), ქვის იარაღი, კაჟის ნამგლის ჩასართავები, ქვის საფხეკი და ა.შ. ერთი სიტყვით, ეს არის მრავალფენიანი ნამოსახლარი, რომლის ქრონოლოგიური ჩარჩო მტკვარ-არაქსიდან გვიან შუა საუკუნეებამდე გრძელდება.

სრულყოფილი სურათის მისაღებად საჭიროა ლაბორატორიული კვლევების ჩატარება, სამწუხაროდ, ამჟამად ამის საშუალება არ არის. რასაკვირველია, გამოსაკვლევია ძვლები, ნამგლის პირები, სამეურნეო ჭურჭელი, რათა დადგინდეს ზუსტად რა კულტურასთან გვაქვს საქმე, თუმცა, კვლევის გარეშეც ცალსახაა, რომ სახეზეა ორგანიკა.

რაც მთავარია, აუცილებელია დროული გადარჩენითი სამუშაოების ჩატარება, რადგან, გეოგრაფიული მდბარეობიდან გამომდინარე, შესაძლებელია, გეოლოგიურმა პროცესებმა კიდევ უფრო დააზიანოს ობიექტი და დღევანდელი სურათიც მთლიანად წაიშალოს.



Kura-Araxes Culture in Ksani

The Ksani Valley has always had interesting political and strategic importance. This area is rich in historical sites and archaeological discoveries. Therefore, it is hard to seek something special and new here.

And yet, there exists unexpectedness, often amazing and, what is more, interesting, as it provides possibility of reading history through the modern viewpoint.

It all began when, during maintenance and rehabilitation works carried out on the connecting roads near Village Ksani, the builders spontaneously cut a slope off. This witless action caused damage to an archaeological site which was immediately determined to contain Kura-Araxes layers. Representatives of the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia (the general director and the staff of archaeology and monitoring units) examined the situation in situ. As a consequence of great effort made by the agency, the builders suspended works and provided finances for small-scale archaeological research in 2020.

During the field campaign 2020, an archaeological expedition conducted works under the leadership of David Sulkhanishvili on the area (30-32 sq. m) damaged by the builders.

David Sulkhanishvili's description of the site accidentally discovered in the Ksani Valley:

It is a settlement-site of Kura-Araxes period, which is a novelty from the scholarly point of view, as Kura-Araxes culture did not use to be common in Mtskheta district and, accordingly, is hardly investigated. It is spread over a vast area – the hill which Ksani Castle overlooks used to be completely inhabited. It is an important site as it yielded a hearth, a platform, earthenware and, in addition, two horizons were registered. In order to identify the type of the site, it is necessary to go down to the bedrock. So far, several periods – Kura-Araxes, the Late Bronze and Middle Ages have already been evidenced, which gives the site landmark importance.

Archaeological excavations were conducted in the area by a renowned archaeologist Alexi Bokhochadze as early as in the 1970s, who evidenced cultural layers of the Middle and Late Bronze epochs here.

At the time Kura-Araxes culture was not identified, it was revealed only now with its intense and appreciable strata. Regrettably, as a result of erosive processes, the architecture is destroyed and, due to the interference of construction activities – the walls are almost completely removed. However, the surviving part is also very interesting and further investigation will uncover a lot of information.

Archaeologist Nikoloz Chaduneli describes the site accidentally discovered in the Ksani Valley:

The site represents almost all the artifacts typical of Kura-Araxes culture – a hearth, a quern, Kura-Araxes-type earthenware (presumably, of stage II), stone implements, flint sickle blades, stone scrapers, etc. In short, it is a multi-layer settlement-site whose chronological frame covers the period between Kura-Araxes culture and the late Middle Ages.

NEW ARCHAEOLOGICAL DISCOVERY

In order to receive a comprehensive picture, it is necessary to conduct laboratory research. Unfortunately, it is not affordable at present. Indeed, it is necessary to investigate the bones, the sickle blades, household utensils to estimate which culture we are dealing with. However, it is obvious without investigation that it is organika

Most importantly, it is necessary to conduct timely salvage operations because, resulting from the geographic position, there is likelihood that geological processes will cause further damage to the site and the present picture will be erased.

ციგა, ციგაობა, ციგურებთან დაკავშირებულ სპორტულ სახეობათა და ტერმინთა წარმომავლობის საკითხები და მათი არქეოლოგიურ-ისტორიული მიმოხილვა

გურამ ჩიქოვანი

საქართველო, ტერიტორიისა და მოსახლეობის სიმცირის მიუხედავად, სპორტული მიღწევებით არ ჩამოუვარდება გაცილებით დიდ და განვითარებულ ქვეყნებს. საქართველოს სპორტული წარმატებები, ქრონოლოგიურად ძირითადად მოიცავს ბოლო ერთ საუკუნეს, როცა ქვეყანაში შეიქმნა სპორტული საზოგადოებები, ფედერაციები და ქართველი სპორტსმენები ჩაებნენ რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში. XX-ს-ის 90-იანი წწ. I ნახევრიდან საქართველო, მსოფლიო სარბიელზე გამოდის როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა და აღწევს ახალ-ახალ წარმატებებს საერთაშორისო შეჯიბრებებსა და ოლიმპიურ თამაშებში. საქართველოში მეტ-ნაკლებად ვითარდება, როგორც ტრადიციული, ისე სპორტის ახალი სახეობები.

საქართველო გამორჩეულია არა მხოლოდ სპორტული მიღწევებით, არამედ სპორტის სხვადასხვა სახეობის აღმნიშვნელი სხარტი, მშობლიური ენის წიაღიდან ამოზრდილი ტერმინების სიმრავლით, რაც მიუთითებს საზოგადოების საყოფაცხოვრებო, სამეურნეო, სანადირო, საბრძოლო და სულიერი კულტურის მაღალ დონეზე. ქართული ენა მაგალითია საკუთარი შესაძლებლობის მაქსიმალური გამოვლენისა და სხვა ენებიდან ნასესხები ან კალკირებული ტერმინების ჰარმონიული ნაზავის. ეს ეხება არა მხოლოდ სპორტულ, არამედ უამრავ დარგობრივ ტერმინს, რომელთა შესწავლა ინტენსიურად მიმდინარეობდა და დღესაც გრძელდება. არქეოლოგიური, წერილობთი და ეთნოლოგიური მონაცემებით, ჯერ კიდევ წარმართული ხანის რელიგიური დღესასწაულებისადმი მიძღვნილი რიტუალები და ხალხური თამაშობები ვითარდებოდა და ადვილად მოერგო თანამედროვე სპორტულ სახეობებსა თუ მათ ამსახველ ტერმინებს. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ ქ.წ. 776 წელს საბერძნეთში, ქ. ოლიმპიაში დაწესდა ოლიმპიური თამაშები. ყოველი ახალი ოლიმპიურ თამაშები იმართებოდა 1417 დღის სხვაობით.

ქართული ტერმინები კარგად მოერგო სპორტის ისეთ მასობრივ და პოპულარულ სახეობებსაც, როგორებიცაა: ფეხბურთი, კალათბურთი, წყალბურთი, ჩოგბურთი ცხენბურთი და სხვ., მაგრამ, ისესხა ჰოკეი, ძიუდო, სამბო და რიგ სახეობათა ტერმინები, რომლებსაც ადგილობრივი ფესვები და ტრადიცია არ გააჩნია. ქართული ენა გამოირჩევა სპორტული ტერმინოლოგიის სისხარტით, მაგ.: როგორიცაა ბერძნული "Атлетика". თუ სლავურ ენებში რბენა-ხტომებს მოიცავს ტერმინი "Легкая атлетика", ხოლო სიმძიმების აწევას "Тяжелая атлетика". ქართულში სპორტის ეს სახეობები აღინიშნება ტერმინებით: მძლეოსნობა და ძალოსნობა. ასეთ საკითხებზე შეიძლება ბევრი ვიმსჯელოთ, მაგრამ ამჟამად განვიხილავთ სპორტის ისეთ სახეობებს, რომლებიც ცნობილია ტერმინებით: ციგაობა, ციგურებით ფიგურული სრიალი და ციგურებით სწრაფი გარბენა.

ციგაობა ზამთრის სპორტის სპეციფიური სახეობაა, რომელიც იმართება უხვთოვლიან, მაღალმთიან საკურორტო ადგილებში მოწყობილ, სპეციალურ, დაქანებულ ტრასებზე. მოციგავეთა პირველი შეკრება შედგა 1883 წელს შვეიცარიაში. 1913 წელს დრეზდენში შეიქმნა საერთაშორისო ფედერაცია, თუმცა, 1957 წელს ციგაობა გამოეყო ბობსლეისა და ტობოგანს და დაფუძნდა ციგაობის საერთაშორისო ფედერაცია (Federation Internatnationale de Luge de Course- FIL) და 1964 წლიდან ზამთრის ოლიმპიურ სახეობათა სიაშია. ამჟამად, ციგაობა იყოფა ოთხ სახეობად: 1. ციგით სწრაფი დაშვება

სპეციალურად მომზადებულ ტრასაზე - ციგა იმართება ზურგზე წოლით, ფეხებით წინ და ტანის მოძრაობით; 2. ნატურბანი (ბუნებრივი ტრასა) - ერთი ან ორ ადგილიანი ციგით კაცებში და ერთადგილიანით ქალებში; 3. ბობსლეი - სწაფი დაშვება მთიდან სპეციალურ ტრასაზე მართვადი ციგით; 4. სწრაფი დაშვება ციგაზე მიმაგრებული საჯდომით. ჩვენთვის საყურადღებოა პირველი სახეობა. საქართველოში სპორტული ციგაობის საწყისად ითვლება 1970 წელი. ბაკურიანში 1974 წლიდან მოქმედებს საერთაშორისო სტანდარტის საციგაო ტრასა (საქართველოს ციგაობის ეროვნული ფედერაცია არის FIL-ის წევრი. ამჟამად საქართველოს ციგაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტია ალექსი ქუმარიტაშვილი. სამწუხაროდ, ალექსის შვილი, ნოდარი 2010 წელს ტრაგიკულად დაიღუპა ტრასაზე ციგით დაშვებისას ვანკუვერიში, ოლიმპიურ თამაშებზე, რომლის გამოც, შეჯიბრების წესები შეიცვალა).

ციგა, ციგური ტერმინების წარმომავლობის საკითხი

ჩვენი აზრით, ტერმინი ციგა საინტერესო წარმომავლობისაა. ფორმის მიხედვით იკითხება, რომ ციგას აკეთებდნენ ბუნებრივად მოღუნული ხის საცურავებელ-სასრიალოსგან ან ასეთივე ფორმამიცემული რკინისგან. ორი ასეთი, ოვალურად ახრილცხვირიანი საცურავებელი და სახელური არის ციგის ძირითადი ნაწილი, დანარჩენი კი, ხელოსნის ან ციგის მფლობელის შესაძლებლობისა და გემოვნების მიხედვით კეთდებოდა. ქართულ წყაროებში, ციგა პირველად ნახსენებია საბას ლექსიკონში: მარხილი დიდი; ციგა – მცირე, ნალო – ეტლის მსგავსი, უთვალო, კაცთ ჩასაჯდომი თოვლზე. "მარხილი ეწოდების დიდსა და მანჯიკი-შედეგსა, ხოლო ციგა-უმცროსსა ყოველთასა" (სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული I. თბ., 1991; 444). საბა უფრო ფართოდ განმარტავს ურემთან მიმართებაში. "ურემი (17, 13 ესაია) ძნისა, შეშისა და მისთანათ საზიდავი. საბარო არს მცირე ურემი; ეტლი არს ურემსავით შემზადებული, ზედ საჩრდილობელი პატიოსანი კაცთა საჯდომი; მარხილი არს ურმის მსგავსი და უგოგორო, თოვლზე სათრევი; მანჯიკი არს მომცრო მარხილი და ციგა – პატარა მარხილი; ნალო არს მარხილი ეტლსავით შემზადებული, თოვლზე სათრევი, კაცთა საჯდომი; ფორანი-ბზის საზიდავი ურემი. ასევე; ციგა-მცირე მარხილი, მანჯიკი (სულხან-საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული II. თბ., 1993; 167, 337). საქართველოს მთიან რეგიონებში მარხილის სხვადასხვა სახეობა და ციგა გადაადგილებისა და ტვირთის საზომ ერთეულად გამოიყენებოდა. ორივე სახეობა სრიალს ემყარებოდა. ციგა თოვლიან დაფერდებაზე თავისით სრიალებდა, სწორ ადგილას კი, მას ადამიანი სწევდა. ციგა იყო მსუბუქი კონსტრუქციის 8-10 კგ-მდე. ერთ კაცს ციგით ხუთი "ჭვირთი" თივის, ათი "ჭვირთი" შეშის, ათი-თორმეტი "ჭვირთი" ფიჩხის მოტანა შეეძლო. ციგა, პირველ რიგში, თოვლიან ზამთარში ბავშვების გართობის საუკეთესო საშუალება იყო და დღესაც ასეა. თუმცა, ვგულისხმობ არა თანამედროვე მრავალფეროვან, გაუმჯობესებულ, არამედ ძველებურ ციგებს, რომლებსაც ხალხურ და ქართულ მწერლობა-პოეზიაში გარკვეული ადგილი უჭირავს. მე მრავალთაგან ორიოდე მაგალითს მოვიყვან: "შევებმებოდი მე ციგაში და ზედ მაჯდა გოგიელა, გადაბრუნდის ჩვენი ციგა- კოტრიელა, კოტრიელა (რ. ერისთავი). "მთელ ... ყურადღებას მაღალი სერიდან გოგო-ბიჭების ციგაობა და თოვლში კოტრიალი იპყრობდა (ა. ხახუტ.). ციგა განმარტებულია სხვადასხვა ლექსიკონში, რომელთაგან საყურადღებოა ენციკლოპედიური ლექსიკონი. "ციგა – ხელით სატარებელი ან ბავშვთა სასრიალო პატარა მარხილი; ციგაობა – ციგებით სრიალი თოვლზე; ციგებით შეჯიბრება (ალ. ელერდაშვილი, თბ., 2006). სინონიმთა ლექსიკონში: 1. ციგა-მანჯიკი, ჩანა, ლეკმარხილა, ლეკმარხილი ნალო. "ღვთისოს ხარები ება უღელში,

მარხილით ან მანჯიკით საქონლის საჭმელს ეზიდებოდა” (ვაჟა). 2. ციგურა-საგლინავი, სასრიალებელი. 3. ციგურაობა-ცურვა, სლიკინი “ჰა, ბიჭებო, მოდით, მომყეთ, ყველა თქვენი ციგითაო, მაღლობიდან დაბლობისკენ ვისლიკინოთ რიგითაო” (შ. მღვიმელი) (ალ. ნეიმანი; 1978). ციგა, ციგურები განმარტებული აქვთ პარონიმთა ლექსიკონში (შ. აფრიდონიძე და სხვ. 2004; 289). ციგასთან მიმართებაში საყურადღებოა ზემოაჭარული, ტაბახმელური დიალექტის მაგალითები მრავლობით რიცხვში; კიბიები (კიბეები), გზიები (გზები), თიები (მთები), ციგიები (ციგები) და ა. შ. (მ. კოჩალიძე. 2019; 15). ნაშრომში “სპორტის ტერმინები” განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ტერმინთა მართლწერის საკითხებზე: ციგა, საციგაო, ციგაობა, ციგურა, ციგურაობა, ციგურები (და არა კანკები), ციგურებით სწრაფი რბენა (ვ. დანელია და სხვ... თბ., 2018-2019). მკვლევართა აზრით სლავურ ენებში და მათ შორის რუსულში “სანი, სანკი” (მარხილი, ციგა) ეტიმოლოგიურად დაკავშირებულია გველთან, ვინაიდან, მათი საცურავებელ-სათრეველას კვალი მოძრაობისას ტოვებს გველის ტანის ფორმას. ციგები, ციგურები, მარხილები განსაკუთრებით პოპულარული იყო ევრაზიის ჩრდილოეთ ნაწილში



მცხოვრები ხალხებისთვის, ამიტომ ბევრ საერთოსთან ერთად, ცალკეულ ეთნოსებს ახასიათებდა მათი დამზადების, მოხმარების, რიტუალური და სადღესასწაულო, განსხვავებული ჩვევა-წესები, ამერიკელი ინდიელების ჩათვლით (Анучин Д. 1890; 53-68. ტაბ I. სურ. 2).

საქართველო, როგორც უკვე ციგა-მარხილის ტერმინების ნაწილობრივ ჩამონათვალში აღვნიშნეთ, უძველესი დროიდან გამორჩეული იყო კლიმატთან შეხამებული, თავისებური, სამეურნეო, კულტურული და სულიერი ცხოვრების წესით, რადგან უფრო მთაგორიანი ქვეყანაა. რაც შეეხება ციგის, როგორც ნივთის და მისგან ნაწარმოები სპორტული ტერმინების წარმომავლობას, ერთგვარი უნიკალურობის მიუხედავად, ჩვენი აზრით გასაღები ეძებნება იბერიულ-კავკასიური ენების წიაღში. ნებისმიერ საგანს უპირატესად სახელი ერქმევა ფორმის, ფერის, გამოყენების, ღირებულების, სიმყარის, წარმომავლობისა და რიგი თვისებების გამო, რომელთაგან ზოგი გამჭვირვალეა, ზოგი დაფარული, ამიტომ მის ამოსახსნელად პროფესიონალიზმთან ერთად, ზოგჯერ ალღოც არის საჭირო. მცნება ციგას ეტიმოლოგიაში, ჩვენი აზრით, უფრო ალღოს უნდა ვენდოთ. ერთი სიტყვით, თოვლიან ზამთარში ყველა თაობის ბავშვსა თუ ახალგაზრდას, მათ შორის ჩვენც, მონაწილეობა მიგვიღია მხიარულ ციგაობა-სრიალში. ციგა დაღმართზე მცირე ბიძგის შემდეგ სწრაფად სრიალებს, მაგრამ, აღმართზე და სწორზე საწყის ადგილზე ან სხვაგან სამოძრაოდ, ადამიანის ძალა სჭირდება.Aამიტომ, რამდენადაც სწრაფი და იოლია ციგით სრიალი

დაღმართზე, იმდენად ნელი და ძნელია უკან დაბრუნება. ციგით სრიალი შესაფერის ადგილზე სწორედ ამ პრინციპს ემყარება, თუმცა, იმდენად სახალისოა, რომ ბავშვები დაუზარებლად სრიალებენ ხოლმე. ჩვენი აზრით, ცნება ციგას ასეთ სასრიალო, სამოძრაო თვისებას, ხსნის ენობრივად ქართველური ენების ერთ-ერთი ახლო მონათესავე და უშუალო მეზობლის, ჩეჩენი ხალხის ენობრივი მონაცემები. ჩეჩნურ-ქართული ლექსიკონის მიხედვით, ზმნისწინი ციგა ნიშნავს-იქ, იქითკენ. ციგა ა, პუზა ა, იქით-აქეთ, იქით და აქეთ; ზედსართავი ციგარა – იქ მყოფი, იქ მდებარე; ზმნისწინი ციგაჰ – იქ, მა ხაზა დარა ციგაჰ – რა სილამაზე იყო იქ (რა კარგი იყო იქ); ზმნისწინი ციგგალი – იქამდე, იმ ადგილამდე; ზმნისწინი ციგგაჰ – იქამდე, იმ ადგილამდე (რ. ფარეულიძე. თბ., 2003; 298). თუ ჩვენი მოსაზრება სწორია, მაშინ, ძირთან (ციგა) დაკავშირებული არსებითი სახელებისა და ზმნის სხვადასხვა ფორმის განსაზღვრაზე არ შევჩერდებით, ვინაიდან ეს გაკეთებული ან ადვილად გასაკეთებელია.

ციგურებით სრიალი, ციგაობა. სპორტულ სახეობათა წარმოშობის მოკლე ისტორია

სპორტის თანამედროვე ზამთრის სახეობები, ციგურებით სინქრონული სრიალი, ფიგურული სრიალი და ციგურებით სწრაფი გარბენი ქალთა და მამაკაცთა მონაწილეობით, ქორეოგრაფიულად რთული, შრომატევადი, ემოციური სანახაობა-შეჯიბრებებია, რომლებიც დიდ ფიზიკურ გამძლეობას მოითხოვს. Aამიტომ, სპორტის სხვა სახეობათა მსგავსად, მსურველები ადრეული ასაკიდან, სამი წლიდან იწყებენ ვარჯიშს. ამ სახეობებში შეჯიბრის წესი და მონაწილეთა რაოდენობა განსხვავებულია. მაგალითად, სინქრონულ სრიალში მონაწილეობს 16-20 სპორტსმენი და ფასდება წინასწარ დადგმული პროგრამის შესრულების დონით. ფიგურულ სრიალსა და სპორტულ ცეკვაში სპორტსმენები მონაწილეობენ, როგორც ინდივიდუალურ, ისე შერეულ წყვილებში და ასევე ასრულებენ წინასწარ მომზადებულ სავალდებულო და თავისუფალ პროგრამებს. ციგურებით სწრაფი გარბენი კი ტარდება ოვალურ, დახურულ, ყინულსაფარიან ბილიკზე, სადაც ერთი ბილიკის სიგრძე 400 მეტრი უნდა იყოს. ორ ზოლიან ბილიკზე სწრაფი გარბენი ტარდება 4 დისტანციისგან შემდგარ მრავალჯიდში. მამაკაცების მრავალჯიდში დისტანცია დაყოფილია 500, 1500, 5000, 1000 მეტრად, ქალების კი – 500, 1500, 3000, 5000 მეტრად. არქეოლოგიური გათხრებით ირკვევა, რომ ციგურებით სრიალსა თუ სწრაფ სიარულს, თურმე ღრმა ისტორია აქვს. ქ.წ. III-I ათასწლეულით დათარიღებული მსხვილფეხა ცხოველის ეპიფიზიანი მალის ან წვივის ძვლისგან დამზადებული, თასმებით ამოსაცმელი ციგურები აღმოჩენილია ევროპის ქვეყნებში და გამოიყენებოდა მე-XII-ს-მდე (ტაბ. II) (Мишин А. М., 1976; 2). ციგურებით სრიალი სპორტის სახეობად იქცა ხისა და რკინისპირით ციგურების დამზადების შემდეგ (ჰოლანდია, XII-XIV სს.)



(ტაბ. III. სურ. 2). შემდეგ საუკუნეებში მოძრაობის წესები ნელ-ნელა იხვეწებოდა. მოყვარულ მოციგურავებს ყინულის სარკეზე, ციგურებით მოძრაობაში უნდა გამოეხაზათ ლამაზი ფიგურები მოხდენილი პოზის შენარჩუნებით, იხვეწებოდა ციგურების ფორმებიც. მოყვარულთა პირველი კლუბი კი ჩამოყალიბდა დიდ ბრიტანეთში, ედინბურგში. შემდეგ არტილერიის ლეიტენანტმა რობერტ ჯოუნზმა 1742 წელს გამოსცა ნაშრომი "ციგურებით სრიალის ტრაქტატი". ევროპიდან ფიგურული სრიალი სწრაფად გავრცელდა აშშ-სა და კანადაში, რომლის შემდეგ, 1871 წლიდან იქცა სპორტის სახეობად. 1892 წელს შეიქმნა ISU-(Intenational Skating Union), რომელიც ატარებს ევროპის, მსოფლიო და 4 კონტინენტის შეჯიბრებებს და ჩემპიონატებს. ციგურებით სრიალის ყველა სახეობა, სადღეისოდ ჩართულია ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში. საქართველოს ფიგურული ციგურაობის ფედერაცია ISU-ს წევრია 1992 წლიდან (ამჟამად ფედერაციის პრეზიდენტია მარინე გიორგობიანი). XX ს-ის 60-იანი წლებიდან დღემდე, ასაკობრივი ჯგუფების გათვალისწინებით, ორ ათეულამდე ქართველმა სპორტსმენმა მიაღწია წარმატებას საერთაშორისო შეჯებრებებში, მათ შორის ოლიმპიურ თამაშობებში. ციგურებით სრიალი, როგორც სპორტისა და მასობრივი სიჯანსაღის სახეობა, დიდი პოპულარობით სარგებლობს ჩრდილოეთის ქვეყნებში, მაგრამ დღეს, ტექნიკური სიახლეების ეპოქაში, ყველგან შესაძლებელია დახურული, ხელოვნური, ყინულსაფარიანი მოედნების მოწყობა, რომელთა რიცხვს მიეკუთვნება საქართველოც. ფიგურული სრიალის ყინულსაფარიანი მოედნის სიგრძე-სიგანეა 70X30 მეტრი, სადაც ვარჯიში მარტივი მოძრაობებით იწყება და თანდათან რთულდება. დარბაზში ძალიან ცივა, მაგრამ არავინ ცივდება. სპორტსმენთა ელეგანტური ჩაცმულობა და შერჩეული მუსიკის ფონზე შესრულებული მოძრაობა-ხტომები დადებით ემოციას იწვევს მაყურებლებში. საქართველოში უფრო პოპულარულია ციგურებით ფიგურული ციგურაობის სახეობები, ვიდრე დისტანციური გარბენები.

ამჟამად ფიგურული ციგურაობა (Figure skating), ფიგურებით სწრაფი სრიალი (Speed skating) და მოკლე ტრეკზე სწრაფი სრიალი (Short track speed skating) მიეკუთვნება ზამთრის სპორტულ სახეობათა ერთ ჯგუფს (ციგურაობა - Skating).

ციგა, ციგური. ტერმინთა და ტერმინოლოგიის საკითხების მოკლე ისტორიული მიმოხილვა

კაცობრიობის განვითარების გრძელ გზაზე, ადამიანთა ყოფითი, სამეურნეო, სანადირო-საბრძოლო საგნების ნაწილი და სულიერი კულტურის მიღწევები თანდათან საფუძვლად დაედო ხალხურ და სპორტულ სახეობებად ქცეულ შეჯიბრებებს. ერთ-ერთია ზემოთ განხილული ციგა და ციგურთან დაკავშირებული სპორტული სახეობები.

როგორც ცნობილია, გეოლოგიურად, პლეისტოცენის, ისტორიულად პალეოლითის დასასრულს, მნიშვნელოვანი, გლობალური ცვლილებები მოხდა. დაახლოებით 12-10 ათასი წლის წინ დასრულდა ვიურმის სახელით ცნობილი ბოლო გამყინვარება და დაიწყო თანამედროვე კლიმატის, ფლორისა და ფაუნის ჩამოყალიბება. ცნობილმა ბიოლოგმა ნ. ვავილოვმა, ფლორის მიხედვით გამოყო რამდენიმე ცენტრი, სადაც კულტურულ-სამეურნეო თვალსაზრისით ადამიანთა საზოგადოება სწრაფად დაწინაურდა. მათ შორის მთავარი იყო სამხრეთ-დასავლეთ აზიის ცენტრი (ანატოლია, ირანი, ავღანეთი, შუა აზია და ჩრდილო დასავლეთ ინდოეთი, კავკასიითურთ (Вавилов Н.

1987; 21). არქეოლოგიური და სხვა ინტერდისციპლინალური მეცნიერების მონაცემებით, სწორედ აქ მოხდა უფრო სრულყოფილად დიდი სამეურნეო ცვლილება – ნადირობა-შემგროვებლობიდან მიწათმოქმედება-მესაქონლეობაზე გადასვლა. ეს მოვლენა ისტორიაში ცნობილია"ნეოლითური რევოლუციის" სახელწოდებით (23. Чаилд Г. 1956; 55). არქეოლოგიური გათხთრების მიხედვით, ძვ. წ-ის IX-VIII-დან დაწყებულიი VI-V ათასწლეულის ჩათვლით, დარგების – არქიტექტურის, ხელოსნობის, მეტალის ნივთების დამზადების, მონუმენტური ხელოვნების, ახალი სოციალური და სულიერი სტრუქტუქტურის, ადრეული ქალაქ-სახელმწიფოების, დამწერლობის და პირველი ცივილიზაციების ჩამოყალიბება "ნეოლითური რევოლუციის" შედეგი იყო (Массон В. 1989; 31-52).



ძვ.წ-ის IV-III ათასწლეულში უძველეს სახელმწიფოებთან ერთად (შუმერი, აქადი, ეგვიპტე), ხმელთაშუა, შავი და კასპიისზღვისპირეთის აუზების მიმდებარე ტერიტორიებზე,ცხოველთა და ადამიანის გამწევი ძალის გამოყენებით, ჩამოყალიბდა და განვითარდა ტრანსპოტის მარტივი სახეობები. უბორბლო მარხილების, ოთხბორბლიანი ურმების და ორბორბლიანი საბრძოლო ეტლების, გუთნის გამოგონებამ, გამწევ ძალად ხარების, ცხენების და სხვა ცხოველების გამოყენებამ, მნიშვნელოვნად გაზარდა მიწათმოქმედ და მესაქონლე ხალხთა შრომის ნაყოფიერება, გადადგილება და დაპყრობითი ომების წარმოება. ამასთანავე, მარხილები, ურმები და ეტლები, გამწევ ძალებთან ერთად, იმქვეყნიურ ცხოვრებაში გადაადგილება-დამკვიდრების აუცილებელი ატრიბუტიც გახდა და სხვადასხვა ვარიაციებით XIX საუკუნემდე გრძელდებოდა (Анучинь Д. 1890; 53-59. ტაბ. I, სურ. 1).

აღმოსავლეთ საქართველოში, ადრე ბრინჯაოს ხანის მიწურულს,"ბედენური კულტურის" ყორღანულ სამარხებში, დაკრძალვის რიტუალში ჩნდება ახალი ელემენტი ოთხთვალა ეტლის,ზოგჯერ ხის სარეცელის და საკაცის სახით, რომელზეც მიცვალებულია დასვენებული (ოთ. ჯაფარიძე. 1991; 144-149). საინტერესოა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში, თიანეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. ბადაანში, მტკვარ-არაქსის კულტურის ნამოსახლარზე, აღმოჩნდა თანამედროვე ორბორბლიანი ურმის მსგავსი, გამომწვარი თიხის მოდელი. გ. მირცხულავა ამ აღმოჩენის გარშემო განიხილავს სამარხებში დადასტურებულ ტრანსპორტის უძველეს ნიმუშებს, შუმერიდან დაწყებული, შუა ევროპისა და სამხრეთ რუსეთის IV-III ათასწლეულის "იამნაია"და კატაკომბური კულტურების ჩათვლით და აღნიშნავს, რომ ბადაანში აღმოჩენილი ქ.წ. III ათასწლეულის მოდელი არის თანამედროვე ქართულ-კავკასიური ორბორბლიანი ურმის წინაპარი. მთაგორიან რეგიონებში, ბრუნვისა და მოძრაობის სიმარტივით პროგრესულ, ორბორბლიან ურმებს მიენიჭა უპირატესობა და ისინი ეთნოგრაფიულ სინამდვილეში

დადასტურებულ, საზიდარ-მარხილების ნაირსახეობებთან თანაარსებობდა. ავტორი სხვა მკვლევართა აზრის გათვალისწინებით, მარტივიდან რთულისკენ, ქართული ხალხური ტრანსპორტის განვითარების ასეთ სქემას გვთავაზობს: ფჩხილე, მარხილი, სელი, თუში, აჩაჩა და მათ გვერდით ქართულ-კავკასიური ორთვლიანი ბარის ურემი (გ. მირცხულავა. 2010;104-116). ასევე საინტერესოა ყულევის ციგა, ციგაობა, ციგურებთან დაკავშირებულ სპორტულ სახეობათა და ტერმინთა წარმომავლობის საკითხები და მათი არქეოლოგიურ-ისტორიული მიმოხილვა (ტაბულა IV. სურ. 1.2. ლ. ჯიბლაძე. კავკასიის მაცნე, 2007, ნ. პაპუაშვილი და სხვ. 2017; 39-40).

მსოფლიოში არსებული ხალხური ტრანსპორტის სახეობებზე, მათ წარმომავლობა-დანიშნულებაზე უამრავი გამოკვლევა არსებობს, მათ შორის ქართულად. ქართველ მკვლევართაგან პიველ რიგში აღსანიშნავია ეთნოლოგების გ. ჩიტაიასგ. ჯალაბაძის და მ. გეგეშიძის ა. დავითაძის და სხვათა ნაშრომები, რომლებშიც მოცემულია საზიდარ-მარხილ-ურემთა სახეობების სრულყოფილი აღწერა-კლასიფიკაცია (მ. გეგეშიძე. ქსე. ტ.6. 1983; 475-476). რაც შეეხება მრავალფეროვანი ქართული ხალხური ტრანსპორტის ტერმინების ნაწილს, ეტიმოლგიურად საკმაოდ გამჭვირვალეა – ბოლოთრია, ფჩხილა, ძიძგილაი, აჩაჩა და სხვა), ხოლო მარხილი, ეტლი, ურემი - დამატებით შესწავლას მოითხოვს. ჩვენ ციგით დავიწყეთ, რომელმაც მცირე მარხილთაგან სწორედ მან დაუდო საფუძველი ტერმინ ციგაობას.

ყინულზე სრიალის პირველი ცნობა დაცულია ბერ სტეფანიუსის 1174 წლის ნაშრომში "დიდებული ქალაქ ლონდონის ქრონიკები". სტეფანიუსის მიხედვით, ქალაქის უბეს, მურფილდთან ეკვრის დიდი ჭაობი, სადაც ზამთარში გაყინვისას მასზე სრიალებს ბევრი ახალგაზრდა. უფრო გამოცდილები კი ფეხებზე იკრავენ ცხოველის წვივის ძვლებს და წვეტიანი ჯოხების დახმარებით, გასროლილი შუბისა და მფრინავი ჩიტების სიჩქარით დაქრიან. ასეთი გართობის ფასი კი ზოგჯერ მოტეხილი ფეხები, ხელები და მალები იყო (Коньки...). ევროპის ქვეყნებში, არქეოლოგიურ ძეგლებზე აღმოჩენილ სასრიალო ძვლებს, თავზე ერთი და ბოლოზე ორი ნახვრეტი აქვს თასმებისთვის (ტაბ. II). სიტყვა "კონიოკ" კი პირველად გვხვდება 1648 წელს გემახის "ინგლისურ-ნიდერლანდურ" ლექსიკონში (Белоножкина Т. 2005). ამ მხრივ, საბას ბიოგრაფიის მიხედვით (1658-1725), ციგას ხსენება საბას ლექსიკონში, ქრონოლოგიურად ახლოა გემახის ცნობასთან, თუმცა, ციგისგან განსხვავებით, ციგური ქართულ ენაში გვიან დამკვიდრებული ტერმინი ჩანს. საინტერესოა ტერმინ "კონკის" წარმომავლობა. მკვლევართა აზრით, რუსული ტერმინი "კონკი" დაკავშირებულია "კონიოკთან", ცხენთან. რუსეთში, ტრადიციულად, ცხენის თავის მოხდენილი ფორმა, ციგურების ცხვირზე კეთდებოდა და ტერმინიც ასე გაჩნდა. რუსეთში ციგურების სრულყოფას ევროპიდან დაბრუნებულ პეტრე I-ს მიაწერენ (Фадеева О. 2018). (ტაბ. III. სურ.2).

ტერმინების შესწავლას ყველა ქვეყანაში და მათ შორის საქართველოშიც ექცევა ყურადღება, რომლის მეთაურია 1941 წელს დაარსებული არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ტერმინოლოგიის განყოფილება. ენათმეცნიერების ინსტიტუტთან ერთად, ტერმინებს სწავლობს დარგობრივი ინსტიტუტები, სამეცნიერო დაწესებულებები და გამოცემულია თითქმის ყველა დარგის ტერმინოლოგიური ლექსიკონი. ტერმინების შესწავლა დღესაც აქტიურად გრძელდება. ტერმინების ძიებას და ტერმინოლოგიის, როგორც ცნებათა სისტემის დამკვიდრებას საქართველოში საფუძველი ჩაეყარა სახელმწიფოებრიობისა და დამწერლობის შექმნისთანავე. ორიგინალური, ჰაგიოგრაფიული და ნათარგმნი ნიმუშები, ქართული სალიტერატურო ენის მდიდარ შესაძლებლობებს გვიჩვენებს სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და ენობრივი სტანდარტის თანდათან დადგენის საქმეში. ორიგინალური და ნათარგმნი ნაშრომების მეშვეობით, ფიქსირდება მანამდე არქაული ან იმ დროს შექმნილი ახალი ცნებები – მეფე, ხელმწიფე, ხელისუფალი, უფლება, ხელისუფლება, მხედრობა, საზღაური და სხვ. ამ საქმეს ღირსეულად აგრძელებდნენ საქართველოსა და უცხოეთში არსებულ სამონასტრო-მწიგნობრულ კერებში – ათონის ივერთა მონასტერში, პეტრიწონის ლავრაში, გელათისა და იყალთოს აკადემიებში მოღვაწე მამულიშვილები (1. ა. არაბული. თბ., 2014; 3-6). მომდევნო საუკუნეებში ფასდაუდებელია სულხან-საბას მოღვაწეობა. პირველად სწორედ "სიტყვის კონაშია" კლასიფიკაცირებული ტერმინები და სისტემატიზირებული ცნებები.

XIX-XX ს-ის 20-30-იან წლებში ცნობილი მოღვაწეებიდან განსაკუთრებით გამოვყოფდი ნიკო ნიკოლაძის ოჯახის ღვაწლს სპორტული და არა მხოლოდ ტერმიონოლოგიის დამკვიდრებასთან დაკავშირებით. სარკინიგზო ტრანსპორტის გაყვანისას წინააღმდეგობებიც კი შეხვედრია ნ. ნიკოლაძეს სათანადო ტერმინების არარსებობის გამო. თურმე ერთხელ ამით შეწუხებული ნიკო უნებლიეთ აკვირდებოდა, თუ როგორ აკერებდა დედამისი ზეწრის ნაჭერს ორ ზოლად საბანზე. ნიკომ ჰკითხა დედას, რას აკეთებდა და პასუხად მიიღო – ვალიანდაგებო. ასე დამკვიდრდა სარკინიგზო ტერმინი ლიანდაგი (6. დ. გოცირიძე და სხვა., თბ., 2018; 105-106). ნიკოს დამკვიდრებულია ასევე ტერმინი ორთქმავალი. ასევე ფასდაუდებელია ნიკოს შვილის, მათემატიკის დოქტორის, ტანმოვარჯიშე და მთამსვლელის გიორგის მრავალმხრივი საქმიანობა. თანამოაზრეებთან ერთად გიორგის ეკუთვნის მთელი რიგი ახალი სპორტული ტერმინები – ტანვარჯიში, ორღერძი, ხტომი, ცაცო, ქნევი მთამსვლლელობა, მსაჯი და ა. შ. (4. ლ ბერიძე. 2014; 30). ასევე გარბენი, წვართვა, ატაცი, აკვრა. ხუთჭიდი, მრავალჭიდი, წინმკლავი, ზემკლავი, უკუმკლავი, ზურგისაკენ ნაბიჯით იარ! და სხვ. (შ. აფრიდონიძე. 2014; 28-29).

ლიტერატურა:

1. ავთ. არაბული წინათქმა. ტერმინოლოგიის საკითხები ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ. უნ- ტი არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინს-ტი თბ., 2014.
2. შ. აფრიდონიძე. თ. ვაშაკიძე. თ. ტეტელოშვილი. ვ. მაღრაძე. თ ღვინაძე.ნ. ჯორბენაძე. ქართული ენის პარონიმთა ლექსიკონი. არნ ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინს-ტი. თბ., 2011.
3. შ. აფრიდონიძე. გეოგრაფიული ტერმინოლოგიის ზოგი საკითხი ქართულში. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახ-ფო უნ-ტი, არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბ., 2014.
4. ლ.ბერიძე მათემატიკოსები საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. თბ., 2014.
5. მ. გეგეშიძე. ქართული ხალხური ტრანსპორტი. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. თბ., ტ. 6. 1983.
6. დ.გოცირიძე. ა. დოლიძე რ. ძნელაძე. ტრანსპორტი, სახელმძღვანელო B1+. თბ., 2018.
7. ვ. დანელია, ვ მაღრაძე, მ. ლაბარტყავა. სპორტის ტერმინები. არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტი თბ., 2018-2019.
8. ელერდაშვილი. უნივერსალური ენციკლოპედიური ლექსიკონი. თბ., 2006.
9. მ. კოჩალიძე. ტაბახმელას ხეობის ენობრივი თავისებურებები. სამაგისტრო ნაშრომი. "ა(ა) იპ"საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახ. უნ-ტი. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი. ხიჯაური. 2019.
10. გ. მირცხულავა. მტკვარ-არაქსის კულტურის პრობლემები. თბ., 2010.
11. ალ. ნეიმანი. ქართულ სინონიმთა ლექსიკონი. თბ., 1978
12. ნ. პაპუაშვილი, გ. ჩიტაია, ი. პაპუაშვილი. ყულევი, არქეოლოგია, ისტორია, თბილისი-ხობი 2017.
13. სულხან საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული I თბ., 1991.
14. სულხან საბა ორბელიანი. ლექსიკონი ქართული II თბ., 1993.
15. რ. ფარეულიძე. ჩეჩნურ-ქართული ლექსიკონი. თბ., 2003.
16. ოთ. ჯაფარიძე. საქართველოსოს არქეოლოგია (ქვისა და ბრინჯაოს ხანა) თბ., 1991.
17. ლ. ჯიბლაძე "ხის უბორბლო საზიდრები ყულევის ნამოსახლარიდან" კავკასიის მაცნე, 2007.
18. Анучин Д. Сани, Ладьяи и Кони как принадлежности похоронного обряда. Археолого- Этнографический Этюдь. М., 1890.
19. Белоножкина Т. Конькобежный спорт, таины истории Журнал "Спорт в школе"N2. 2005.
20. Вавилов Н. Пять континентов. Повесть о путешествиях за полезными растениями по основным земледельческим районам Земли. М.,1987.
21. Коньки-Форма одежды.
22. Массон В. Первые Цивилизации Ленинград .1989.
23. Мишин А. Глава 2. Возникновение и развитие фигурного катания. Фигурное катание на коньках. Учебник для инс-ов физ. культуры М., 1976.
24. Фадеева О. История вешей. Моя Планета. 2018.
25. Чаилд Г. Древнейший Восток в свете новых раскопок. М., 1956.

მოდინახეს სამაროვანზე აღმოჩენილი საკინძების კლასიფიკაციისთვის

ნანა კაპანაძე

არქეოლოგიური აღმოჩენებით დადგენილია, რომ საკინძი (ქინძისთავი) ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს არქეოლოგიურ კომპლექსთა ერთ-ერთი ყველაზე მეტად დამახასიათებელი ნივთია. ისინი გამოვლენილია აღნიშნული რეგიონის ხსენებული ეპოქის თითქმის ყველა ძეგლზე და ძალზედ იშვიათია ისეთი არქეოლოგიური ობიექტი, სადაც საკინძი აღმოჩენილი არ იყოს (ამ რიგის ძეგლებიდან შეგვეძლო დაგვესახელებინა ურბნისი, მაგრამ იმ მიზეზების კვლევა და დადგენა, თუ რატომ არ მოიპოვება აქ ამგვარი ნივთები, სცილდება ჩვენი ამჟამინდელი თემის ფარგლებს).

დღევანდელი მონაცემებით, სამკაულის ეს სახეობა, ყველაზე დიდი რაოდენობით აღმოჩენილია ქართლისა და აღმოსავლეთ საქართველოს მთისწინეთისა და მთის არქეოლოგიურ ძეგლებზე. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, ყვირილის ხეობის გარდა საკინძების აღმოჩენის ფაქტი ცნობილი არ არის. ამ ვითარების გათვალისწინებით, ზემო იმერეთი ჯერჯერობით ამგვარი ნივთების გავრცელების უკიდურესი დასავლეთ საზღვარია. მოდინახეს გარდა, ისინი მიკვლეულია წინსოფლის (ჯიეთის) ადრეული შუა საუკუნეების სამარხებშიც [ნადირაძე 1978].

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიიდან, საკინძების მხოლოდ ზემო იმერეთში აღმოჩენის ფაქტები გამოწვეული უნდა იყოს იმ გარემოებით, რომ დასავლეთ საქართველოს სიღრმეში პრაქტიკულად შეუსწავლელია ადრეული შუა საუკუნეების სამაროვნები, ხოლო ნამოსახლარ ფენებში საკინძების აღმოჩენა თითქმის გამორიცხულია. მართალია, უკანასკნელ წლებში ფიჭვნარის სამაროვანზე გაითხარა ადრეული შუა საუკუნეების რამდენიმე სამარხი, მაგრამ იქ საკინძები არ გამოვლენილა [კახიძე. ვიკერსი. მამულაძე 2000;. 70-89]. ეს ნივთები არ ჩანს არც ციხისძირში [ინაიშვილი 1993] და არც აფხაზეთის IV – VII საუკუნეების ძეგლებზე [Воронов 1979; Таб. 46-48].

ცნობილია, რომ საკინძების მეცნიერულ კვლევას საქართველოში საფუძველი ჩაუყარა ო. ტყეშელაშვილმა და ისინი ძირითადად ორ ჯგუფად დაყო: მასალისგან დამზადებულ და მძივით თავშემკულ საკინძებად [ტყეშელაშვილი 1957; 149-162].

მოდინახეზე აღმოჩენილი ქინძისთავები კარგად თავსდება მის მიერ შემუშავებული კლასიფიკაციის სისტემაში და შესაძლებელი ხდება რამდენიმე ტიპის გამოყოფა:

I – დისკოსებურთავიანი საკინძები (სამარხი ## 42, 44, 74);
II – სოკოსებურთავიანი საკინძები (სამარხი ## 30, 44, 74);
III – ბურთულთავიანი საკინძები (სამარხი ## 7, 30, 36, 43, 46, 74, 80);
IV– მძივით თავშემკული საკინძები (სამარხი ## 30, 43, 46, 74);
V – ბროწეულის ყვავილის მსგავსი თავიანი საკინძები (სამარხი ## 43, 74, 78).

I ტიპის საკინძების ანალოგები გამოვლენილია ჟინვალის სამაროვანზე, IV ს-ით დათარიღებულ ორ (## 80 და 387) ქვის სამარხში. როგორც მათი აღმომჩენი ვ. ჩიხლაძე აღნიშნავს, ისინი დაფიქსირებულა მიცვალებულთა შუბლის არეში და აქედან გამომდინარე, მათ შუბლსაკინძებად მიიჩნევს [ჩიხლაძე 2005; 197]. ჩვენ, სამწუხაროდ,

არ მოგვეპოვება ზუსტი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ სად ჰქონდათ კონკრეტულად ჩატანებული ეს ნივთები მოდინახეზე დაკრძალულ მიცვალებულებს, მაშინ, შეიძლებოდა საჩხერის აღმოჩენებსაც გაემყარებინა ეს მოსაზრება, მაგრამ სათანადო დოკუმენტაციის უქონლობის გამო, ცხადია, გადაჭრით ვერაფერს ვიტყვით. ერთს კი ნამდვილად აღვნიშნავთ, რომ პრინციპში შესაძლებელია დავეთანხმოთ მკვლევარს ანალოგიური საკინძების გენეზისთან დაკავშირებით და ვიფიქროთ, რომ მათ არსებობის საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს და ბრინჯაოს ხანაში საკმაოდ პოპულარული, ბრინჯაოს დისკოსებურთავიანი საკინძების უშუალო მერმინდელ ანალოგებს.

II ტიპის საკინძების პარალელები მოპოვებულია ჟინვალში [ჩიხლაძე 2005; 197], ვაშლიჯვარში [ნიკოლაიშვილი 1978; 67-68], თელოვანში [ნიკოლაიშვილი 1985; 74], სამთავროს სამაროვანზე [ტყეშელაშვილი 1957; 149-152] და თარიღდება V – VIII სს-ით.

III ტიპის, ბურთულთავიანი საკინძები დამზადებულია როგორც რკინისგან, ისე ბრინჯაოსგან. ანალოგიური საკიძები აღმოჩენილია არაერთ არქეოლოგიურ ძეგლზე და თამამად შეიძლება აღინიშნოს, რომ ეს ტიპი ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული სახეობაა და გამოვლენილია ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა სამაროვანზე.Mმოდინახეზე მიკვლეული ნიმუშები ყველაზე ახლო პარალელებს ამჟღავნებს არმაზისხევში [მცხეთა I; 1955; ტაბ. XVII], ერწოში [ჯორბენაძე 1982; სურ.12], იაღსარის სამაროვანზე [Рамишвили 1966; 119-121], თხოთის მთის სამაროვანზე [მირიანაშვილი 1983; ტაბ. XIV], ჟინვალში [ჩიხლაძე 2005; 196-197], ტუიაქოჩორას სამაროვანზე [ნიკოლაიშვილი 1978; 157-169] და სხვ.

ამ ტიპის საკინძთა ყველაზე ადრეული ნიმუშები IV ს-ით, ხოლო ყველაზე გვიანდელი ცალები VI საუკუნით თარიღდება.

IV ტიპის საკინძებს მიეკუთვნება სხვადასხვა მასალისგან დამზადებული ეგზემპლარები, რომელთა თავები შემკულია მძივით.

ჟინვალის სამაროვანზე ამგვარი ნიმუშების არსებობა დასტურდება ფართო ქრონოლოგიურ მონაკვეთში, მთელი ადრეული შუა საუკუნეების (IV – VIII საუკუნეები) განმავლობაში [ჩიხლაძე 2005; 199].

მოდინახეს ცალებისთვის დამახასიათებელია, რომ საკინძები შემკულია სარდიონის ან მინისებური პასტის მძივებით, ვარდულების გარეშე. როგორც უკვე ითქვა, ანალოგიური საკინძები გავრცელებული ჩანს მთელი ადრეული შუა საუკუნეების განმავლობაში, თუმცა, ნ. აფხაზავა ქვემო ალევში აღმოჩენილი პარალელების ასაკად V-VII საუკუნეებს მიიჩნევს [აფხაზავა 1988; 66]. ამგვარი ნიმუშები უკვე ნახსენები ძეგლების გარდა გამოვლენილია ხევში [მინდორაშვილი 2005; ტაბ. XIII], მუხათგვერდში [ხეცურიანი 1985; 162], მცხეთიგორაზე [ნიკოლაიშვილი, გიუნაშვილი, ღლონტი 1985; 132-150], ბოლნისში [Синаурилзе 1977; 30-31], ერწოში [ჯორბენაძე 1982; ტაბ. XVIII] და სხვ.

ჟინვალის სამაროვანზე აღმოჩენილ, მძივით თავშემკულ საკინძებთან დაკავშირებით ვ. ჩიხლაძე აღნიშნავს, რომ ისინი დადასტურებულია ქალების სამარხებში, მიცვალებულთა თავის ქალის არეში და ამის გათვალისწინებით მიიჩნევს, რომ მათ იყენებდნენ თავსამკაულისა და თმის ვარცხნილობის დასამაგრებლად [ჩიხლაძე 2005; 199].

ვფიქრობთ, ანალოგიური დანიშნულება უნდა ჰქონოდა მოდინახეზე მიკვლეულ ცალებსაც, მით უმეტეს, რომ როგორც ჯ. ნადირაძე აფიქსირებდა, ისინი თითქმის ყველა შემთხვევაში გაბნეული ყოფილა მიცვალებულთა თავის არეში [ნადირაძე 1975; 68].

V ტიპის საკინძებს მიეკუთვნება ბროწეულის ყვავილის მსგავსი თავიანი ნიმუშები. ამ სახის ეგზემპლარები საკმაოდ გავრცელებულია VI-VII საუკუნეების აღმოსავლეთ

საქართველოში და წარმოდგენილია ამ ეპოქის თითქმის ყველა, მეტ-ნაკლებად ცნობილ სამაროვანზე. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ აღმოსავლეთ საქართველოს გარდა, ამ ტიპის საკინძები სხვაგან აღმოჩენილი არ არის. მხედველობაში თუ არ მივიღებთ ერთეულ შემთხვევებს აზერბაიჯანის ტერიტორიიდან, მაგრამ, როგორც აღინიშნა ისინი აქაც მოიპოვება მხოლოდ ისტორიული ჰერეთის მიწაზე, რაც ადასტურებს მათ ორგანულ კავშირს ქართულ ეთნოკულტურულ სივრცესთან [აფხაზავა 1988; 76].

საკინძთა აღნიშნულ სახეობასთან დაკავშირებით ნ. აფხაზავა მიიჩნევს, რომ მათი გავრცელება უკავშირდება ირანულ ქალ-ღვთაება ანაჰიტას კულტს და მეტყველებს მის საკმაო პოპულარობაზე [აფხაზავა 1979; 90]. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბროწეული ამ ღვთაების ერთ-ერთი მთავარი სიმბოლო იყო. ისიც კარგად არის ცნობილი, რომ სასანური ხანის ირანული ხელოვნების ძეგლები, გამოირჩეოდა ერთგვარი «პროკლამაციური» სტილით და ცალკეულ ნივთებს ენიჭებოდა კონკრეტული სიმბოლური დატვირთვა [Луконин 1977; 97]. აღნიშნული პრობლემის არსში უკეთ ჩაწვდომის მიზნით, ნ. აფხაზავა იშველიებს პროკოპი კესარიელის გადმოცემას იმასთან დაკავშირებით, რომ სასანიდურ ირანში არავის ჰქონდა უფლება ეტარებინა ოქროს ბეჭედი, აბზინდა, ქამარი და არც სხვა მსგავსი ნივთი, თუ ის მეფის მიერ არ იყო ნაბოძები და ამ ცნობაზე დაყრდნობით გამორიცხავს აღნიშნულ ტიპის საკინძთა სამკაულად გამოყენების შესაძლებლობას ადრეული შუა საუკუნეების საქართველოში, რადგან იმ ვითარებაში, როდესაც IV-VII საუკუნეების ქართლი ირანის იმპერიის ნაწილი თუ არა, მისი ვასალი მაინც იყო, დაუჯერებელი იქნებოდა იმის წარმოდგენა, რომ რაც მიუღებელი იყო ირანში, პოპულარული ყოფილიყო ქართლში [აფხაზავა 1978; 90].

საერთო ისტორიული კონტექსტიდან გამომდინარე, მიჩნეულია, რომ ბროწეულის ყვავილისთავიანი საკინძები საქართველოში მასიურად VII საუკუნის მეორე ნახევრის შემდგომი ხანიდან უნდა გავრცელებულიყო [აფხაზავა 1978; 90] და ამ ვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტორი სასანური ირანის, როგორც იმპერიის განადგურება, ზოროასტრული რელიგიის უკიდურესი დამცრობა და ისლამის მხრიდან შევიწროება უნდა ყოფლიყო. მართალია, VII საუკუნის მეორე ნახევარში ქართლში შემოდიან არაბები და აქ ამ დროსვე დასტურდება მათგან შევიწროებული სპარსელების მოსვლაც, მაგრამ საქართველოში ბროწეულის ყვავილისთავიანი საკინძების გავრცელების დაკავშირება ამ მოვლენებთან არ იქნებოდა მართებული, რადგან, საკუთრივ არაბული და ირანული სამყაროსთვის უცნობია სამკაულის ამგვარი ტიპის ნიმუშები.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, სასანური ირანის განადგურებას, ერთგვარი ბიძგიც კი უნდა მიეცა ირანის მეზობელ ქვეყნებში სასანური სიმბოლიკის ფართოდ გავრცელებისთვის და აღნიშნული თვალსაზრისის დასამტკიცებლად მოხმობილია ქართული და სომხური ხუროთმოძღვრების ძეგლებზე დადასტურებული ბროწეულის დეკორის არსებობის ფაქტები [აფხაზავა 1978; 91]. ყოველივე ზემოთქმული მსჯელობის გათვალისწინებით, ნ. აფხაზავა მიზანშეწონილად მიიჩნევს ბროწეულის ყვავილის თავიანი საკინძების დათარიღებას VII საუკუნის მეორე ნახევრის შემდგომი ხანით, ხოლო ამ ნივთების არსებობის ბოლო პერიოდად განსაზღვრავს VIII საუკუნის შუა წლებს [აფხაზავა 1978; 91]. წარმოდგენილ დათარიღებსა და მოსაზრებას, გარკვეულწილად არ ეთანხმება ვ. ჩიხლაძე, რომელიც ვარაუდობს, რომ ამგვარი ნივთების გამოჩენა დაკავშირებული უნდა იყოს არა იმდენად პოსტსასანურ სამყაროსთან, რამდენადაც უძველეს, ქართულ, სიცოცხლისა და ნაყოფიების სიმბოლიკასთან. მისეული მსჯელობით, ქართველები ოდითგანვე თაყვანს სცემდნენ

ბროწეულის ბუჩქს და მის ნაყოფს იყენებდნენ სამკურნალოდ. ბროწეული საკმაოდ პოპულარული ელემენტი იყო დასავლეთ საქართველოში საახალწლო რიტუალების შესრულებისას, ხოლო ქართული ხალხური ზღაპრების მიხედვით, მას ენიჭებოდა სიუხვისა და დოვლათის ძალა. ამიტომაც, ბროწეულის ყვავილის თავიანი საკინძები წარმოშობილია ქართულ ნიადაგზე და, შესაბამისად, მისი სიმბოლიკაც ქართული ეროვნული ტრადიციებით არის ნასაზრდოები [ჩიხლაძე 2005; 201].

ცხადია, რომ ასეთი მსჯელობა პრინციპულად განსხვავდება ნ. აფხაზავას მოსაზრებისგან, რომლის მიხედვითაც აღნიშნული საკინძები გამოიყენებოდა დაკრძალვის რიტუალისთვის. თუმცა, ავტორი იმასაც დასძენს, რომ რელიგიურ სიმბოლიკაში ბროწეულის დადასტურება სულაც არ უნდა ნიშნავდეს ზოროასტრული კულტების არსებობას [აფხაზავა 1988; 73-77].

მოდინახეს სამაროვანზე ბროწეულის ყვავილის თავიანი საკინძების აღმოჩენას, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ამ ძეგლის ზედა ქრონოლოგიური ზღვარის დადგენის საქმეში. ზემოთ მოხმობილი მაგალითებით აღინიშნა, რომ ასეთი ტიპის ნიმუშები თითქმის არ გვხვდება VII საუკუნის მეორე ნახევრზე ადრეულ კომპლექსებში. ასე რომ, მოდინახეს სამაროვანზე ანალოგიური საკინძების შემცველი ## 43, 74 და 78 სამარხები ყველაზე გვიანდელია და მათი ასაკი VII საუკუნის 50-იანი წლების ბოლოთი განისაზღვრება. ჩვენი ვარაუდით, ამის შემდეგ, მოდინახეს სამხრეთი ფერდობი ნეკროპოლად აღარ გამოიყენებოდა.Eეს ფაქტი კი აუცილებლად უნდა უკავშირდებოდეს ამ პერიოდის საქართველოში შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას (არაბობა).

ს. პლეტნევას ნაშრომზე დაყრდნობით [Плетнева 1967; 16], გამოვლენილი მძივების გამო, ნ. აფხაზავამ VII საუკუნეს მიაკუთვნა მოდინახეს #19 სამარხიც [აფხაზავა 1988; 72], Mმაგრამ, ამავე სამარხის კუთვნილი, წითლად ნაპრიალები დოქი [ბრაგვაძე. ჩიგოგიძე 2002; სურ.116-117] ალბათ, გამორიცხავს სამარხის ამგვარ დათარიღებას და მის ასაკს სწევს უფრო უკან, IV საუკუნისკენ, გვიანანტიკური ხანის ბოლო ფაზისკენ.

საკინძების შესახებ შემდგომი მსჯელობა საჭიროდ აღარ მიმაჩნია, რადგან სამეცნიერო ლიტერატურაში ისინი საკმაოდ დაწვრილებითაა განხილული და კარგადაც არის შესწავლილი. ამიტომ, დასავლეთ საქართველოში მათ აღმოჩენამდე რაიმე არსებითის დამატება ძნელი და ალბათ, მიზანშეუწონელიც არის.

ლიტერატურა

1. აფაქიძე ა. გობეჯიშვილი გ. კალანდაძე ა. ლომთათიძე გ. არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები, მცხეთა I. თბილისი 1955
2. აფხაზავა ნ. ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა. თბილისი 1979
3. აფხაზავა ნ. ქვემო ალევი ადრეულ შუა საუკუნეებში. თბილისი 1988
4. ბრაგვაძე ზ. ჩიგოგიძე ქ. მოდინახეს სამაროვანი, არქეოლოგიური ჟურნალი II. თბილისი 2002
5. ინაიშვილი ნ. ციხისძირის ახ.წ. I – VI საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი 1993
6. კახიძე ა. ვიკერსი მ. მამულაძე შ. ადრე შუა საუკუნეების სამარხები ფიჭვნარიდან, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები I. Bბათუმი 2000
7. მინდორაშვილი დ. არქეოლოგიური გათხრები ხევში. თბილისი 2005
8. მირიანაშვილი ნ. შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბილისი 1983
9. ნიკოლაიშვილი ვ. ტუიაქოჩორას სამაროვანი, მცხეთა II. თბილისი 1978
10. ნიკოლაიშვილი ვ. ვაშლიჯვრის სამაროვანი, საქართველოს არქეოლოგიის საკითხები. თბილისი 1978
11. ნიკოლაიშვილი ვ. დიღმის ხეობა ადრეფეოდალურ ხანაში, საქართველოს არქეოლოგიის საკითხები III. თბილისი 1985
12. ნიკოლაიშვილი ვ. გიუნაშვილი გ. ღლონტი ნ. მცხეთიგორის სამაროვანი. Mმცხეთა. VII. თბილისი 1985
13. ნადირაძე ჯ.ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი 1975
14. ნადირაძე ჯ ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის 1978 წლის ანგარიში (ინახება საქართველოს ხელოვნების მუზეუმში)
15. ტყეშელაშვილი ო. სამთავროს ახ.წ. IV – VIII საუკუნეების სამარხებში აღმოჩენილი ქინძისთავები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე B XXI. თბილისი 1957
16. ჩიხლაძე ვ. ჟინვალის სამაროვანზე მოპოვებული საკინძები, ძიებანი #15 – 16, თბილისი 2005
17. ხეცურიანი ლ. მუხათგვერდი I. მცხეთა VII. თბილისი 1985
18. ჯორბენაძე ბ. ერწო-თიანეთი შუა საუკუნეებში. თბილისი 1982
19. Воронов Ю. Н. Материальная культура Абхазии I тысячелетия н.э. Краткые Сообщения Института Археологии. №151. Москва 1979
20. Луконин В.Г. Искусство Древнего Ирана. Москва 1977
21. Плетнева Ѣ.А. От кочевой к городам. Москва 1967
22. Рамишвили Р.М. Исследование раннесредневекового могильника Иагсари. Труды Кахетинской Экспедиции I. Тбилиси 1966
23. Синауридзе М. Резултаты археологичесского изучения Больнисского района. Тбилиси 1977

1. საკინძები 36-ე სამარხიდან

2. საკინძები 43-ე სამარხიდან

3. საკინძი 44-ე სამარხიდან

4. საკინძი 44-ე სამარხიდან

5. საკინძები 45-ე სამარხიდან

6. საკინძი 72-ე სამარხიდან

7. საკინძები 74-ე სამარხიდან

8. საკინძები 78-ე სამარხიდან

9. საკინძები
80-ე სამარხიდან

For the Classification of the Pins Discovered at Modinakhe Cemetery

Nana Kapanadze

It has been estimated through archaeological excavations that the pin is one of the most common artifacts of archaeological complexes of medieval eastern Georgia. They have been revealed in almost all the sites of the region of the epoch in question and there hardly exists an archaeological site which has not yielded a pin (among the sites of this group we could name Urbnisi, but investigation and estimation of the reasons why such artifacts are not found here goes beyond the topic of our present discussion).

By today's data, this type of ornament is found in largest numbers at the archaeological sites situated in Kartli and in the foothills and mountainous regions of eastern Georgia. As far as western Georgia is concerned, pins have not been discovered anywhere except for the Kvirila Valley. Taking this fact into consideration, so far Zemo Imereti is the westernmost point of distribution of such objects. Apart from Modinakhe they have been tracked down in early medieval burials of Tsinsopeli (Kieti) too [Nadiradze 1978].

The fact that pins have been discovered only in Zemo Imereti across the territory of western Georgia must be caused by the situation that early medieval cemeteries located in the depth of western Georgia have not actually been investigated yet, while it is almost excluded to discover pins in cultural layers. Although several burials of early medieval period have been excavated in Pichvnari in recent years, they have not yielded pins [Kakhidze, Vickers, Mamuladze 2000:70-89]. These objects have not been found in Tsikhisdziri [Inaishvili 1993] or at the sites of Abkhazeti of the fourth-seventh centuries [Воронов 1979; Таб. 46-48].

As is known, in Georgia it was O. Tkeshelashvili who laid foundations for the scientific research of pins and he divided them into two groups: I – pins made of similar material and II – pins with ornamented heads [Tkeshelashvili 1957:149-162].

The pins discovered at Modinakhe perfectly fit in the system of classification elaborated by Tkeshelashvili and it is possible to distinguish several types:

I – pins with disc-like heads (graves NN42, 44, 74)

II – pins with mushroom-shaped heads (graves NN 30, 44, 74)

III – pins with ball-shaped heads (graves NN7, 30, 36, 43, 46, 74, 80)

IV – pins ornamented with beads (graves NN30, 43, 46, 74)

V – pins ornamented with pomegranate flower-like heads (graves NN43, 74, 78)

Analogies of type I pins have been revealed at Zhinvali cemetery, in two cists dated to the fourth century BC (N80 and N387). As V. Chikhladze, who discovered them, notes they were evidenced in the forehead area of the deceased and, consequently, considers them to be headpins [Chikhladze 2005:197]. Regrettably, we do not have accurate information about where exactly these artifacts had been put in graves along with the deceased. If we did, it would be possible to support this opinion by the discoveries of Sachkhere. However, because of the lack of proper documentation it is impossible to claim anything. But one thing is for sure: in fact, we can agree with the scholar with respect to the genesis of analogous pins and presume that they have rather long history of existence and represent immediate further analogies of the bronze pins with disc-like heads that were quite popular in the Bronze Age.

Parallels of the pins of type II have been discovered in Zhinvali [Chikhladze 2005; 197], Vashlijvari [Nikolaishvili 1978: 67-68], Telovani [Nikolaishvili 1985:74], Samtavro cemetery

[Tkeshelashvili 1957:149-152] and they generally date to the fifth-eighth centuries.

Type III pins with ball-shaped heads are made of both iron and bronze. Analogous pins have been excavated in quite a few archaeological sites and it can be claimed that this type is one of the most common varieties and has been revealed at almost all the early medieval cemeteries in eastern Georgia. The samples discovered at Modimakhe find close parallels in Armaziskhevi [Mtskheta I; 1955; pl. XVII], Ertso [Jorbenadze 1982; fig. 12), Iaghsari cemetery [Рамишвили 1966; 119-121], the cemetery on Mount Tkhoti [Mirianashvili 1983; pl. XIV], Zhinvali [Chikhladze 2005; 196-197], Tuiakochora cemetery [Nikolaishvili 1978; 157-169], etc.

The earliest samples of this type of pins date to the fourth century, the latest – to the sixth century.

Type IV pins include those made of various materials and whose heads are ornamented with beads.

Presence of such samples at Zhinvali cemetery is evidenced across a vast chronological range – during the whole early medieval epoch (fourth-eighth centuries) [Chikhladze 2005; 199].

Typically, the samples from Modinakhe are ornamented with cornelian or glaze paste beads, without rosettes. It has been noted that analogous pins seem to have been spread throughout the early medieval period; however, N. Apkhazava suggests the parallels discovered in Kvemo Alevi belong to the fifth-seventh centuries [Apkhazava 1988; 66]. Apart from the mentioned sites, identical samples have been revealed in Khevi [Mindorashvili 2005: pl. XIII], Mukhatgverdi [Khetsuriani 1985; 162], Mtskhetigora [Nikolaishvili, Giunashvili, Ghlonti 1985; 132-50], Bolnisi [Синауридзе 1977; 30-31], Ertso [Jorbenadze 1982; pl. XVIII], etc.

With regard to the pins whose heads are decorated with beans and that were discovered at Zhinvali cemetery V. Chihladze notes that they were found in female burials, in the head area of the deceased and, given this fact, suggests that they were used for holding head ornaments and hair [Chikhladze 2005:199].

In our opinion, the samples tracked at Modinakhe must have had an analogous function, especially as J. Nadiradze confirmed, in nearly all cases they had been scattered in the head area of the deceased [Nadiradze 1975:68].

Type V pins include the samples that are ornamented with pomegranate flower-like heads. Such pins are widely spread across eastern Georgia in the sixth-seventh centuries and are represented in almost all the more-or-less well-known cemeteries. It is also noteworthy that this type of pins have not been identified anywhere except Georgia, if not considered single cases from the territory of Azerbaijan, but, as has been noted, here, too, they are found on the territory of historical Hereti, which confirms their organic connection to Georgian ethno-cultural space [Apkhazava 1988:76].

Concerning the type of pins in question, N. Apkhazava believes that their distribution is connected to the cult of the Iranian goddess Anahita and shows its popularity [Apkhazava 1979:90]. As is widely known, pomegranate was one of the main symbols of this goddess. It is also known that the monuments of Iranian art of the Sassanid epoch were distinguished by their somehow 'proclamative' style and specific symbolic meaning was attached to separate objects [Луконин 1977: 97]. With the aim of gaining a more comprehensive understanding of the problem, N. Apkhazava cites the account of Procopius of Caesarea about the fact that in Sassanid Iran nobody was allowed to wear gold finger rings, buckles, belts or any other objects of the kind unless these had been presented by the king. Based on this

account, he excludes the possibility of using the type of pins in question as ornaments in early medieval Georgia, because in the situation when Kartli of the fourth-seventh centuries was at least the vassal, if not part of Iranian Empire, it was unimaginable that something that was unacceptable in Iran, could have been popular in Kartli [Apkhazava 1978:90].

Resulting from the common historical context, it is an accepted opinion that the pins with pomegranate flower-like heads must have become widespread in Georgia from the second half of the seventh century [Apkhazava 1978:90] and in this situation collapse of Sassanian Iran, as an empire and extreme humiliation of Zoroastrian religion by Islam must have become the determinative factor. Although in the second half of the seventh century Arabs invaded Georgia and the arrival of the Persians suppressed by the Arabs is also evidenced in the same period, it would be improper to associate distribution of the pins with pomegranate flowers with these events, as samples with this type of ornament were not found in the Arabian and Iranian worlds.

According to the suggestion expressed in scholarly literature, collapse of the Sassanid Iran must have been an incentive for the spread of Sassanian symbolics across its neighboring countries. This argument is supported by citing the facts about presence of the pomegranate décor on the monuments of Georgian and Armenian architecture [Apkhazava 1978:91]. Taking all the above mentioned into consideration, N. Apkhazava considers it expedient to date the pins with pomegranate flower-like heads by the period following the second half of the seventh century, and they remain in existence until the mid-eighth century [Apkhazava 1978:91]. To some extent, the presented dating and opinion are not shared by V. Chikhladze, who presumes that advent of such items must be connected to the ancient Georgian symbolics of life and fertility, rather than to post-Sassanian world. The scholar argues that Georgians worshipped the pomegranate bush and used its fruit for medical purposes from time immemorial. In western Georgia, the pomegranate was a rather popular element in performing new year's rituals, whereas, according to Georgian folk tales, it had the power of abundance and prosperity. Therefore, pins with pomegranate flower-like heads originated on Georgian basis and, accordingly, its symbolic is nourished by Georgian national traditions [Chikhladze 2005:201].

Indeed, this discussion principally differs from N. Apkhazava's opinion, according to which the pins in question were used during burial rituals. However, the author adds that evidencing pomegranate in religious symbolics should not necessarily mean presence of Zoroastrian cults [Apkhazava 1988:73-77].

It can be stated that the discovery of pins with pomegranate flower-like heads at Modinakhe cemetery has crucial importance for estimating the upper chronological limit of this site. The above-cited examples showed that this kind of samples are hardly encountered in the complexes dated to the period prior to the second half of the seventh century. Thus, graves NN 43, 74 and 78 of Modinakhe cemetery containing analogous pins are the latest and date to the end of the 650s. We presume that from this time the southern slope of Modinakhe was not used as necropolis. This fact must be related to the political situation created in Georgia at the time (the Arab conquest).

Based on the work of S. Pletneva [Плетнева 1967; 16], because of the revealed beads, N. Apkhazava attributed grave no.19 of Modinakhe to the seventh century [Apkhazava 1988: 72]. However, the red polished jug belonging to the same burial [Bragvadze, Chigogidze 2002; fig. 116-117], apparently, excludes such dating of the grave and pushes its age back to the fourth

century – the final phase of the Late Classical epoch.

I do not consider it necessary to continue the discussion about pins, because they have been examined in detail and studied thoroughly in scholarly literature. Therefore, adding something essential until they are discovered in western Georgia would be inexpedient.

REFERENCE

1. აფაქიძე ა. გობეჯიშვილი გ. კალანდაძე ა. ლომთათიძე გ. არმაზისხევის არქეოლოგიური ძეგლები, მცხეთა I. თბილისი 1955
2. აფხაზავა ნ. ადრეული შუა საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოს ნივთიერი კულტურა. თბილისი 1979
3. აფხაზავა ნ. ქვემო ალევი ადრეულ შუა საუკუნეებში. თბილისი 1988
4. ბრაგვაძე ზ. ჩიგოგიძე ქ. მოდინახეს სამაროვანი, არქეოლოგიური ჟურნალი II. თბილისი 2002
5. ინაიშვილი ნ. ციხისძირის ახ.წ. I – VI საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი 1993
6. კახიძე ა. ვიკერსი მ. მამულაძე შ. ადრე შუა საუკუნეების სამარხები ფიჭვნარიდან, ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმის შრომები I. Bბათუმი 2000
7. მინდორაშვილი დ. არქეოლოგიური გათხრები ხევში. თბილისი 2005
8. მირიანაშვილი ნ. შიდა ქართლის მატერიალური კულტურის ისტორიიდან. თბილისი 1983
9. ნიკოლაიშვილი ვ. ტუიაქოჩორას სამაროვანი, მცხეთა II. თბილისი 1978
10. ნიკოლაიშვილი ვ. ვაშლიჯვრის სამაროვანი, საქართველოს არქეოლოგიის საკითხები. თბილისი 1978
11. ნიკოლაიშვილი ვ. დიღმის ხეობა ადრეფეოდალურ ხანაში, საქართველოს არქეოლოგიის საკითხები III. თბილისი 1985
12. ნიკოლაიშვილი ვ. გიუნაშვილი გ. ღლონტი ნ. მცხეთიგორის სამაროვანი. Mმცხეთა. VII. თბილისი 1985
13. ნადირაძე ჯ.ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები. თბილისი 1975
14. ნადირაძე ჯ ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ექსპედიციის 1978 წლის ანგარიში (ინახება საქართველოს ხელოვნების მუზეუმში)
15. ტყეშელაშვილი ო. სამთავროს ახ.წ. IV – VIII საუკუნეების სამარხებში აღმოჩენილი ქინძისთავები, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე B XXI. თბილისი 1957
16. ჩიხლაძე ვ. ჟინვალის სამაროვანზე მოპოვებული საკინძები, ძიებანი #15 – 16, თბილისი 2005
17. ხეცურიანი ლ. მუხათგვერდი I. მცხეთა VII. თბილისი 1985
18. ჯორბენაძე ბ. ერწო-თიანეთი შუა საუკუნეებში. თბილისი 1982
19. Воронов Ю. Н. Материальная культура Абхазии I тысячелетия н.э. Краткые Сообщения Института Археологии. №151. Москва 1979
20. Луконин В.Г. Искусство Древнего Ирана. Москва 1977
21. Плетнева Ѣ.А. От кочевой к городам. Москва 1967
22. Рамишвили Р.М. Исследование раннесредневекового могильника Иагсари. Труды Кахетинской Экспедиции I. Тбилиси 1966
23. Синауридзе М. Результаты археологичесского изучения Больнисского района. Тбилиси 1977

FIGURES

1. Pins from grave no.36



2. Pins from grave no.43

3. Pin from grave no.44

4. Pins from grave no 44

5. Pins from grave no. 45

6. Pin from grave no.72

7. Pins from grave no. 74

8. Pins from grave no. 78

9. Pins from grave no.80

ჩაძირული ქალაქებისა და გემების მისტერიის ამოცნობის სურვილი ხშირად ადამიანის თანდაყოლილ განძთმაძიებლობის მიდრეკილებაზეც ძლიერია. მისტიკა და არქეოლოგია განუყოფელია, მაშინ, როდესაც საქმე წყალქვეშა კვლევებს ეხება. ამ მისტერიული მეცნიერების განვითარება ძვირად ღირებულ კვლევებს საჭიროებს და ამიტომ მდიდარი ქვეყნების ფუფუნებაა, შესაბამისად, ასმაგად სასიხარულოა, როდესაც საქართველოს სამეცნიერო სივრცე წყალქვეშა არქეოლოგიური კვლევების ახალი და საინტერესო შედეგებით მდიდრდება.

2019 წლის ოქტომბერში, არქეოლოგიური დაზვერვების მიზნით, შავი ზღვის აუზში ილიაუნის გემი „წმ. ილია“ გავიდა. სამდღიანი კვლევების შედეგად ისტორიული აფსაროსის სიახლოვეს, ექსპედიციამ წყალქვეშა კუნძული დაადასტურა.

ექსპედიციის ხელმძღვანელის, პროფ. ნიკოლოზ თუშაბრამიშვილის აზრით, კუნძულის აღმოჩენა უკავშირდება კირკეს მითს გრძნეული მედეას მამიდის შესახებ. საინტერესოა, რამდენად რეალურია ეს თვალსაზრისი და რითი შეიძლება გამდიდრდეს ჩვენი ქვეყნის მეცნიერება შავი ზღვის სანაპირო ზოლის არქეოლოგიური, გეომორფოლოგიური და პალეოჰიდროლოგიური შესწავლის შედეგად?

მაშ ასე, როგორ ვითარდებოდა ნაოსნობა საქართველოში და როგორი უნდა იყოს თანამედროვე საზღვაო მუზეუმი, არქეოლოგ ნიკოლოზ თუშაბრამიშვილის თვალსაზრისით.

ნაოსნობა საქართველოში

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „პალეოგარემოს რეკონსტრუქციისა და არქეოლოგიური კვლევის ცენტრმა, ილიაუნის ინსტიტუციური განვითარების კვლევითი საგრანტო პროგრამის ფარგლებში, 2019 წლის ოქტომბერში განახორციელა წინასწარული, დაზვერვითი სამუშაოები შავ ზღვაზე.

კვლევების პირველადი მიზნები იყო:

- საქართველოს შავი ზღვისპირეთში მულტიდისციპლინური საზღვაო და წყალქვეშა არქეოლოგიური კვლევების განხორციელება;
- დაწყებულიყო მიზანმიმართული სამეცნიერო კვლევები საქართველოში უძველესი დროიდან ნაოსნობის არსებობასთან დაკავშირებით;
- საქართველოს (უძველესი ტომების, რეგიონების), როგორც მდიდარი ნაოსნობის ისტორიის მქონე, წარსულშიც და დღევანდელ დღესაც საზღვაო ქვეყნად წარმოჩენა;
- გადადგმულიყო პირველი ნაბიჯები და შექმნილიყო საფუძველი, რათა არქეოლოგიურ, ეთნოგრაფიულ და ისტორიულ მასალებზე დაყრდნობით დაარსდეს საქართველოს ნაოსნობის (საზღვაო) მუზეუმი, ძველებური ქართული სანაოსნო საშუალების (გემის) რეპლიკაზე, რომელიც განთავსდება საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე, სასურველია ფოთში. ფოთიდან კი მდ. რიონით, სამდინარო სანაოსნო საშუალებით (ძველებური ტიპის ნავი) განხორციელდება ტურისტული მარშრუტები მდ. რიონის, ხობისწყლის, ფიჩორის ხეობებში, მის სანაპიროებზე არსებულ ბუნებისა და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებზე.

ვვარაუდობდით, რომ ჩვენი პროექტის შედეგები იქნებოდა ძალიან მნიშვნელოვანი, როგორც სამეცნიერო და სახელმწიფოებრივი, ისე საგარეო და შიდა პოლიტიკური თვალსაზრისით - კულტურული მემკვიდეობის ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა საქართველოს შავი ზღვისპირეთში, მომავალში კი მდ. რიონისა და ხობისწყლის ხეობებში; საზღვაო ქვეყნებთან კულტურული მემკვიდეობისა და ტურისტული კუთხით ურთიერთობის გაღრმავება.

ილიაუნის გემი წმინდა ილია

კვლევები განხორციელდა იმ მატერიალურ-ტექნიკური რესურსის გამოყენებით, რომელსაც ფლობს ილიაუნი და რომლითაც იგი გამოირჩევა ყველა სხვა უმაღლესი სასწავლებლისგან: ილიაუნის ბაზა გრიგოლეთში, სამეცნიერო აპარატურით აღჭურვილი გემი „წმ. ილია“, კატერი „კატერინა“, სკანერი და სხვ.

ექსპედიციის მუშაობაში მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის თანამშრომლები (არქეოლოგი, გეოფიზიკოზები, ინჟინრები და მოწვეული, პროფესიონალი მყვინთავები) და სტუდენტები. მიღებული მონაცემები დამუშავდა და კვლავ შეისწავლება არქეოლოგების, გეოფიზიკოზების, გეომორფოლოგების მიერ.

თანამედროვე აპარატურით მიღებული მონაცემების დამუშავების შემდეგ შეიქმნა სამგანზომილებიანი მოდელიც.

საზღვაო კვლევები და კვლევების შედეგები

1. წინასწარი სამუშაოები/არსებული ინფორმაციების შეკრება

საველე კამპანიის დაწყების წინ რამდენჯერმე ვესტუმრე ბათუმს, ფოთსა და მიმდებარე არეალებს, სადაც მოვიძიე უკვე არსებული მონაცემები, ინფორმაცია აღმოჩენილი არქეოლოგიური არტეფაქტებისა და მათი აღმოჩენის სავარაუდო მდებარეობის შესახებ (აჭარის მუზეუმი, მეზღვაურები, მებადურები, ადგილობრივი მოსახლეობა).

ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი. ზღვაში მოპოვებული არქეოლოგიური მასალა

ფოთის პორტიდან სამჯერ გავედით გემითა და კატერით (მათ შორის ერთი ღამისთევით გემზე) სუფსის, ციხისძირისა და გონიოს მიმართულებით.

ადგილობრივმა მებადურებმა, სეინერების მეზღვაურებმა და მეთევზეებმა მიგვითითეს რამდენიმე ადგილი, საიდანაც თევზაობისას ამოუღიათ საკმაო რაოდენობით არქეოლოგიური მასალა, მათ შორის მთელი ამფორებიც. ასეთივე ინფორმაცია მოგვაწოდა ერთ-ერთმა ჩვენმა მყვინთავმა, რომელსაც ნაპირიდან დაახლოებით 1-5-2,0 კმ-ში, წყლის ზედაპირიდან დაახლოებით 7 მ-ის სიღრმეში უპოვია და ამოუტანია ამფორა.

თავმოყრილი ინფორმაციიდან გამომდინარე, გემით („წმ. ილია“) ზღვაში დაზვერვებს ვაწარმოებდით ღრმადაც (გემით შევდიოდით დაახლოებით 10 კმ მანძილზე) და სანაპიროს სიახლოვესაც.

როგორც კი რაიმე საეჭვო ისახებოდა სკანერის კომპიუტერზე, მყვინთავები ყვინთავდნენ და ზვერავდნენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად შავ ზღვაში ხილვადობა ძალიან დაბალია ამიტომ უმნიშვნელოვანესია მუშაობა თანამედროვე აპარატურით, შესაბამისად მყვინთავები ნივთებს ალალ ბედზე, თითქმის ბრმად მოიძიებდნენ.



გონიოს ჩაძირული კუნძული

მიუხედავად აღნიშნულისა, გემის სკანერისა და აპარატურის წყალობით დავადგინეთ მეტად საინტერესო ფაქტები, რაც, დღეისთვის თუნდაც რამდენიმე არტეფაქტის აღმოჩენაზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და ფასეულია.

ციხისძირის, ანუ, პეტრას ციხის სანაპირო ზოლის პირდაპირ რამდენიმე ასეულ მეტრში დაფიქსირდა სამი, ან, მინიმუმ, ორი გეოლოგიური ფენა. ეს მეტად საინტერესო ინფორმაციაა და მომავალში საჭიროებს კვლევას, რადგან იბადება კითხვა - ხომ არ იყო ჩვენ მიერ გამოვლენილი ფენები „პეტრას“ ლითოლოგიური და კულტურული ფენების გაგრძელება მანამ, სანამ ეს ტერიტორია ზღვით, წყლით დაიფარებოდა წყლის დონის აწევის (ტრანსგრესიის) შედეგად?

მეორე, ყველაზე საინტერესო და მნიშნელოვანი აღმოჩენაა გონიოს (ისტორიული აფსაროსი) სიახლოვეს, დაახლოებით 1,5-2,0 კმ -ში წყალქვეშა კუნძულის დადასტურება.

კუნძული დღეისთვის წყლის ზედაპირიდან 7-მ-ზეა. მისი ფართობი 900მ X 800 მ-ია (აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წინა წლებში, მყვინთავმა სწორედ ამ ტერიტორიიდან ამოიტანა ამფორა). ჩვენი ექსპედიციის მიმდინარეობისას მყვინთავებმა ამოიღეს კუნძულის ზედაპირის ქანის ნიმუშები. როგორც კვლევის ამ ეტაპზე ჩანს, კუნძული აგებულია მყარი ქანებისგან (ვულკანური).

კუნძულის გვერდით, დაახლოებით 60-70 მ-ის სიღმეზე, როგორც ჩანს, მდ. ჭოროხს თავის დროზე (?) შეუქმნია მძლავრი კანიონი, რომელიც კუნძულს გამოყოფს, სავარაუდოდ, ყოფილი ხმელეთისგან.

ჩვენს ინტერესს აძლიერებს ის ფაქტი, რომ შავი ზღვის საერთაშორისო სამეცნიერო კვლევების შედეგად დადგენილი სქემა და ფლუქტუაციები ეხმიანება ჩვენს ვარაუდს იმის შესახებ, **რომ დღევანდელი ჩაძირული კუნძული, ადრე ხმელეთის ის ნაწილი (აფსაროსის გაგრძელება, მისი ნაწილი) იყო, რომელიც მდ. ჭოროხმა განაცალკევა ე.წ. მატერიკისგან, ან თავიდანვე კუნძული გახლდათ**.

Years	Episods	Events	Level fluctuations
		Sea level slow rising up to present (I, II) Sea level is low	- 1 – 2 m
1.000	Dzemetinian	Nymphaean (Istrian) transgression	+ 1 + 3 m
	Bugazian-Viteazian	Transgression over the low land	+ 3 – 5 m
3 500	Kalamitian („New Black Sea“) Bugazian-Viteazian	Phanegorian regression. First Hellenic colonists on the western coast transgression over the low land	-5 -8m + 3 – 5 m
8,500	Upper Neo-Euxinian	The sea level rose quickly (rivers and the melting water from the glaciers). “Neo-Euxinian acceleration”. Overpass the Bosphorus sill towards the Aegean Sea (?). Bosphorus III. (Ostashkovian, Allerodian)	– 10-12 m
	Middle Neo-Euxinian The Black Sea isolated.	Ia 18.000 maximum of regression	- 100-120 m
28-23,000	Lower Neo-Euxinian	Gradual lowering of the sea level.	
43-30,000	Sourozhian transgression	The sea level rose to actual level The Danube flowing into the Black Sea basin Marine influences.Bosphorus II	– 10 + 1 m
72-45,000	Post-Karangatian regression. Oligohaline water. It is interrupted connections with the Mediterranean Sea and Caspian Sea		– 60 - 70 m
70-90,000	Karangatian (Riss-Wurm, Mikulinian)	trangression. Bosphorus I In connection with Mediteranean Sea and Caspian Lake	+ 8 - 12 m
125 000	Upper Paleo-Euxinian (= Riss glacial)	regression. Caspian fauna (?)	- 100 m
	Middle Paleo-Euxinian (Uzumlar=Riss-Mindel)	transgression In connection with Caspian Lake (=Bakunian episode)	+ 20 - 40 m
	Lower Paleo-Euxinian (= Mindel)	Regression Fossil mammals from Tiraspol transgression	+ 100-130 m
	Lower Ceaudian (= Gunz glacial)	regression fossil mammals from Taman-Nogaysk	- 150 m

ეს სქემა გვიჩვენებს, რომ დაახლოებით 3 500-1 000 წლის წინ, გონიოს დღევანდელი კუნძული, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ მისი ზედაპირის ნაწილს ზღვის წყალი და ტალღები მუდმივად რეცხავს, ზღვის დონიდან დაახლოებით 1-2 მ-ით მაინც მაღალი იყო, ხოლო 8500 წლის წინ, დაახლოებით 3500 წლამდე, იგი ზღვის დონიდან 11-14 მ-ით მაღლა მდებარეობდა (იმ შემთხვევაში, თუ უკვე არსებობდა).

ამ ვერსიებს ამყარებს გეოლოგიური ვითარებაც, კერძოდ, გონიო-სარფის სანაპირო ზოლი ვულკანური, მყარი ქანებისგან აგებული სისტემაა და არა ქვიშის, ან თიხნარის. აგრეთვე, შეუძლებელია იმ მოსაზრების გაზიარება, რომ მდ. ჭოროხმა ჩამოტანილი და დაგროვილი ბალასტისგან შექმნა უზარმაზარი, 900 მ X 800 მ-ის ფართობისა და 60-70 მ-ის სიმძლავრის კუნძული.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ ჩვენ მიერ აღმოჩენილი ჩაძირული კუნძული ნებისმიერ, ჩვენთვის საინტერესო ეპოქაში (ამ შემთხვევაში 8500-1000 წწ) უკვე კუნძული იყო და არა ხმელეთის ნაწილი, ეჭვგარეშეა, რომ ის ათვისებული იყო და რაიმე სახით მაინც იყენებდნენ ხმელეთზე მცხოვრებლები. ჩვენ ზუსტად ვერ ვიტყვით, თუ რა დრო დასჭირდებოდა მაგ., აფსაროსის მოსახლეებს კუნძულამდე მისაღწევად

სხვადასხვა სანაოსნო საშუალებით, მაგრამ, დღეს ჩვეულებრივ კატერს საამისოდ 5-7 წთ. სჭირდება.

შედეგების მნიშვნელობა

ჩვენი ამ მოკლევადიანი ექსპედიციის შედეგები უაღრესად მნიშვნელოვანია, როგორც ზღვაოსნობის, ნაოსნობის, არქეოლოგიისა და სხვა პრეისტორიისა და ისტორიული ეპოქების კვლევებისთვის, ისე ჩვენი სანაპირო ზოლის გეოლოგიური, პალეოჰიდროლოგიური და გეომორფოლოგიური კვლევის კუთხითაც. იმედი გვაქვს, რომ ეს კვლევები უფრო ფართო მასშტაბებს შეიძენს და მეცნიერების სხვა მიმართულებებითაც იქნება გამოყენებული.

კუნძულის განვითარების პოტენციალი

ჩვენი აზრით, გონიოს კუნძულის აღმოჩენას, მისი პარამეტრების დადგენასა და მომავალ კვლევას, ქვეყნის ეკონომიკური, სასწავლო-საგანმანათლებლო და ტურისტული განვითარების უზარმაზარი პოტენციალი აქვს. ამიტომ, ჩვენი ხედვიდან გამომდინარე შევიმუშავეთ წინასაპროექტო წინადადება.

ეს პროექტი ითვალისწინებს ძველებური გემის, სანაოსნო საშუალებების აგებას, საზღვაო მუზეუმის დაარსებას და სანაოსნო ტურიზმის განვითარებას კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნების ძეგლებზე არსებული მდინარეების მეშვეობით.

კუნძულის აღმოჩენამ გაგვახსენა მითი კირკეს, გრძნეული მედეას მამიდის შესახებ. ინფორმაცია მოვიძიეთ სხვადასხვა წყაროში, მაგრამ აქ შევჩერდებით ყველაზე მოკლე და ყველაზე ცნობილი ვერსიის ნაწილზე. კერძოდ, მითოლოგიის მიხედვით, იგი ცხოვრობდა კუნძულ აიაზე (აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა. III, 311; IV, 559).

ბერძნულად კირკოს წრესაც ნიშნავს და შევარდენსაც (ალბათ, ჰაერში შემოწერილი წრის ანალოგიით). როგორც ჩანს, ქართული ენის სემანტიკური სიღრმეების გარეშე სავარაუდო კავშირების დადგენა გაჭირდება. საქმე ის არის, რომ ქართულად, გორგოლა, რგოლი, გრგოლი, (გრ)კალი, რკო თითქმის იმავე მნიშვნელობისაა, რაც კირკე, უფრო კი სვანური ლიკირკე - გაგორება, გირკად - ირგვლივ უახლოვდება ფონეტიკურად კირკეს სახელს (ვიკიპედია).

საინტერესოდ გვეჩვენება ის ფაქტი, რომ ჩვენ მიერ აღმოჩენილი კუნძული სწორედ რკალის, რგოლის ფორმისაა. შესაძლოა, ასეთი შედარება ძალიან ზედაპირული და უარგუმენტო იყოს, მაგრამ, ჩვენთვის ფიქრისა და შემდგომი კვლევების მოტივაციაა გახლავთ, მით უმეტეს, რომ „კირკეს პიროვნება მკვლევართა დავის საგანი გამხდარა. ბაურა (Bowra) თავის კაპიტალურ შრომაში - „ყველა დროისა და ხალხის საგმირო პოეზიის შედარებითი ფენომენოლოგია“ წერს: „კირკეს კუნძული აი-აია სულაც შეიძლება გვიანდელი ნასხვაური იყოს გარკვეული ადგილისა შავის ზღვის სანაპიროდან, რაც უწინ აღმოაჩინეს და არგონავტების ამბავში შეიტანეს“ [ხსენებული წიგნი, შტუტგარტი, 1964, გვერდი 146). აპოლოდ. 1, 9,1 (24); ეპ.7, 14-19; ეპ.7, 36-37 (ვიკიპედია) წყარო - აკაკი გელოვანი. „მითოლოგიური ლექსიკონი“. 1983.]

იმედია, მოხერხდება ჩვენი საზღვაო კვლევების გაგრძელება. იგი ძალიან საინტერესოა არა მარტო არქეოლოგიური, არამედ სანაპირო ზოლის გეომორფოლოგიური და პალეოჰიდროლოგიური შესწავლის კუთხითაც. საშუალება მოგვეცემა დავადგინოთ მდ. ჭოროხის ძველი კალაპოტი, კანიონის ჩაჭრის ეპოქა, განმაპირობებელი ფაქტორები და სხვ.

1. ბათუმის არქეოლოგიური მუზეუმი. ზღვაში მოპოვებული არქეოლოგიური მასალა




Gonio Seabed
713000
713500
4609500
4609000
4608500
Legend
High : -9.8 m
Low : -99.2 m
0
150
300
m







ბიბლიოგრაფია

1. აპოლონ როდოსელი, არგონავტიკა, III, 311; IV, 559.
2. ბერაძე თამაზ, ზღვაოსნობა ძველ საქართველოში. თბილისი 1983.
3. გელოვანი აკაკი, 1983. მითოლოგიური ლექსიკონი.
4. Beradze Tamaz, 1983.
5. კუტალეიშვილი ზურაბ,ნაოსნობა საქართველოში, 1987.
6. ურუშაძე აკაკი, ძველი კოლხეთი არგონავტების თქმულებაში //თბილისის უნივერსიტეტის გამოცემა, თბილისი 1964.
7. Apollodorus. 1, 9, 1 (24); ep.7, 14-19; ep.7, 36-37 (Wikipedia).
8. De Castel, Don Christopher . Georgia from a XVII century missionary's perspective.
9. Radu OLTEANU, 2004. BLACK SEA TRANSGRESSIONS DURING THE LATE HOLOCENE.

The desire of exploring the mystery of submerged cities and sunken ships is often stronger than the innate disposition to treasure hunting. Mysticism and archaeology are inseparable when it comes to underwater research. Development of this mysterious science requires high-priced research and, therefore, it is available to only rich countries. So, it is a hundred times more pleasurable that Georgia's scientific space is becoming richer by new and interesting outcomes of underwater archaeological research.

In October 2019, with the aim of archaeological prospecting, 'St. Ilia', the ship owned by Ilia State University embarked on a journey into the Black Sea. As a consequence of three-day research, the expedition proved existence of an underwater island near the historical Apsaros.

According to Prof. Nikoloz Tushabramishvili, leader of the expedition, the discovery of the island is associated to the myth of Circe, the aunt of sorceress Medea. It is interesting how convincing this opinion is and to what extent our country's science could be enriched as a result of conducting archaeological, geomorphological and paleo-hydrological investigation of the coastal line of the Black Sea.

Here is what archaeologist Nikoloz Tushabramishvili thinks of how navigation developed in Georgia and what a modern maritime museum should be like.

Navigation in Georgia

In October 2019, in the frames of research grant program of institutional development, the Center for Paleoenvironmental Reconstruction and Archaeological Research of Ilia State University carried out preliminary prospecting works at the Black Sea.

Primary aims of the research were:

- To conduct multidisciplinary maritime and underwater archaeological investigation of Georgia's Black Sea coast;
- To launch purposeful scientific research to find out about presence of navigation in Georgia from ancient times;
- To represent Georgia (ancient tribes, regions) as a country of rich history of navigation and as a present seafarer;
- Based on archaeological, ethnographic and historical sources, to take first steps and create the grounds for establishing a Georgian maritime museum with a replica of traditional Georgian means of navigation which will be situated on the Black Sea coast, desirably, in Poti. From Poti, via the Rioni River, tours will be organized to the Rioni, Khobistskali, Pichori valleys and the natural and cultural heritage sites situated on their banks by means of a rivercraft (an ancient type of boat).

We were expecting the outcomes of our project would be very important from scientific and state points of view, as well as in terms of foreign and internal politics by creating tourist infrastructure of cultural heritage on Georgia's Black Sea coast and in the valleys of

the Rioni and Khobistskali in the future; intensifying relations with seafaring countries with regard to cultural heritage and tourism.

Research was accomplished using the material-technical resources owned by the Iliauni, which makes this university stand out from other higher educational institutions: the base of the Iliauni in Grigoleti, the ship 'St. Ilia', which is equipped with scientific gear, motorboat 'Katerina', scanner, etc.

The expedition comprised the staff of the university (archaeologist, geophysicists, engineers and invited professional divers) and students. The received data was processed and is still being studied by archaeologists, geophysicists, geomorphologists, etc.

On processing the data received through modern equipment, a three-dimensional model was created.

MARITIME RESEARCH AND ITS OUTCOMES

1. Preliminary works/ collection of existing material

Before the field campaign I visited Batumi, Poti and the adjacent areas several times, where I tracked down the existing data, information about the discovered archaeological artifacts and the presumable location of their discovery (Adjara Museum, sailors, fishermen, local residents).

We set sail from Poti harbor with the ship and the motorboat (staying at sea for one night) for Supsa, Tsikhisdziri and Gonio.

Local fishermen and seiner sailors pointed to several locations where they had retrieved archaeological material, including complete amphorae, from. Similar information was provided by one of our divers who had found and retrieved an amphora from about a depth of 7 meters at about 1.5-2.0 km off the shore.

Resulting from the gathered information, prospecting was conducted by ship ('St. Ilia') far into the water (we sailed at about 10 km) as well as close to the shore.

As soon as something suspicious appeared on the scanner, the divers would dive and conduct prospecting. It is remarkable that during our work visibility in the sea was very low and the divers sought for presumable artifacts by guesswork.

Despite the above mentioned, thanks to the ship's scanner and devices, we established many interesting facts which presently are far more important and valuable than discovering even several artifacts.

Three, or, at least, two geological strata were evidenced at a few hundred meters off the shore of Tsikhisdziri, or Petra. It is a very interesting piece of information and requires further research, as there arises a question – had the strata revealed by us been extension of 'Petra's' lithological and cultural layers until this territory was submerged under the sea due to the rise of sea level (marine transgression)?

The second most interesting and important discovery was recording an underwater island at about 1.5-2.0km off the coast of Gonio (historical Apsaros).

Presently, the island is at 7 meters below the surface. Its area is 900m x 800 m (notably, it was from this area that in previous years divers retreated an amphora). During our expedition divers recovered samples of the surface layer of the island. As it appears at this stage of research, the island is built of volcanic strata.

At a depth of about 60-70 m next to the island, the Chorokhi seems to have (once?) created a robust canyon which separates the island from, presumably, the former land.

Our interest is intensified by the fact that the diagram and fluctuations established as a result of international scientific research of the Black Sea echo with our assumptions that the present submerged island previously was the part of the land (extension of Apsaros, its part) which the Chorokhi River separated from the so called mainland, or has always been an island.

The table shows that given the fact that part of its surface is permanently washed by the sea water and waves, about 3,500-1,000 years ago the present island of Gonio was 1-2 meters above the sea level, while 8,500 years ago it was 11-14 meters above the sea level (in the case it already existed).

These versions are supported by geological condition too, specifically, the coastal line of Gonio-Sarpi is a system made up of solid, rock layers rather than that of sand or loam. In addition, it is impossible to share the opinion according to which the huge island of 900m x 800 m of area and 60-70 meters of thickness had been created by the ballast brought and accumulated by the Chorokhi River.

Even in the case the submerged island discovered by us was already an island and not part of the land in any epoch interesting to us (in this case 8,500 – 1,000), it is undoubtful that it was assimilated and used by the residents of the mainland in some way. We cannot say exactly how long it would take the residents of Apsaros to reach the island by different means of water transport, but today an ordinary motorboat takes 7 minutes to get there.

IMPORTANCE OF THE OUTCOMES

The outcomes of this short-term expedition are extremely important for the research of seafaring, navigation, archaeology and other prehistory and historical epochs, as well as from the point of view of paleohydrological and geomorphological study of our coastal line. We hope that this study will gain wider scales and will be used in other scientific directions too.

POTENTIAL OF THE DEVELOPMENT OF THE ISLAND

In our opinion, the discovery of the island, establishing of its parameters and its further investigation has huge potential of economic, educational and touristic development of the country. Therefore, we elaborated the pre-project proposal resulting from our standpoint.

This project must be the continuation of the previous project presented by us and it foresees building a traditional ship, seacraft, establishing a maritime museum and development of navigation tourism by means cultural heritage and the rivers of natural heritage sites.

The discovery of the island reminded us of the myth of Circe, the aunt of sorceress Medea. We sought for the information about Circe in various sources, but here we will discuss part of the shortest and the most known version, specifically, according to mythology, she lived on the Island of Aeaea (Apollonius of Rhodes. Argonautica, III, 311; IV, 559).

In Greek circus means both a circle and a falcon (probably, considering the analogy of a circle written in the air). Apparently, without the depths of the semantics of Georgian language it will be difficult to find out presumable links. The point is that in Georgian gorgola, rgoli, grgoli, grkali, rko have nearly the same meaning as circe, especially the Svanian likirke – rolling, girkad – around phonetically come closer to the name of Circe (Wikipedia).

Interestingly, the island discovered by us has a shape of a circle, a ring. This comparison might sound very superficial and seem lacking in argument, but it motivates us towards further contemplation and research. Moreover, 'the personality of Circe has become a subject of scholarly discussion. In his fundamental work 'Comparative Phenomenology of Epic Poetry of All Times and People', Bowra writes: "Circe's island of Aeaea could be a later version of a certain place off the Black Sea coast which had formerly been discovered and introduced in the tale of the Argonauts" (the above mentioned work. Stuttgart, 1964, p. 146). Apollod. 1, 9, 1 (24); ep.7, 14-19; ep. 7, 36-37 (Wikipedia) source – Akaki Gelovani, 'Mythological Dictionary'. 1983.

Hopefully, we will be able to continue marine research. It is very interesting not only from the archaeological point of view, but from that of geomorphological and paleohydrological study of the Black Sea coast as well. It will make possible for us to establish the ancient channel of the Chorokhi River, the epoch of creating the canyon, the determining factors, etc.

Years	Episods	Events	Level fluctuations
		Sea level slow rising up to present (I, II) Sea level is low	- 1 – 2 m
1.000	Dzemetinian	Nymphaean (Istrian) transgression	+ 1 + 3 m
	Bugazian-Viteazian	Transgression over the low land	+ 3 – 5 m
3 500	Kalamitian („New Black Sea") Bugazian-Viteazian	Phanegorian regression. First Hellenic colonists on the western coast transgression over the low land	-5 -8m + 3 – 5 m
8,500	Upper Neo-Euxinian	The sea level rose quickly (rivers and the melting water from the glaciers). "Neo-Euxinian acceleration". Overpass the Bosphorus sill towards the Aegean Sea (?). Bosphorus III. (Ostashkovian, Allerodian)	– 10-12 m
	Middle Neo-Euxinian The Black Sea isolated.	Ia 18.000 maximum of regression	- 100-120 m
28-23,000	Lower Neo-Euxinian	Gradual lowering of the sea level.	
43-30,000	Sourozhian transgression	The sea level rose to actual level The Danube flowing into the Black Sea basin Marine influences.Bosphorus II	– 10 + 1 m
72-45,000	Post-Karangatian regression. Oligohaline water. It is interrupted connections with the Mediterranean Sea and Caspian Sea		– 60 - 70 m
70-90,000	Karangatian (Riss-Wurm, Mikulinian)	trangression. Bosphorus I In connection with Mediteranean Sea and Caspian Lake	+ 8 - 12 m
125 000	Upper Paleo-Euxinian (= Riss glacial)	regression. Caspian fauna (?)	- 100 m
	Middle Paleo-Euxinian (Uzumlar=Riss-Mindel)	transgression In connection with Caspian Lake (=Bakunian episode)	+ 20 - 40 m
	Lower Paleo-Euxinian (= Mindel)	Regression Fossil mammals from Tiraspol transgression	+ 100-130 m
	Lower Ceaudian (= Gunz glacial)	regression fossil mammals from Taman-Nogaysk	- 150 m

ბაღდათი – ორი ციხის ამბავი

ზოგჯერ, სამშობლოს სიყვარული იმ შთაბეჭდილებებით იწყება, რომლებსაც ბუნებასთან შეხვედრისას, ლაშქრობისას, სეირნობისას, ან ძველების მიერ მონათხრობი საინტერესო ლეგენდებისა თუ ფერადი ისტორიების მოსმენისას ვიღებთ.

ბაღდათი ის ადგილია, სადაც კიდევ ერთხელ შეიყვარებთ საქართველოს – პატარა ქალაქი საინტერესო ლანდშაფტებითა და კულტურული თუ ისტორიულ ძეგლთა სიმრავლით გამორჩეული. ბაღდათში შეგიძლიათ არა მარტო დაისვენოთ ბალნეოლოგიურ კურორტებზე, საირმეში ან ზეკარში, გაგრილდეთ აჯამეთის აღკვეთილიდან მონაბერი რელიქტური მუხისა თუ ძელქვის ტყეების სიოთი, დააგემოვნოთ ადგილობრივ მარნებსა და ღვინის ქარხნებში წარმოებული ციცქა, კრახუნა, ძელშავი, ცოლიკოური, ან/ და კასრებში წლებით დავარგებული ბრენდი, მოინახულოთ გასაოცარი ჩანჩქერები და კანიონები, არამედ, იმავდროულად, ეწვიოთ ბაღდათის მხარეთნცოდნეობის მუზეუმს, ეზიაროთ შუა საუკუნეების ციხესიმაგრეებისა და ტაძრების, ნამონასტერთა თუ ნაეკლესიართა მეტად მდიდარ საგანძურს. ადგილი, სადაც გადმოცემის თანახმად ანდრია პირველწოდებული ზეკრის უღელტეხილით გადმოსულა დასავლეთ საქართველოში და ქრისტიანული სარწმუნოება უქადაგია, უღელტეხილის ყველაზე მაღალ წერტილში კი ერთ-ერთი პირველი ჯვარი აღუმართავს (ამ ადგილს დღემდე „რკინის ჯვარი“ ჰქვია). ბაღდათი ის მხარეა, რომლის ცასთანაც სიცოცხლის ბოლომდე პოეტურ ვალში დარჩა იქ დაბადებული, საყოველთაოდ ცნობილი პოეტი, მწერალი, რეჟისორი და დრამატურგი ვლადიმერ მაიაკოვსკი:

„ვალში ვარ შენთან ბაღდათის ზეცავ, თქვენთან ბროდვეის ლამპიონებო!“

პოეტის სახლ-მუზეუმს დღემდე უამრავი ვიზიტორი სტუმრობს (სურ. 1).

(სურ 1).

(სურ 2).

ბაღდათი იმერეთში, დასავლეთ საქართველოს თითქმის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს. ვინც უცხო ქალაქს ან სოფელს სტუმრობს, პირველად მისი დაარსების ისტორიითა და იქ არსებული ყველაზე დიდი სიძველით ინტერესდება. მეც ასე დავიწყებ ბაღდათის თავიდან გაცნობას.

ბადღდათის ტერიტორიაზე აღმოჩენილი არტეფაქტები ამტკიცებს, რომ აქ მიწათმოქმედთა დასახლებები ჯერ კიდევ გვიანდელ ბრინჯაოს ხანაში ყოფილა, თუმცა, საკუთრივ „ბაღდათი“ წყაროებში მე-17 საუკუნიდან მოიხსენიება. მის დაარსებაზე არაერთი საინტერესო მოსაზრება არსებობს. იმ ადგილას, სადაც დღეს ბაღდათის სამიტროპოლიტო რეზიდენციაა განთავსებული, შემორჩენილია უძველესი ციხის ნანგრევები, თავის დროზე სწორედ აქ აუგიათ თურქებს ბაღდათის (თხმელის) ციხე (სურ 2). დაარსების თხმელის ციხისეული ვერსია ყველაზე პოპულარული და საინტერესოა. ციხეს პირველად ვახუშტი ბაგრატიონი მოიხსნიებს თავის ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, სადაც იგი წერს: „... ვარციხის ზეით ერთვის რიონს ხანისწყალი, გამოდის ფერსათს, მოდის ჩრდილოთ და მიერთვის რიონს სამხრიდამვე. ამაზედ აღაშენეს ოსმალთა ციხე თხმელის ხისაგან ქრისტესს ჩ.ღ.გ. (1703) ქარ–ტჟა. ამისთვის უწოდეს იმერთა თხმელის და პირველ ეწოდა ამას ბაღდადი, არამედ შემდგომად აღაშენეს ქვიტკირისა, და დგანან აწ ოსმალნი იენგიჩრით და არს სავაჭრო ყოველნი, გარნა უფროს ტყვენი“.

ბაღდადის (თხმელის) ციხე აღმართული იყო მდინარე ხანისწყლის აღმოსავლეთით მდებარე ბორცვზე. მას დიდი ალბათობით სტრატეგიული დანიშულება ჰქონდა. აქედან კარგად მოჩანდა ხანისწყლისა და მდინარე საკრაულის ხეობებიდან გამომავალი გზები, აღმოსავლეთით „ამილახვრის სერი, „ციხე-ყელი“, დიმნას ციხის მთა-ბორცვი, ჩრდილოეთით კი ქუთაისისკენ მიმავალი გზა და აჯამეთის ტყე. ამიტომ, არ არის

(სურ. 3)

გასაკვირი ბაღდადის ციხის სიახლოვეს პირველი დასახლება თუ გაჩნდებოდა და მას, იქვე მდებარე ციხის სახელი - „ბაღდადი“ დაერქმეოდა.

თუმცა, ბაღდათის მხარეთმცოდნეობის მეცნიერ-თანამშრომელი ზურაბ თოლორდავა ერთ-ერთ რუსულ წყაროზე დაყრდნობით არ გამორიცხავს მეორე ვერსიას, რომელიც ეჭვქვეშ აყენებს პირველ მოსაზრებას. ამ ვერსიის მიხედვით, 1660 წლის ნოემბერში იმერეთიდან ასტრახანს დაბრუნებული რუსთა ელჩობის ერთ-ერთი წევრი ივანე ფეოდოროვი, რუსი მოხელეებისადმი წარდგენილ ანგარიშში ახასიათებს იმერეთის სამეფოში 1660 წელს შექმნილ პოლიტიკურ ვითარებას და წერს: „...ამჟამად იმერეთის ქვეყანას ფლობენ ეს ერისთავი (სავარაუდოდ, იგულისხმება იმერეთის სარდალი ზაალ წერეთელი - ზ.თ.) და დადიანთა ქვეყნის მფლობელი ლიპარტიანი. ეს ერისთავი ცხოვრობს ქუთაისში, ხოლო თურქი ჯარისკაცები დგანან იმერეთშივე. თურქთა სულთნის ვაზირი ჯარით ბაღდადის ციხეში დგას ერისთავის დასახმარებლად იმიტომ, რომ ეს ერისთავი და დადიანთა ქვეყნის მფლობელი ლიპარტიანი თურქთა სულთანს ყმად მიუვიდნენ...“

თუ ამ 2 მოსაზრებას შევაჯამებთ, მაშინ ციხის დაარსების ვახუშტისეული თარიღი (1703) მანამდე არსებული ციხის გამაგრების, ან მასზე რაიმე საფორტიფიკაციო ნაგებობის მიშენების თარიღია. ცნობილია, რომ ბაღდადის ციხე ორკოშკიანი იყო. იმავე ვახუშტის მიხედვით, 1720 წელს, იმერეთის გავლენიანმა თავადმა სიმონ აბაშიძემ, იმერეთის მეფე გიორგი VI სწორედ ბაღდადის ციხეში მიიწვია სტუმრად და ნადიმის დროს თავის მსახურებს მოაკვლევინა. წყაროების მიხედვით, იმერეთში ლაშქრობისას ტოტლებენმა იმერეთის მეფე სოლომონ I ერთად, 1770 წლის ივნისის ბოლოს ალყა შემოარტყა ბაღდადის ციხეს, თუმცა, რუსმა გენერალმა ციხე ბრძოლით ვერ დაიხსნა თურქებისგან. 30 იანაჩარისგან შემდგარი გარნიზონი მხოლოდ სოლომონ I მეუღლის, დედოფალ

მარიამის ჩარევით დანებდა, რომელიც ოსმალებს ციხის დათმობის სანაცვლოდ სიცოცხლის შენარჩუნებას დაჰპირდა. ბაღდათის ისტორიისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დღემდე ინახება ტოტლებენის არტილერიის 2 აუფეთქებელი ყუმბარა, რომლებიც ციხის სიახლოვეს გასული საუკუნის 60-იან წლებშია ნაპოვნი (სურ. 3).

მოგვიანებით, სოლომონ I ბრძანებით, XVIII ს-ის 70-იან წლებში ბაღდადის ციხე დაანგრიეს, რათა არ შეესრულებინათ ქუჩუკ-კაინარჯის ზავის 23-ე მუხლი, რომელიც თურქებს იმერეთის მნიშვნელოვანი ციხეების დაკავების უფლებას ანიჭებდა.

უფრო მოგვიანებით, როგორც წყაროები გვამცნობს, ახალციხის საფაშოს საზღვართან სიახლოვის გამო, ბაღდადის (თხმელის) ციხე ზემო და ქვემო იმერეთიდან წამოსხმული ტყვეების ერთგვარი შესაკრები და გასაყიდი ადგილი იყო, საიდანაც ოსმალებს ტყვეები ზეკარის ხეობის გავლით ახალციხეში გადაჰყავდათ.

ბაღდადისა და იქაურ მოსახლეთა ყოფისა და კულტურის შესახებ საკმოდ ბევრ ცნობას გვაწვდის ფრანგი დიპლომატის, მოგზაურისა და ვაჭრის, ჟაკ ფრანსუა გამბას ნაშრომი –„მოგზაურობა დასავლეთ საქართველოში" (1821–23 წწ.). ეს ის პერიოდია, როცა დასავლეთ საქართველოში რუსები იწყებენ გაბატონებას. გამბა წერს : „ვარციხის კაზაკთა პოსტი დილაადრიან დავტოვეთ და გავემგზავრეთ ბაღდადში, რომელიც აქედან 15 ვერსითაა დაშორებული. შევედით აჯამეთის ტყეში, რომელიც თხმელის ციხემდე გრძელდება და ჩავედით ბაღდადში. ბაღდადი უწინ, თურქების გამგებლობაში მყოფი პატარა ქალაქი იყო. მის ციხესიმაგრეში 100 იანიჩარისგან შემდგარი გარნიზონი იდგა. მაშინ აქ საკმაოდ ფართო ვაჭრობა იყო გაჩაღებული და იგი ახალციხის საფაშოს თურქებისა და იმერეთის მოსახლეობის ბაზარსა და საწყობს წარმოადგენდა. მას შემდეგ, რაც მას რუსეთი დაეპატრონა, აქ აღარც ბაზარია და აღარც ვაჭრები.

(სურ. 4)

(სურ. 5).

საკმარისი აღმოჩნდა ხანისწყლის გაღმა, ციხის მოპირდაპირე მხარეს საკარანტინო პუნქტის დაარსება, რომ აქაურებს მაჰმადიანები თავიდან მოეშორებინათ და მათთან ურთიერთობა შეეწყვიტათ.

დღეს ბაღდადში ოცდაათიოდე სახლი დგას, რომლებშიც გლეხები ცხოვრობენ. ერთ-ერთი ამ სახლთაგანი უჭირავს ვინმე ბერძენს, რომელიც იმ არყის სახდელი მეურნეობის კომპანიონია, იმერეთში განლაგებულ რუსის ჯარებს რომ ამარაგებს არყით. ბერძენს აქ არყის სახდელი ორი მოწყობილობით აღჭურვილი ქარხანა აქვს და მასალად ადგილობრივ ღვინოებს იყენებს. ადგილობრივი ღვინო ძალზედ მაგარია, ბევრია და იაფად იშოვება. ბაღდადის გარნიზონი 100 კაცისგან შედგება. მისმა გამგებელმა ოფიცრებმა კარგად მიგვიღეს, საუზმე გაგვიმართეს, შემდეგ კი ციხე-სიმაგრემდე გამოგვყვნენ, რომელიც წარმოადგენს მიწაყრილითა და ქვის ყორით გარშემოვლებულ ადგილს; ყორე მხოლოდ თიხითაა შელესილი და ზედ მოთავსებულია ორი ზამბულაკი. ციხესიმაგრე აგებულია ხანისწყლის ნაპირებზე, იმ მთების ძირში, რომლებიც იმერეთს ახალციხის საფაშოსგან გამოჰყოფს“.

თუმცა, მე-19 საუკუნის შუა ხანებში თხმელის ციხე თავის სტრატეგიულ მნიშვნელობას კარგავს, მაგრამ, სამაგიეროდ, მის ახლომახლო ტერიტორიებზე, განსაკუთრებით კი ჩრდილო-დასავლეთ მიმართულებით დასახლებულ პუნქტთა რაოდენობა თანდათან იზრდება.

რაც შეეხება, სახელწოდება „ბაღდათის“ ეტიმოლოგიას, დღევანდელი „ბაღდათი“, „ბაღდადის“ გვიანდელი, გაქართულებული ვარიანტია.

(სურ. 6).

ბაღდადის ეტიმოლოგიის რამდენიმე ვერსია არსებობს, მათგან, ყველაზე პოპულარული ხალხური გადმოცემით, „ბაღდადი“ მომდინარეობს სიტყვისგან „ბაღი“ და აღნიშნავს ლამაზ ადგილს. მართლაც, სპარსულად სიტყვა „ბაგა“ — ღმერთს, ხოლო „დად“ — ნაბოძებს, ე. ი. „ღვთის ნაბოძებს“ ნიშნავს, ხალხური ეტიმოლოგიის მეორე ვარიანტის მიხედვით, სახელი ბაღდადი ქალის ჭრელ თავსაბურს უკავშირდება. ადგილობრივები ამ ვერსიას დიდი აღფრთოვანებით ყვებიან და არგუმენტად ფერადი საბურველის სადარი, მართლაც საუცხოო ბაღდათური ლანდშაფტები, ხანისწყლის სერპანტები თუ ფერსათის მთები მოჰყავთ და მარტივად გარწმუნებენ მის ნადვილობაში. ზურაბ თოლორდავა ყველაზე სარწმუნოდ ენათმეცნიერ გურამ ბედოშვილის ვერსიას მიიჩნევს, რომლის მიხედვითაც ბაღდადი თურქული სიტყვა BAG-DADI-სგან მომდინარეობს, სიტყვას ორგვარი მნიშვნელობა აქვს: ერთის მიხედვით ითარგმნება როგორც ხის ტკეჩებისაგან დამზადებული, თიხით შებათქაშებული კედელი, ხოლო მეორე მნიშვნელობით - ხის კედლის ცალკეული ფიცარი. მაშინ აშკარაა, რომ ბაღდადი, იგივე ბაღდათი, მართლაც თურქული სიტყვისგანაა მიღებული და პირველად ის ხის გალავნიან თხმელის ციხეზე მიგვანიშნებს (გ. ბედოიძე „ქართულ ტოპონიმთა განმარტებით – ეტიმოლოგიური ლექსიკონი“ 2001 წ.).

სამწუხაროდ, ციხის ტერიტორია არქეოლოგიურად დღემდე შეუსწავლელია.

ბაღდათის მუნიციპალიტეტში, ისტორიულად ყველაზე ძველი ადგილი სოფელი დიმია.

“დიმნა”, “დიმი”, “დმნი” – ასე მოიხსენიება ციხე, რომლის ნანგრევები ამ სოფელში, მდინარეების – საკრაულასა და ხანისწყლის შესართავთან მდებარეობს (სურ. 4).

დიმნას (დიმის) ციხეს პირველმა გიორგი ცქიტიშვლმა მიაკვლია, ციხეს წყაროებში ლეონტი მროველი და ვახუშტი ბაგრატიონი მოიხსენიებენ. „მეფეთა ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: ფარნავაზმა „ერთი გაგზავნა მარგვს ერისთავად და მისცა მცირით მთითგან,რომელ არს ლიხი,ვიდრე ზღუ-რ-ადმდე ეგრისისა,რიონს ზემოთ.და ამანვე ფარნავაზ აღაშენნა ორნი ციხენი შორაპანი და დიმნა“.

„აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ გადმოგვცემს: „ხანის წყლის აღმოსავლით და ყვირილის მდინარის სამხრით, ფერსათის კალთას, არს დიმი, სადაცა ჰყო პირველმან მეფემან ფარნაოზ ციხე მტკიცე, და აწ არს დაბა“ (ქც 4: 752,5-7) სწორედ ამ წყაროზე დაყრდობით ივარაუდა გიორგი ცქიტიშვილმა, რომ ლეონტი მროველი დიმნას ციხეზე მიანიშნებს. სავარაუდოდ, დიმნას ციხეს სტრატეგიული დანიშნულება ჰქონდა. ამ მოსაზრებას ამყარებს დიმნას ციხის მეტად ხელსაყრელი გეოგრაფიული მდებარეობა. მის ასაგებად, ძნელად მისაწვდომი ბორცვისა და 2 მდინარის შესართავის შერჩევა, შემთხვევითი ნამდვილად არ არის (სურ. 5).

ციხიდან კარგად კონტროლდებოდა, როგორც ხეობაზე გადმომავალი, ისე მისგან გამავალი გზები (მათ შორის, ზეკრის უღელტეხილი და ისტორიული ოძრხი). ასევე საინტერესოა დიმნას მდებარეობა ვარდციხე-როდოპოლისთან, რომელიც, როგორც ცნობილია, ეგრისის სამეფოს ერთ-ერთი მნიშნელოვანი,მეტად სტრატეგიული ქალაქი იყო, საიდანაც საერთაშორისო სავაჭრო გზაც გადიოდა. ნიკო ბერძენიშვილი იზიარებდა გიორგი ცქიტიშვილის მოსაზრებას დიმნას ციხის ფუნქციის შესახებ და წერდა: „ამ ადგილს ადგილობრივი მოსახლეობა დღესაც კი ნაციხარს, ციხის ყელს უწოდებს, დღეს კი ციხის ახლომახლო მიდამოებში მცხოვრები მოსახლეობა მთას,სადაც დიმნას ციხე მდებარეობს, „სარკიეთას“ უწოდებს,რაც,როგორც ჩანს, „სარკის მთასთან“ არის გაიგივებული და აქედან უნდა მომდინარეობდეს. კარგად მიგნებული სახელწოდებაა, რადგან, აქედან,როგორც სარკეში, ისე მოჩანს ვრცელი სანახები“.

(სურ. 7).

ციხის გარშემოწერილობის სიმცირის გამო (დაახლ. 200 მ), იგი მაინც უფრო სათვალთვალო ან სასიგნალო ციხედ მიიჩნევა. ბიზანტიურ წყაროებში დიმნას შესახებ ჩანაწერები არ მოიპოვება. განსაკუთრებით საყურადღებოა დიმნას არმოხსენიება ეგრისის ირან-ბიზანტიის ომის (542-562 წწ.) ეპიზოდებში. ამ ფაქტს ბაღდათის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელი, ზურაბ თოლორდავა შემდეგი არგუმენტით ხსნის: „დიმნას ციხე ამ დროს დანგრეულია ლაზების მიერ ახალი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებში; მეორე ვარაუდით,ციხე დაანგრიეს ბიზანტიელებმა, ან ირანელებმა ეგრისის ირან-ბიზანტიის 542-562 წლების ომის პირველსავე ხანებში, გასაგები სტრატეგიული მოსაზრებით - მოწინააღმდეგეს არ გამოეყენებინა თავისი დანიშნულებით. (ისტორიული წყაროებით ცნობილია,რომ ეგრისის 542-562 წწ-ს ირან-ბიზანტიის ომის დროს ბრძოლის ამგვარი ხერხი - აღებული ციხე-სიმაგრეების დანგრევა - რამდენჯერმე იყო გამოყენებული როგორც ირანელების, ასევე ბიზანტიელების მიერ“), (იხ. ისტორიული ნარკვევი „ მეფე ფარნავაზის მოღვაწეობა და დიმნას ციხე“ 2017 წ.) თუმცა, სავარაუდოდ, მე-18 საუკუნის დასაწყისში, ოსმალებმა ციხეს სათვალთვალო ფუნქცია აღუდგინეს, მაგრამ, 1774 წელს, ქუჩუკ-კაინარჯის ზავის შემდეგ, იმერეთის მეფის სოლომონ პირველის ბრძანებით, დიმნას ციხე თხმელის ციხესთან ერთად დაანგრიეს. ციხის ტერიტორიაზე შემორჩენილია სამხრეთ გალავნის მცირე მონაკვეთი და ციხის შიგნით, სამხრეთ-დასავლეთით ოთხკუთხა კოშკის ნაშთი. მის ჩრდილო-აღმოსავლეთ კედელზე ჰორიზონტალურად დალაგებულ, კირხსნარით ნაგებ, მომცრო ზომის კვადრებს მკვლევარები შუა საუკუნეებს მიაწერენ (სურ. 6), რაც შეეხება სახელწოდებას დიმნა (დიმი), არსებულ მოსაზრებებს შორის ერთ-ერთი საინტერესო პროფესორ პოლიკარპე ჯაჯანიძის ვერსიაა, რომლის მიხედვით დიმნას ადრინდელი სახელწოდება ”ჯიმანა“ უნდა ყოფილიყო. მეგრულიად "ჯიმა“ ძმას ნიშნავს, ხოლო "ნა" მრავლობითი რიცხვის მაწარმოებელი აფიქსია. "ჯიმანა"("ჯიმნა") ანუ „ძმათა საცხოვრისი ადგილი“. „საძმო“ (ძმეთი), სადაც სისხლით ნათესავები - ძმები ცხოვრობენ. ცნობილია, რომ ფარნავაზის ეპოქაში არგვეთის საერისთავოში კოლხური მოდგმის ტომები სახლობდნენ. დროთა განმავლობაში კი ქართული ენის სიტყვაწარმოებისთვის დამახასიათებელი მეგრულ-ლაზური ბგერა “ ჯ“ ს “დ“- ით ჩანაცვლების გზით „ჯიმნა“ „დიმნა“ გახდა. ციხის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარებული გათხრების შედეგად გამოვლინდა არტეფაქტები, რომლებიც ძირითადად ელინისტურ და გვიან რომაულ ხანას ეკუთვნის, რაც ამყარებს ლეონტი მროველისეულ წყაროს დიმნას შესახებ. დიმის ციხის აღმოსავლეთ ფერდობზე დაზვერვითი სამუშაოებისას აღმოჩნდა ჭურჭლის ფრაგმენტები, ქვევრების და ამფორის ნატეხები, დამწვარი ბათქაში, ალიზი, ბრინჯაოს კილიტი. ორმოსამარხებში ნანახი არტეფაქტები (რკინის შუბები, ისრისპირები, მძივები, სამკაული, ჩაფები, ჯამები.) კი დაახლოებით პირველი საუკუნეებით თარიღდება. 1939 წ. სოფ. დიმში ნაპოვნია ქ.წ. XIV-XIII სს-ის 12 კოლხური ცული. არტეფაქტების ნაწილი დაცულია ნ. ბერძენიშვილის სახ. ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში, ხოლო ნაწილი ბაღდათის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება (სურ. 5).

ციხის ნანგრევები, უმეტესად, დამიწებულია. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სამსახურის ინიციატივით დიმნას ციხის ტერიტორიაზე ჩატარდა გაწმენდითი სამუშაოები. მისი შემდგომი შესწავლა არქეოლოგიურ ჩარევას მოითხოვს.

თეა ქაშაკაშვილი

ფოტოები ეკუთვნის მოგზაურთა კლუბ „იაგუნდს“

BAGHDATI – A TALE OF TWO CASTLES

Sometimes love of the motherland starts with the impressions received when one encounters nature, goes hiking, or strolling, or hears exciting legends and colorful stories told by old folks.

Baghdati is the place where you will fall in love with Georgia again: it is a small town with picturesque landscapes, distinguished by multiplicity of cultural and historical sites. In Baghdati not only can you relax at balneological resorts of Sairme and Zekari, cool down with the breeze of relict oak and zelkova woods blowing from Ajameti, try Tsitska, Krakhuna, Dzelshavi, Tsolikouri produced in local wineries and wine plants and/or brandy cellared in barrels for years, see amazing waterfalls and canyons, but you can also visit Baghdati Museum of Local Lore, find out about the rich treasure of medieval fortresses, churches and monasteries. It is the place where, as the tradition holds, Andrew the First Called came to western Georgia via Zekari Pass, preached Christian faith and erected one of the first crosses on the highest point of the pass (this place is still referred to as 'Rkinis Jvari' – an iron cross). Baghdati is the place whose sky inspired Vladimir Mayakovski, a famous Baghdati-born poet, writer, director and playwright to the end of his days:

"I am indebted to you, the sky of Baghdati, and you, bright lights of Broadway!"

The poet's house-museum is still attended by many visitors (Fig. 1).

Baghdati is situated in Imereti, in central part of Georgia. Anyone visiting a strange city or village, is initially interested in the history of its founding and the ancient attractions. I will start introducing the history of Baghdati in the same way.

The artifacts evidenced on the territory of Baghdati prove that land farmers had settled here as early as the Late Bronze Age, but the toponym 'Baghdati' is mentioned in sources from the 17th century. There are a few interesting opinions about founding this town. Ruins of an ancient castle have survived at the place where the metropolitan residence of Baghdadi is situated; it was here that the Turks had Baghdati (Tkhmeli) Fortress built (Fig. 2). The version of founding Tkhmeli Fortress is the most popular and exciting. The fortress is first mentioned by Vakhushti Bagrationi in his work 'Description of the Kingdom of Georgia', where he writes: "...Above Vartsikhe the Rioni River is joined by the Khanistskali. It flows from Persati, towards the north and joins the Rioni. On this location the Ottomans built a castle from the alder (tkhmela in Georgian) in 1703. Therefore, the Georgians called it Tkhmeli, and then it was first named Baghdati when they built a fortress from mortared stone. Now the Ottomans are camped here and trade everything, especially the captives."

Baghdati (Tkhmeli) Fortress was erected on the hill situated east of the Khanistskali River. It is highly likely that it had a strategic function. The roads coming out of the Khanistskali and Sakrauli valleys, 'Amilakhvris Seri' on the east, 'Tsikhe-Keli', the hill of Dimna Fortress, as well as the road leading to Kutaisi and Ajameti forest were perfectly visible from this point. Therefore, it is not surprising that the first settlement would have emerged near Baghdati Fortress and would have been given the name of a fortress situated near Baghdati. However, based on a Russian source, Zurab Tolordava, scientific researcher of Bagdadhi Museum of Local Lore, does not exclude another version, which casts doubt on the first suggestion. According to this version, in November 1660, on returning to

Astrakhan from Imereti, Ivan Fyodorov, one of the members of the Russian ambassadorial mission, in his report presented to Russian officials describes the political situation of the Kingdom of Imereti created in 1660: "...Presently, the country of Imereti is controlled by this governor (presumably, commander of Imereti Zaal Tsereteli – Z. T.) and Liparteliani, ruler of the county of the Dadianis.. This governor lives in Kutaisi, while the Turkish soldiers are based in the same Imereti. The vizier of the Ottoman Sultan is camped in Baghdati Fortress together with his soldiers to help the governor because this governor and the ruler of the county of the Dadianis, Liparteliani, became vassals of the Sultan..." If we summarize these two opinions, then Vakhushti's date of establishing the fortress (1703) indicates the time when the castle was reinforced or annexed with a fortification construction to it. As is known, Baghdati Fortress had two towers. According to Vakhushti, in 1720 an influential Imeretian nobleman Simon Abashidze invited King Giorgi VI of Imereti to Baghdati Fortress and during the feast had him murdered by his servants. According to sources, during his campaign in Imereti, General Totleben besieged Baghdati Fortress together with King Solomon I of Imereti in late June 1770; however, the Russian general failed to liberate the fortress from the Ottomans. The garrison made up of 30 janissaries surrendered only on intervention of Queen Mariam, wife of Solomon I, who promised the Ottomans to save their lives in return for ceding the fortress. Baghdati Museum of Local Lore still preserves two unexploded bombs of Totleben's artillery, which were found near the fortress in the 1960s (fig. 3).

Later, on the order of Solomon I, in the 1770s the fortress of Baghdati was destroyed in order to avoid accomplishing statute 23 of Kuchuk-Kainarki treaty, which conferred the Turks the right to occupy important fortresses of Imereti.

Even later, according to sources, because of proximity to the border of Akhaltsikhe Pashalik, Baghdati (Tkhmeli) Fortress became the gathering and trading point of the captives driven from Zemo and Kvemo Imereti, from where the Ottomans transferred the captives to Akhaltsikhe through the Zekari Valley.

A lot of information is provided about Baghdati and the life and culture of its residents in the work of a French diplomat, traveler and merchant Jacques Francois Gamba -'Journey in Western Georgia' (1821-23). It is the time when Russians begin to establish their rule over western Georgia. Gamba writes: 'We left the post of the Vartsikhe Cossacks bright and early and headed for Baghdati, which is at a distance of 15 verst from here. We entered Ajameti forest, which extends to Tkhmeli Fortress and arrived in Baghdati. Baghdati used to be a small town under the Turkish governance. A garrison of 100 janissaries were camped in its fortress. At the time it was a bustling place functioning as a market and a storage for the Turks and the population of Imereti. Following its conquest by Russia there is no market and no traders here any more. Establishment of quarantine point beyond the Khanistskali River, opposite the fortress was sufficient for the locals to get rid of the Muslims and cease any relationship with them. Today there are about 30 houses in Baghhdati where peasants live. One of these houses is occupied by a Greek who is the companion of the vodka distillery which supplies the Russian army deployed in Imereti with vodka. The Greek has a vodka distillery equipped with two devices and uses local wines as raw product. The local wine is very strong, it is widely available and cheap. The Baghdati garrison comprises 100 men. The officers gave us a warm welcome, invited us for breakfast and accompanied us to the fortress which is a place surrounded by rampart and dry stone walls; the latter is plastered

only with mud and two falconets are placed on it. The fortress is built on the banks of the Khanistskali River, at the bottom of the mountains which separate Imereti from Akhaltsikhe Pashalik."

However, in the mid-19th century, Tkhmeli Fortress loses its strategic importance, but, in turn, the number of settlements gradually increase in its environs, especially to the north-west.

As for the etymology of the name 'Baghdati', present Baghdati is a later, Georgianized version of Baghdad. There are several opinions about the etymology of Baghdati, the most popular being the oral tradition according to which 'Baghdadi' stems from the word 'baghi' (garden) which means a beautiful place. In fact, in Persian 'baga' means 'god' and 'dad' – granted, i.e. 'granted by god'. According to the second version of the traditional etymology, the name 'baghdadi' is associated with a woman's speckled headdress. Locals tell about this version with admiration and support their opinion with really spectacular landscapes, Khanistskali serpentines and the Persati mountains that match the colorful headdress mentioned above and easily convince you in the reality of this myth. Zurab Tolordava considers the version of linguist Guram Bedoshvili the most believable, according to which 'baghdadi' is a Turkish word stemming from BAGDADI. The word has a double meaning: one translates as a wall made of plastered lathe, while the second meaning denotes a separate wooden plank for building walls. In this case it is obvious that Baghdadi, aka Baghdati, is received from a Turkish word and it points to the wooden fence that surrounded Tkhmeli Fortress (G. Bedoidze 'Explanatory-Etymological Dictionary of Georgian Toponyms' 2001).

Regrettably, the territory of the fortress has not been archaeologically examined.

Historically, the earliest place in Baghdati Municipality is Village Dimi.

"Dimna", "Dimi", "Dmni" – these are how the fortress whose ruins are situated at the confluence of the Sakraula and Khanistskali is referred to (Fig. 4).

Giorgi Tskitishvili was the first to trace the fortress of Dimna (Dimi), the fortress is mentioned in sources by Mroveli and Vakhushti. 'The Life of Kings' reads: Parnavaz "sent one to rule the land from Likhi to the Egrisi Sea, above the Rioni. And the same Parnavaz had two fortresses built: Shorapani and Dimna".

'Description of the Kingdom of Georgia' says: "East of the Khanistskali and south of the Kvirila, on the slope of Persati is Dimi, where the first king Parnavaz built a solid fortress which is now a town" (Life of Kartli 4: 752, 5-7). It is this source that allowed Giorgi Tskitishvili to suggest that Leonti Mroveli points to the fortress of Dimna. Presumably, the fortress of Dimna had a strategic function. This presumption is supported by extremely convenient geographical situation of the fortress. It cannot be accidental that a hardly accessible hill and the confluence of two rivers were chosen for the place to build the fortress on (Fig. 5).

The roads running over the valley and out of it (including Zekari Pass and historical Odzrkhi) were perfectly controlled from the fortress. Equally interesting is Dimna's situation near Vardtsikhe-Rodopolis, which, as is known, was one of the most important and strategic cities of Egrisi, where an international trade route ran through. Niko Berdzenishvili shared Giorgi Tskitishvili's opinion about the function of Dimna Fortress and wrote: "This place is still referred to as the fortress-site, the neck of the fortress, while the locals residing in the environs of the fortress call the mount where the fortress of Dimna is set on 'Sarkieta',

which apparently is identified with 'Sarke Mount' and must stem from it. It is a smartly selected name for this place as it provides the view of the vast country just like in the mirror".

Because of the limited circumference of the fortress (ca. 200 m), it is more considered to be an observation point or that for warning. Byzantine sources do not provide any accounts about Dimna. Interestingly, Dimna is not mentioned in the episodes of Egrisi of the Iran-Byzantine war (542-562). Zurab Tolordava, the scientific researcher of Baghdati Museum of Local Lore, suggests the following argument to explain this fact: "The fortress of Dimna had been destroyed by the Lazis by the first centuries of the New Era; according to another presumption, the fortress was destroyed by the Byzantines or Iranians at the very beginning of the Iran-Byzantine war of 542-562 having an understandable strategy for this – they did not want their rival to make use of its function (as is known from historical sources, during the Iran-Byzantine war of Egrisi in 542-562 this method – destroying captured fortresses – was repeatedly used by both Iranians and Byzantines") (see: historical feature "King Parnavaz's Activities and Dimna Fortress" 2017). However, supposedly, at the beginning of the 18th century, the Ottomans restored the function of observation of the fortress, but in 1774, after Kuchuk-Kainarji peace treaty, on the order of King Solomon I of Imereti, Dimna Fortress was destroyed together with Tkhmeli Fortress. A small section of the southern fence and remains of a square tower have survived on the premises of the fortress. Small-size blocks built with mortar and horizontally arranged on the north-east wall are ascribed to the Middle Ages (Fig. 6). As for the name Dimna (Dimi), among a few suggestions there is an interesting version of Prof. Polikarpe Jajanidze, according to which the original name of the place was 'Jimana'. In Megrelian 'jima' means 'brother', while 'na' is the suffix forming a plural form: 'Jimana ('Jimna), or the 'place for brothers or blood relatives to live together'. As is known, in Parnavaz's times the county of Argveta was populated by Colchian tribes. Over time, the Megrelian-Lazian sound 'j' was replaced by 'd', which is characteristic to the word formation of Georgian language, and 'Jimna' became 'Dimna'. Excavations carried out on the territory adjacent to the fortress revealed artifacts which largely belong to Hellenistic and Late Roman epochs. It supports the source of Leonti Mroveli about Dimna. Prospecting works conducted on the eastern slope of Dimi Fortress revealed fragments of pottery, pithoi and amphorae, burnt plaster, adobe, a bronze sequin. The artifacts discovered in pit burials (iron spears, arrowheads, beads, ornaments, ladles, bowls) date to approximately the first centuries. Twelve Colchian axes of the 14th -13th cc BC were found in Dimi in 1939. Part of the artifacts are kept in N. Berdzenishvili Kutaisi State Historical Museum, the rest – in Baghdati Museum of Local Lore (Fig. 5).

Ruins of the fortress are mostly covered with earth. On the initiative of the Culture Department of Baghdati Municipal Administration, cleaning works were conducted on the territory of Dimna Fortress. Its further study requires archaeological intervention.

Thea Kashakashvili

Photos were provided by Traveler Club Iagundi.

ლეგენდების ლეგენდარული სიმაგრე

ვისაც გსურთ, რომ კარგად გაიაზროთ ნაპოლეონის მიერ წარმოთქმული სიტყვები: „ჯარისკაცებო, ამ პირამიდებიდან თქვენ ორმოცი საუკუნე დაგყურებთ!“ ანუ, რას ნიშნავს, როდესაც მონუმენტური ძეგლებიდან ადამიანებს ეპოქები ეხმაურება, არ არის აუცილებელი ეგვიპტეში წახვიდეთ. შიდა ქართლში, ხაშურის მუნიციპალიტეტში, დაბა სურამის ჩრდილოეთ ნაწილში, მდინარე სურამულას მარცხენა ნაპირზე, „მაღალ კლდესა ზედა“ აღმართული სურამის ციხის ზღაპრული სიდიადით, თვითონ შუა საუკუნეები დასცქერის დედამიწას. არავინ იცის, რა შობს მისი კედლების ლეგენდარულ სიმაგრეს – რეალური ნაგებობა თუ მითი, რომელიც დანიელ ჭონქაძის ფანტაზიამ აიტაცა და სურამის ციხის კედლებში ჩატანებული ზურაბის დედის სამუდამო დარდად აქცია?

ეს მონუმენტური ხელოვნების ნიმუში ორი მთავარი გზის შესაყარზე მდებარეობს. ერთი გზა მიემართება ლიხის გადასასვლელებით დასავლეთისკენ, მეორე კი ბორჯომის ხეობით სამხრეთისკენ. ციხესიმაგრის კომპლექსი აერთიანებს ციხე-გალავანს, წმ. გიორგის ეკელსიას, კოშკსა და სასახლეს. მას ჰქონდა გვირაბი, რომელიც 12–16 მეტრზე ეშვება და ქვემოთ ჩახერგილია. გადმოცემის თანახმად ციხე უკავშირდებოდა ამაღლების ეკლესიას და მდ. სურამულას, საიდანაც სასმელი წყალი შეჰქონდათ ციხეში.

ციხის აგების ზუსტი თარიღი არავინ იცის, ისტორიულად არ არის ცნობილი. პლატონ იოსელიანის მიხედვით სურამი და მისი ციხესიმაგრე ქ.წ. II საუკუნის I ნახევარში მეფე ფარნაჯომს აუშენებია, ქრისტეშობამდე 200 წლით ადრე. ქართულ ისტორიულ წყაროებში, სტრატეგიულ პუნქტად სურამის ციხე მოხსენიებულია 1625 წლიდან, როდესაც გიორგი სააკაძემ გაამაგრა ირანელთაგან თავდაცვის მიზნით.

მე-18 საუკუნეში ირანელების წინააღმდეგ აჯანყების დროს, სურამის ციხე ქართლის სადროშოს უფროსის, გივი ამილახვრის ძირითადი დასაყრდენი გამხდარა. მტერმა ციხის აღება ვერ შეძლო, არ გაჭრა არც ციხისთვის დაშენილი ყუმბარების ფეთქებადმა ძალამ. თურმე, შაჰი იმდენად განუცვიფრებია კედლების მდგრადობას, რომ მხატვარი გაუგზავნია ციხის დასახატად. როდესაც სურათი მოუტანეს, შაჰს უბრძანებია: „ისეთი გალავანი შემოავლეთ, რომ ვერც ვერავინ შევიდეს და ვერც ვერავინ გამოვიდეს, ალყა კი მანამდე არ მოხსნათ, სანამ ციხეში მყოფნი თვითონ არ შეგვეხვეწებიანო...“

შემდეგ ორჯერ ააფეთქეს და კედლის დიდი ნაწილი ჩამოანგრიეს. ნადირ შაჰის ბრძანებით კი სურამის ციხე სულ დაუნგრევიათ. მაგრამ ის ქართველებმა მალე აღადგინეს. 1792 წელს ერეკლე II-ის „ანდერძში“ სურამის ციხე მოხსენიებულია საქართველოს უმაღლეს ციხეთა შორის. 1801 წლის წყაროებით ციხე ისევ მოქმედია. როგორც სხვა ქართულმა ციხეებმა მან სტრატეგიული მნიშვნელობა XIX საუკუნეში დაკარგა, მაგრამ სურამის ციხეში განსხეულებული შუა საუკუნეები დღესაც ჩქეფს და გადადუღს. სწორედ ამ სულის შესანარჩუნებლად და იმ საიდუმლოებების ამოსასხნელად, რომლებსაც ციხე ინახავს 2019 წლიდან აწარმოებს სურამში სამუშაოებს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო.

და ვინაიდან, დღესაც საქართველოს კულტურული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივითა და დაფინანსებით, სურამის ციხის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრები მიმდინარებს, ჩვენს რეპორტაჟსაც გათხრებიდან სურამის ციხის ქარით გამოფიტული კედლების მიდამოებიდან გთავაზობთ.

სურამის ციხის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი, ბორის გელაშვილი თვითონ სურამელია და ამ ციხის შესწავლა მისთვის არა მხოლოდ სამეცნიერო ინტერესის სფერო, არამედ პატივი და მოვალეობაა.

მაშ ასე, ბორის გელაშვილი სურამის ციხიდან სურამის ციხის შესახებ „ონლაინ არქეოლოგიის“ მკითხველისთვის:

როგორია სურამის ციხე? ის თვითონ მის კედლებში ჩაკირულ ზურაბს წარმოადგენს, მასავით ლამაზი და მშვენიერია. ზოგადად, ეს ციხე ლეგენდების ლეგენდარული სიმაგრეა. ამბობენ, იმ მხარეს სადაც ზურაბი ჩააშენეს, დღესაც წვეთ-წვეთად მოჟონავსო დედის ცრემლი. იმასაც ამბობენ, რომ სავსემთვარეობისას სურამის ციხესთან შავებში გახვეული ქალი გამოდის და ტირილით შეჰღაღადებს ციხის ნანგრევებს:

„სურამისა ციხეო, სურვილითა გნახეო,

ჩემი ზურაბ მანდ არის, კარგად შემინახეო“.

არ ვიცი რა შეიძლება ამის შესახებ ითქვას? შესაძლოა, ზურაბი ნამდვილად არსებობდა და მისი საპირწონე ბოროტებაც იყო, მაგრამ ციხეზე მისი კვალი არ ჩანს, თუმცა არქეოლოგები კედლებს არ ვეხებით, ჩვენი საქმე მიწისქვეშა სამყაროა. არ არის გამორიცხული, რომ ლეგენდა ზურაბის შესახებ მსოფლიო მითოლოგიის იმ სასტიკი ნარატივის ნიმუშია, რომელიც ადამიანის ძვლებისგან აშენებულ ციხეებსა და სხვა ამგვარ შემზარავ საოცრებებზე გვიამბობს.

სად არის ხოლმე ასეთ შემთხვევაში ის დაუმარცხებელი სიკეთე, რომლის „არსებაც გრძელია“? სურამის ციხესთან მიმართებაში, ეს „არსება“ მისი ლეგენდარული უძლეველობაა.

სურამი სტრატეგიულ ადგილას მდებარეობს, გამომდინარე იქედან, რომ ის ანტიკურ წყაროებშიც ფიგურირებს და აქ 1856 წელს ქ.წ VI-V სს-ის ვერცხლის აქემენიდური სიკილა აღმოჩნდა კოლხურ თეთრთან ერთად, ვარაუდობენ, რომ სურამი დასახლებული უნდა ყოფილიყო ქ.წ. IV საუკუნიდან, ამის დამადასტურებელი ფაქტობრივი მასალა ამ ეტაპზე მწირია, მაგრამ აქ გვაქვს დაფიქსირებული კოლხური ცულები, არის გვიან ბრინჯაო-ადრე რკინის ხანის მასალაც.

სურამი ზემო ქართლის ერთ-ერთი ჩამკეტი პუნქტი იყო, შესაძლოა საბაჟოც ყოფილიყო, ანუ ალის ციხე ჩრდილოეთის გზას კეტავდა, ტაშისკარი სამხრეთით და სურამი დასავლეთით. სურამის ციხეზე გადიოდა ისეთი გზები, რომელთა აქ არსებობამ განაპირობა სურამის წინარე ქალაქობრივი პერიოდის განვითარება. ყოველივე ამას შესწავლა სჭირდება, რადგან ციხის აგების ზუსტი თარიღი არავინ იცის, ისტორიულად არ არის ცნობილი. წმინდა გიორგის ეკლესია დათარიღებულია XII საუკუნით, ამიტომ

სავარაუდოა, რომ ციხე XII-XIII საუკუნეებში დაარსდა. ერთი სიტყვით, ჩვენი მთავარი მიზანია ციხის შესწავლა, შემდეგ უნდა მოხდეს მისი კონსერვაცია-რესტავრაცია.

„ონლაინ არქეოლოგია“ სურამის ციხიდან სურამის ციხეზე მიმდინარე სამუშაოების მნიშვნელობის შესახებ:

ციხე სურამისთვის და მთელი რეგიონისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ობიექტია, ასევე მნიშვნელოვანია ის სამუშაოები, რომლებსაც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ახორციელებს. სამუშაოების დასრულების შედეგად გაცოცხლდება რეგიონის კულტურული მიმართულებები და ხელი შეეწყობა ტურიზმის განვითარებას. კულტურა-მეცნიერება-ტურიზმი - აქ ერთმანეთზე გადაჯაჭვული მცნებებია. ამჟამად, სურამი ავტომაგისტრალის გადაკვეთის წერტილია, როგორც ცნობილია, მიმდინარეობს მუშაობა გენგეგმაზე, რომლის მიხედვითაც მაგისტრალი ჩრდილოეთით უნდა გადავიდეს, შესაბამისად, რამდენიმე წელიწადში სურამი სრულიად იზოლირებული იქნება.

მე-20 საუკუნეში სურამი ძალიან პოპულარული კურორტი იყო, მისი მშრალი ჰავა და სამკურნალო მინერალური წყალი არც ერთ ლეგენდას არ ჩამოუვარდება. სურამის ციხიდან კარგად ჩანს რეგიონის ღირსშესანიშნაობები, სურამის ყველა კუთხიდან კი ჩანს ციხე...

ასე, რომ მგზავრებისთვის ძნელია გულგრილად გავლა და აქედან ციხის უნახავად წასვლა.

სურამის ციხის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი, ბორის გელაშვილი სურამის ციხიდან სურამის ციხის არქეოლოგიური გათხრების შესახებ:

2019 წელს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ ითავა აქ სამუშაოების ჩატარება და დააფინანსა პირველი გაწმენდითი

სამუშაოები. კვლევა გაგრძელდა 2020 წელსაც და ამჟამად მიღებულია ხილული შედეგები. 2019 წელს გაწმენდითი სამუშაოები ვაწარმოეთ ტერიტორიაზე, რომელიც წყაროებში მოხსენიებულია სასახლედ. აქ აღმოვაჩინეთ ქვევრები. გამოვლინდა, რომ ციხეს არ ჰქონდა მომარაგება. არსებობს ლეგენდა, თითქოს გვირაბი ჩადის აღმოსავლეთის მხრიდან. მე ჩავედი იმ გვირაბში, ის 16-20 მეტრამდე ეშვება და მერე ჩახერგილია, თუმცა ისეა დაშვებული, რომ აშკარაა – გვირაბი სურამულაზე უნდა გასულიყო. სავარაუდოდ, აქ იყო მარანი და ღვინოსთან ერთად წყლის რეზერვებიც ინახებოდა.

ჩვენ უკვე გავთხარეთ 5 ოთახი, საინტერესოა ის, რომ ეს არის კაზარმული ოთახები, რომლებიც უშუალოდ მიბჯენილია კედელზე. ოთახები და მარანი ერთი პერიოდის უნდა იყოს. ცენტრალური შემოსასვლელიდან აღმოსავლეთით დაფიქსირდა საინტერესო ოთახი ხის სახურავითა და ხის საყრდენით. მას „საყარაულო“ დავარქვით, რადგან ერეკლეს წერილში, რომელიც აქაურ თავადებს გამოუგზავნა ვკითხულობთ: „დასვით აქ ყარაული და ციხეს არ მოაკლოთ არაფერიო“. ამიტომ აშკარაა, რომ ეს არის საყარაულო, რომელსაც ჰქონდა თავისი კერა, ცეცხლის დასანთები, ასევე მოსასვენებელი ადგილი, წყლის შემკრები რეზერვუარი, ნივთების შესანახი და სხვ. ჩვენ აქ დავაფიქსირეთ ორი დამბაჩა, როგორც ჩანს, დარაჯს გადაუნახავს.

წელს შემოსასვლელის შესწავლა უკვე დავამთავრეთ, სამუშაოები გავაგრძელეთ ციხის სამხრეთ-აღმოსავლეთით. აქ გამოვლინდა ადრეული კედელი, რომელიც მთლიანად მიწაში იყო და საერთოდ არ ჰგავს სხვა კედლებს. ის რამდენჯერმე შეკეთებულია, XVI საუკუნეში კი კაპიტალურად. როგორც ჩანს, ტექტონიკურმა ბიძგებმა გამოიწვია ძვრები და ზიანდებოდა მარნის ზედა მხარე. აღმოსავლეთით კედელს ასასვლელი კიბე აქვს და სავარაუდოა, რომ სასახლე სწორედ მეორე სართულზე იყო, ანუ პირველ სართულზე ჰქონდათ მარანი, მეორეზე კი სასახლე.

სამხრეთ-დასავლეთით წმინდა გიორგის ეკლესიაა. როდესაც მოვხსენით მიწის ნაშალი გამოვლინდა ადრეული ეტაპის თლილი კვადრებით ნაგები მასიური კედელი. ეკლესიასა და ამ კედელს შორის აღმოჩნდა ერთი ოთახი, რომელიც არ არის დასრულებული. საინტერესოა, ისიც, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ გალავანთანაც არის ერთი ოთახი.

მე ნანახი მაქვს სურამის ციხეზე 3 გვირაბი, რომლებიც, როგორც ჩანს, ალყის დროს ციხიდან გასვლისა და წყლის ან საკვების შემოტანის საშუალებას იძლეოდა, რაც ცხადია, თავდაცვის უნარიოანობას ქმნიდა. ყველაზე საინტერესო ოთახი, კიდევ ერთი საიდუმლო გასასვლელია, მას სავარაუდოდ, ეკლესიის მხრიდან ჰქონდა გამოსასვლელი. ეს ოთახი 4 კვ.მ-ზე დიდი არ არის, ბუნებრივ ქანში ამოჭრილი ორმო გვაუწყებს, რომ აქედან ჩადიოდნენ ხის კიბის მეშვეობით. ეს გახლავთ მეოთხე საიდუმლო გასასვლელი, რომელიც უერთდებოდა მდ. სურამულას.

ზედა ციხეზე აღმოვაჩინეთ კიდევ ერთი ადრეული სათავსის კვალი, რომელიც ნაშენია გამოთლილი კვადრებისგან და ვფიქრობთ, რომ უფრო ადრეულია, რადგან გვიანდელ პერიოდში მიშენება აქვს გაკეთებული, დაფიქსირდა ასევე 3 ქვევრი და თიხისგან გაკეთებული წყალშემკრები რეზერვუარი (1). სავარაუდოდ, განსხვავებით მარნისგან, სადაც წყალთან ერთად ღვინოც უნდა ჰქონოდათ, ზემოთ მხოლოდ წყლის სათავსი იყო, რადგან სურამის ციხეზე სასმელი წყლის დეფიციტი იყო, ბუნებრივი წყალი უნდა მოეპოვებინათ სურამულაზე, ალყის დროს ეს შეუძლებელი იქნებოდა, ამიტომ უნდა ჰქონოდათ რეზერვები წყლისთვის. როგორც ცნობილია, ციხეზე 100 კაციანი გარნიზონი იდგა, მათი სამყოფი წყალი იმდენი მაინც უნდა ყოფილიყო, რომ ერთთვიანი ალყისთვის გაეძლოთ და მერე საშველიც გამოჩნდებოდა...

ციხის გათხრების პირველადი შედეგები საინტერესოა ციხის დათარიღებასთან მიმართებაში. როგორც აღვნიშნეთ არსებობს ვარაუდი, რომ ციხე აშენდა XII-XIII საუკუნეებში. სურამის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ აქ უკვე დაადასტურა ადრეული ეტაპისთვის დამახასიათებელი ჭურჭლის ფრაგმენტები, ასე რომ კვლევის დასრულების შემდეგ ზუსტად თუ არა მიახლოებით მაინც გვეცოდინება სურამის ციხის აშენების თარიღი.

მნიშვნელოვანია ის, რომ მიმდინარე არქეოლოგიურ სამუშაოებში ჩართული არიან ადგილობრივი ახალგაზრდები.

„ონლაინ არქეოლოგია“ სურამისა და სურამულას შესახებ:

სურამის ციხე დგას დაბა სურამის ცენტრში და ისტორიული წყაროებიდან ცნობილია, რომ აქ ურიები, სომხები და ქართველები ცხოვრობდნენ, ანუ ციხის გარშემო დიდი სიჭრელე იყო. სურამულას მარცხენა ნაპირზე სომხები და ურიები სახლობდნენ, მარჯვენა ნაპირზე კი ქართველები, ანუ, სურამულას აქეთ თავად-აზნაურობა და გლეხობა, ე.ი. „განათლებულნი“ ბინადრობდნენ, იქეთ კი „გაუნათლებლები“. თუმცა... სურამული ნაზუქი ერთნაირად უყვარდათ და უყვართ, როგორც სურამულას მარცხენა ნაპირზე ისე, მის მარჯვენა მხარეს.

სურამულას აქეთ და იქეთ სურამის ციხის გარდა მრავალი მიმზიდველი ღირსშესანიშნაობა: ამაღლების ეკლესია გვერდისუბანში, იტრისა და ბიჯნისის მონასტრები, კვირიაცხოვლის ეკლესია, აქ არის სინაგოგაც, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ებრაელებისთვის და სურამის ზოგად სიჭრელესთან ერთად ქართველი ერის შინაგან ტოლერანტობაზე მეტყველებს.

რეპორტაჟი მიჰყავდა მაია ჩოლოყაშვილს

LEGENDARY FORTRESS OF LEGENDS

Those who would like to conceptualize Napoleons' words: "Soldiers, forty centuries look down on you from these pyramids!", or what it means when epochs communicate with people from great monuments, it is not necessary to visit Egypt. The Middle Ages look down the earth through fantastic grandeur of Surami Fortress, set on a high rock on the left bank of the Suramula River in the northern part of the town of Surami, Khashuri Municipality, Shida Kartli. Nobody knows what creates the legendary mightiness of its walls – the real construction or the myth which was snatched by the fantasy of Daniel Chonkadze and was turned into eternal grief of the mother of Zurab, who had been bricked up within the walls.

This monumental piece of art is situated at the juncture of two main roads. One leads to the west through Likhi passes, while the other goes south through the Borjomi Valley. The fortress is a complex which comprises the wall-fortress, the church of St. George, a tower and a palace. According to tradition, the fortress was connected to the church of the Ascension and the River Suramula, from where drinking water was supplied to the fortress.

Nobody knows when exactly the fortress was built, no historical records have been found. According to Platon Ioseliani, Surami and its fortress were built by King Parnajom in the first half of the second century BC, 200 years prior to Christ's birth. Georgian historical sources refer to Surami Fortress as a strategic point from 1625, when Giorgi Saakadze reinforced it with the aim of defending it from Persians.

In the 18th century, during the rebellion against the Persians, Surami Fortress became the main military base of Givi Amilakhvari, head of the military district of Kartli. The enemy failed to capture the fortress – the explosive force of the shells bombarded on the fortress did not work. As tradition has it, the Shah was so surprised by sturdiness of the walls that he sent an artist to draw the fortress. When he saw the picture, he commanded: "Build a fence around it so that nobody can enter or leave it and keep it besieged until those trapped there beg us to release them..."

Later they exploded the fortress twice and a major part of the wall collapsed. On Nadir Shah's order they destroyed the fortress. However, the Georgians restored it soon. In 1972 King Erekle II's testament refers to Surami Fortress as the highest of all the fortresses. According to the sources of 1801, the fortress still operates. Like other Georgian fortresses, it lost its strategic importance in the 19th century, but the medieval epoch incarnated in it is still bustling. It is in order to maintain this spirit and explain the mysteries the fortress keeps that the National Agency

for Cultural Heritage Preservation of Georgia has been conducting works in Surami since 2019.

And, as archaeological excavations are presently underway on the territory of Surami Fortress on the initiative and with financial support of the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia, we offer our reportage from the environs of the weathered walls of Surami Fortress.

The leader of the archaeological expedition of Surami Fortress- Boris Gelashvili comes from Surami himself and he regards investigation of this fortress as not only the sphere of scientific interest, but as honor and personal duty as well.

Thus, Boris Gelashvili from Surami Fortress about Surami Fortress for the readers of 'Online Archaeology':

What is Surami fortress like? It represents Zurab, bricked up within its walls, and looks as handsome as he did. Generally, it is a legendary fortress of legends. They say there are mother's tears still leaking drop by drop from the wall Zurab was bricked up. They also say that during a full moon a woman wrapped in black comes out and calls upon the ruins of the fortress crying: "Surami Fortress, my son Zurab is there and keep him safe".

What can be said about it? It is possible that there really existed Zurab and its equipoise evil, too, but no trace has been tracked here so far; however, we, archaeologists, do not touch the walls, we are dealing with the underground world. The legend about Zurab could be an example of the narrative of the world's brutal mythology which tells us about the castles built with human bones and other gruesome marvels of this kind. But where is in this case the invincible goodness which is eternal? In connection with Surami Fortress this goodness is its legendary invincibility.

Surami has a strategic situation. Given the fact that it is mentioned in ancient sources and that in 1856 an Achaemenid silver siglos of the sixth-fifth centuries BC was discovered here along with a Colchian tetri, it is presumable that Surami must have been inhabited since the fourth century BC. Factual material evidencing this opinion is rather sparse presently, but the area has yielded Colchian axes, as well as the material of the Late Bronze-Early Iron Age.

Surami used to be one of the block points of Zemo Kartli, it could have been custom-house too, i.e. Ali Castle blocked the northern road, Tashiskari – the southern one and Surami the western one. The routes running through Surami conditioned the development of its pre-urban period. All these need to be investigated, as nobody knows the exact date of construction of the fortress, it is not given in historical sources. The church of St. George is dated to the 12th century, therefore, it is presumable that the fortress was established here in the 12th -13th centuries. In short, our main aim is to examine the fortress and then conservation and restoration should be conducted.

'Online Archaeology' about the importance of the ongoing works at Surami Fortress:

The fortress is an extremely important feature for Surami and the whole region. Equally important are the works that the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia is carrying out. These works will result in the revival of cultural directions of the region and promotion of the development of tourism. Culture-science-tourism – are concepts intertwined with each other. Presently, Surami is the point of intersection located on the highway. As is known, the work on the masterplan is underway, according to which the highway must be transferred to the north and, accordingly, Surami will end up completely isolated.

In the 20th century Surami used to be a very popular resort and its dry climate and medicinal mineral water can easily challenge any of the legends. Surami Fortress provides an excellent view over the attractions of the region and the fortress can be seen from any part of Surami... Therefore, travelers can hardly pass by indifferently and leave the area without visiting the fortress.

Boris Gelashvili, leader of the archaeological expedition of Surami Fortress, about archaeological excavations of Surami Fortress from Surami Fortress

In 2019 the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia took charge of conducting works there and provided financial support of cleaning works. The research continued through 2020 too and presently we have received visible outcomes. In 2019 we cleaned the territory which is referred to as a palace in sources. Here we unearthed several pithoi. According to a legend there is a tunnel running down from the east. I went into the tunnel which is blocked at 16-20 meters; however, it is so much inclined that it must reach the Suramela. Presumably, here was a wine cellar and it must have been used as a water reservoir too.

We have already excavated five rooms. Interestingly, they are barrack-like just propped against the wall. These rooms and the wine cellar must belong to the same period. East of the central entrance an interesting room with a wooden roof and a wooden support was evidenced. We called it a watchhouse based on King Erekle's letter sent to the local noblemen: "Put a guard here and take care of the fortress". Therefore, it is obvious that this is the watchhouse with its own hearth, a place for fire, for resting, a water tank, a place for keeping possessions. We documented two pistols, apparently, stored away by a guard.

In the current year we completed investigation of the entrance and continued works south-east of the fortress. Here was revealed an early period wall which had been buried in the ground and which looks very different from others. It had been repaired several times, but the major repair occurred in the 16th century. Apparently, techtonic tremors caused upheavals which resulted in the damage of the upper part of the wine cellar. On the east the wall has stairs and, presumably, the palace was on the upper floor, i.e. the wine cellar had been arranged on the ground floor, and the palace – on the first floor.

There is a church of St. George in the south-west. On removing the eroded land, we uncovered a massive wall of an earlier period which had been built with ashlar blocks. An unfinished room was discovered between the church and this wall. It is also interesting that there is another room near the south-western part of the fence.

I have seen three tunnels at Surami Fortress which, seemingly, allowed to leave the area and bring in water and food during the siege which, indeed, created defense capacities. The most interesting of the rooms is a secret passage which must have had a door from the side of the church. It is about a four-square- meter room, and a pit carved into the natural rock indicates that here they descended with wooden stairs. It is the fourth secret passage which was connected to the Suramula.

In the upper fortress we discovered traces of another earlier period room built with ashlar blocks. It must belong to an earlier period, because an extension was made to it later; there were also three pithoi and a clay water tank (1). Supposedly, unlike the wine cellar, where wine was kept along with water, upstairs they must have kept only water supply; there was shortage of water in Surami Fortress and it had to be carried from the Suramula. However, this would be impossible during the siege and, therefore, water reservoirs had been arranged there. As is known, a garrison of 100 soldiers was camped at the fortress and they had to be provided with water for at least a month...

Primary outcomes of the excavations of the fortress are interesting with regard to the dating of the fortress. As previously mentioned, there is a presumption that the fortress was built in the 12th -13th centuries. The archaeological expedition of Surami has already found fragments of pottery typical of an early stage. Therefore, on completion of investigation we will know the date, at least the approximate one, of construction of the fortress.

It is important that local youths are involved in the ongoing archaeological works.

'Online Archaeology' about Surami and the Suramula:

Surami Fortress is situated in the center of the town of Surami and it is known from historical sources that here lived Jews, Armenians and Georgians, i.e. there was great diversity around the fortress. The left bank of the Suramula was inhabited by the Armenians and Jews, while on the left bank lived the Georgians. It means that on this side of the Suramula resided nobles and peasantry, or 'enlightened', while on the other side – 'the illiterate'. However, Suramian cake-bread has always been loved by everyone, on both the left bank and the right banks of the Suramula.

Both banks of the Suramula offer a lot of attractions: a church of the Ascension in Gverdisubani, Itri Monastery, Bijnisi Monastery, Kviriatskhoveli Church, a synagogue which is very important to the Jews and, along with general diversity of Surami, all these speak about the internal tolerance of the Georgian nation.

Th interview conducted by Maia Cholokashvili

მუზეუმები და არტეფაქტები

„ღრმა და მრავალმხრივია ნოქალაქევის ნაქალაქარის უნიკალურობის არსი: არათუ მხოლოდ ეგრისის სამეფოში, ან თუნდაც მთელ საქართველოში, არამედ სრულიად ამიერკავკასიაში ამ პერიოდის ამგვარი მასშტაბების ქალაქი არ არსებობს. უნიკალურია მისი დახვეწილი ინფრასტრუქტურაც, ნოქალაქევის ნაქალაქარი საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სრულიად განსაკუთრებული სამეცნიერო და ეროვნული მნიშვნელობის საეტაპო ძეგლია – შენარჩუნებული თვითმყოფადობის ფონზე ინტეგრირებული მსოფლიო მულტიკულტურულ სივრცესთან.“ – წერდა 2018 წელს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის მოადგილე, არქეოლოგი დავით ლომიტაშვილი [ლომიტაშვილი დ. ონლიაინ არქეოლოგია, 2018:137] და, სავარაუდოდ, უკვე ფიქრობდა ძეგლის უნიკალურობის შესაბამის სამუზეუმო ინტერპრეტაციაზე.

ბატონი დავითის საკმაოდ თამამად გააზრებული თანამედროვე ინტერპრეტაციის შედეგად ნოქალაქევის მუზეუმის რეაბილიტაციის პროექტი შედგა და მოხდა ისე, რომ დღეს ციხეგოჯი სწორედ შენარჩუნებული თვითმყოფადობის ფონზე შეერწყა თანამედროვეობას, ანუ არ დაირღვა ბალანსი – ყველაზე ძველი ჰარმონიულად დაზავდა ყველაზე ახალთან. ძველისა და ახლის სინთეზით ნოქალაქევის უნიკალურობის არსი გაფართოვდა – არც წარსული ჩაგრავს თავისი დიდებულებით თანამედროვეობას, არც თანამედროვეობის თამამი ვნებათა ღელვა იმორჩილებს წარსულს და მათი ერთსულოვნება ქმნის იმ მთავარს, რასაც მომავალი ჰქვია...

მივუყვებით არქეოპოლისისკენ მიმავალ გზას...

პირველი თანამედროვე ატრაქცია კარიბჭესთან გვხვდება – ლოდსარტყოცნი... აი, თურმე როგორი ყოფილა ბიზანტიისა და სასანიდთა იმპერიის მრისხანე შუამავალი... ციხეგოჯის კედლებიდან გადმოკიდებული, თუ სხვადასხვა ადგილას ჩასაფრებული ფერმკრთალი

რაინდების გაცოცხლებული აჩრდილები, სადღაც ქუჯი ერისთავის გამოჩენას გვამცნობს და 21-ე საუკუნის მოდერნისტული სითამამით წარსულ და მომავალ ბატალიებს დუელში იწვევს... ყველაზე განიერი გვირაბის ბოლოში მწვანე სინათლედ ანთია ტეხური... აბჯროსან მეომრებს, რკინის ბადეებში ჩაწყობილ ლოდებს თუ საბრძოლველად შეღერებულ ლოდსარტყორცნებს უბრალო მგზავრები მივყავართ იქ, სადაც იმპერიები ეგრისზე გაბატონებისთვის იბრძოდნენ, როცა:

„მერმეროე ცხენოსანი ჯარითა და რვა საბრძოლო სპილოთი არქეოპოლისისაკენ გაემართა. ქალაქის კედლების დანახვისას სპარსელები მიხვდნენ, რომ აქ ჩვეულებრივ ლოდსატყორცნებს ვერ გამოიყენებდნენ, ამიტომ მერმეროემ ჯარში მყოფ ჰუნებს უბრძანა, ისეთი მსუბუქი ლოდსატყორცნები დაემზადებინათ, რომ ჯარისკაცებს მათი მხრებით ზიდვა შესძლებოდათ. მთავარსარდალმა ქვეით შუბოსანთა ერთი რაზმი ზედა ქალაქის გალავანთან აღმართულ კლდეზე გაგზავნა, რათა ქალაქელებისათვის შუბები ზემოდან დაეშინათ, თავად კი დანარჩენ ჯარს ქვემო კარიბჭისაკენ გაუძღვა, წინ ლოდსატყორცნებიანი მებრძოლები და სპილოები ჩაიყენა და ძლიერი შეტევა წამოიწყო...“

ნოქალაქევის ნაქალაქარის წარსულისა და თანამედროვეობის შესახებ “ონლაინ არქეოლოგიის” მკითხველს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორის მოადგილე, პროფესორი დავით ლომიტაშვილი ესაუბრება.

ნოქალაქევი – 1973 წელი

1973 წელს, როდესაც ნოქალაქევის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (რომელიც მაშინ, ცხადია, არ გახლდათ საერთაშორისო ხასიათის) პარმენ (ნაპო) ზაქარაიას ხელმძღვანელობით მუშაობა დაიწყო, ნოქალაქევში არც ბაზა იყო, არც მუზეუმი. იქ არსებოდა მხოლოდ უზარმაზარი საიტი, უანალოგო ნაქალაქარი ამიერკავსიის სივრცეში. ბატონმა პარმენ ზაქარაიამ აბსოლუტურად სწორად განსაზღვრა მოქმედების პოლიტიკა, ანუ თუ როგორ უნდა წარმართულიყო ნაქალაქარის განვითარება, როგორც მეცნიერული, ისე ტურისტული მიმართულებით. იმ ადგილას, სადაც შემდგომში ათწლეულების განმავლობაში მუზეუმი ფუნქციონირებდა ააშენეს ტიპური კოლმეურნეობის ადმინისტრაციულ-საკანცელარიო დაწესებულება. მაშინ, საბჭოეთის სინამდვილეში ამ შენობის ანალოგიური, თითქმის იდენტური დაწესებულებები შენდებოდა ყველგან, მთელ საბჭოთა სივრცეში. ეს იყო ერთიანი დამტკიცებული პროექტი, როგორც ნოქალაქევისთვის ისე, ვლადივოსტოკისთვის და ა.შ.

ბატონი პარმენ ზაქარაია ზოგადად გამოირჩეოდა თამამი და რისკიანი გადაწყვეტილებებით, მას შეეძლო მძლავრი ნაბიჯების გადადგმა და გადადგა კიდეც. მაშინ მთავრობის დარწმუნება კულტურული დაწესებულების გახსნის აუცილებლობაში ურთულესი საქმე იყო, რადგან ჩვენი ქვეყანა „კომუნიზმის მშენებლობის პროცესის“ მონაწილე გახლდათ. ნაპომ მოახერხა და აი, ამ ტიპური „კოლმეურნეობის საკანცელარიო“ შენობისთვის (მუზეუმის აღმოსავლეთის მხარეს, 1 კმ-ის მოშორებით) ახალი ადგილი გამოაყოფინა. შემდეგ ნოქალაქევში შეიკრა არქიტექტორების ჯგუფი, რომლის წევრებიც ძალიან დიდი ხანი ფიქრობდნენ თუ როგორ მოეხერხებინათ კაპიტალური შენობის ადაპტაცია-მოდელირება და შეექმნათ სამუზეუმო სივრცე. ბოლოს და ბოლოს გაიწერა პროექტი და 1979 წელს მუზეუმის საშტატო განრიგიც შედგა.

მუზეუმები და არტეფაქტები

თავდაპირველად მუზეუმი სენაკის (იმდროინდელი ცხაკაია) მუნიციპალიტეტს ეკუთვნოდა, მოგვიანებით გადავიდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დაქვემდებარებაში. სამუზეუმო კონცეფციისა და ადაპტაციის პროექტის ავტორი გახლდათ ბატონი გიული გეგელია. სწორედ მან მისცა მუზეუმს ის სახე (1988 წ.), რომელიც 2017 წლამდე შენარჩუნდა. იმ პერიოდისთვის ეს იყო პრგორესული მუზეუმი, პერიფერიისთვის საკმაოდ თამამი გადაწყვეტილებით, როგორც ინტერიერში, ისე ექსტერიერში. მისი საშტატო განრიგი სრულად აუდიოდა ნაქალაქარის იმდროინდელ დატვირთვას.

ნაქალაქარიც და, შესაბამისად, მუზეუმიც ცენტრალური გზებიდან მოშორებულია, ამიტომ სხვადასხვა ინტერნსივობით ჩამოსული ტურისტების რაოდენობა, ცხადია, ვერ ქმნიდა იმ ზოგად სურათს, თუ რამდენად პუპულრაული შეიძლებოდა გამხდარიყო ნოქალაქევის ნაქალაქარი. ეს მოგვიანებით მოხდა - 2001 წელს, როდესაც მსოფლიოს წამყვანი სამეცნიერიო ცენტრები არქეოლოგიით დაინტერესდნენ.

საქმე ის არის, რომ საიტისა და მუზეუმის განვითარების მთავარი და წამყვანი კომპონენტი ყოველთვის იყო და არის მეცნიერება, სწორედ მეცნიერებაა ტურიზმის განვითარების საწინდარიც. მზარდი ტურიზმის ტენდენციას განაპირობებს ის ვებ-გვერდები, რომლებიც ჩვენ შევქმენით დიდ ბრიტანეთთან ერთად, ნოქალაქევის ქართულ-ინგლისური საერთაშორისო ექსპედიციის ფარგლებში და დონეზე და ყოველწლიურად ვამდიდრებთ ახალ-ახალი აღმოჩენების ტექსტუალური თუ ფოტომასალით. ეს გახლავთ მძლავრი მუშა სეგმენტი, რომელიც გვაძლებს იმის თქმის საშუალებას, რომ მომავალში აქ ბევრად უკეთესი და ძლიერი სამეცნიერო ცენტრი შეიქმნება.

ნოქალაქევი - 2005 – 2014 წწ.

2005 წელს ნოქალაქევის მუზეუმის განვითარების კონცეფციაზე დავიწყეთ მუშაობა ნორვეგიელებთან ერთად, რადგან იმ დროისთვის საქართველოში არც ერთ ძეგლს თავისი მენჯემენტ-გეგმა არ გააჩნდა. ეს ახალი სიტყვაა ზოგადად ქართული კუტურული მემკიდრეობის განვითარების ისტორიაში. 4 წელი ვიმუშავეთ მის შექმნაზე და 2014 წელს (ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის პრემიერობის პირობებში) გადაწყდა, რომ პროექტს მიეცემოდა განვითარების საშუალება და დავიწყეთ ნაქლაქარის ქვედა ტერასის დაგეგმარება. რადგან ნოქალაქევი სამიარუსიანი ძეგლია - აგორა, ციტადელი და აკროპოლისი ერთიანი გალავნის სისტემაშია ჩართული, ამიტომ დიდხანს ვფიქრობდით, თუ როგორ უნდა მოგვეხერხებინა შენობის ადაპტირება რეალობასთან, მაგრამ არაფერი გამოგვდიოდა, ამიტომ გადავწყვიტეთ მისი დემონტაჟი, რაც განვახორციელეთ კიდეც.

ახალი მუზეუმი, რომლის შავი კარკასის მშენებლობა ფაქტიურად წელს მთავრდება წინა შენობასთან შედარებით ბევრად უფრო მოცულოობითია. იმ შენობის ფართობი იყო 600 კვ.მ, დღევანდელი მუზეუმის ფართი 2 000 კვ.მ-ს აღწევს. აღსანიშნავია ის, რომ კულტურული მემკვიდრეიბის დაცვის თვალსაზრისით აქ კიდევ ერთი მოდერნისტული ნოვაცია გვაქვს: მუზეუმის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი გახლავთ ქიმიურ-სარესტავრაციო ლაბირატორიის შექმნა, რომელიც შესაბამისი აღჭურვილობისა და ადამიანური რესურსით დაკომპლექტების შემდეგ დასავლეთ საქართველოს ყველა მუზეუმს მოემსახურება, რითიც ნოქალაქევის არა მხოლოდ ცნობადობა გაიზრდება, არამედ გაფართოვდება მისი ფუნქცია-დანიშნულებების სპექტრი.

დღეს 21-ე საუკუნეში საზოგადოება უკვე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მხოლოდ ნივთის აღმოჩენა არ არის თვითმიზანი, საჭიროა მისი მოვლა. მსოფლიო უზარმაზარ თანხებს ხარჯავს თითოეული არტეფაქტის პატრონობასა და შენახვაზე.

ნოქალაქევი დღეს

პირადი კონტატქტების წყალობით დღეს ჩვენ გვაქვს საშუალება, პერმანენტული ტრენინგების ჩატარებისა იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ხვალ თუ ზეგ ნოქალაქევის მუზეუმის თანამშრომლები გახდებიან. დაგვჭირდება ფიზიკოსი, ქიმიკოსი, ანუ სრულიად განსხვავებული პროფესიის ადამიანები. პირადად მე ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ვთანამშრომლობდი სენაკის გამგებლებთან, ვცდილობდი ბაკალავრების დაინტერესებას, სურვილის შემთხვევაში, გადამზადების შედეგად ჩვენთან თანამშრომლობის მიზნით. შესაბამისად, ხელისუფლების დახმარებით ვიზრუნებთ ახალგაზრდების დასაქმებაზე, არა მხოლოდ დასაქმების თვითმიზნით, არამედ იმისთვის, რომ მათ გაუჩნდეთ მნიშვნელოვანი ფუნქცია-მოტივაციები და საჭირო სპეციალისტებად ჩამოყალიბდნენ. ამ მიმართულებით დიდი გეგმები გვაქვს. ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს ინგლისთან, იაპონიასთან და სხვ. დაპირებები არის, ვნახოთ როგორ შედგება მომავალი, ჯერჯერობით ჩვენ თვითონ არ ვართ მზად უახლესი უცხოური ტექნოლოგიების მისაღებად, რადგან ნაგებობა შენების პროცესშია.

ნოქალაქევი ხვალ

ვფიქრობ ნოქალაქევის რეაბილიტაცია 3 წელიწადში დასრულდება და ჩვენ მივიღებთ ევროპული სტანდარტის მაღალი დონის მუზეუმს, რენდგენისთვის განკუთვნილი ტყვიის კედლებით აღჭურვილი საცავებით. აქ იქნება ყველაფერი, რაც საჭიროა საამისოდ, რომ ადამიანმა უსაფრთხოდ იმუშაოს ყველა იმ თემაზე, რომელიც საჭიროა კუტურული მემკვიდრეობის დაცვისა და მართვისთვის.

რაც შეეხება არტეფაქტებს, კანონის მიხედვით კულტურული მემკვიდრეობის შესახებ, არტეფქტები ბარდება აღმოჩენის ადგილთან არსებულ უახლოეს მუზეუმში. ცხადია, ყველა მოისურვებს, რომ შემთხვევით თუ გათხრების შედეგად აღმოჩენილი ნივთები

ნოქალაქევის მძლავრ მუზეუმში განათავსოს. ასე, რომ აქ იქნება მთელი რეგიონიდან მომდინარე არტეფაქტები. ცხადია, ამით სხვა მუზეუმებს კონკურენცია გაეწევა, მაგრამ ეს არის ჯანსაღი პროცესი. ზოგადად, ჯანსაღი კონკურენცია არ მოიაზრებს სხვის დაჩაგვრას, პირიქით კონკურენტის გაძლიერებასაც გულისხმობს. საჭიროა ტურიზმის დივერსიფიცირება. ყველამ კარგად ვიცით, რომ მარტო ნოქალქევისთვის არ ჩამოდის საქართველოში ვიზიტორი, მას აინტერესებს ქვეყანა და შესაბამისად, არა მხოლოდ ნოქალაქევის მუზეუმი, არამედ ვანის, ჩხოროწყუსა და სხვა მუზეუმებიც.

მომავლის მუზეუმი – წარსული მომავალში

რას გამოსახავს ნოქალაქევის თანამედროვე ატრაქციები?

პირველ ყოვლისა, აღვნიშნავ, რომ ეს იდეა განახორციელეს ძმებმა კახი და რატი ერაძეებმა, რომლებსაც ამ საქმის ძალიან დიდი გამოცდილება აქვთ. ყველაფერი, რაც ახლა სახეზეა მუშაობის მხოლოდ საწყისი ეტაპის დასასრულია. ეს კონსტრუქციები დაიფერება ანტიკოროზიული საღებავებით, იმისთვის რომ არ დაიწყოს ღია სივრცეში მათი დაჟანგვა. კონკრეტულად ის სცენები, რომლებსაც დამთვალიერებელი ხედავს არის პასაჟი ეგრისის დიდი ომიანობიდან (542-562 წწ.), იმ ურთულესი პერიოდიდან, როცა ნოქალაქევის გალავანზე 32 00 ბიზანტიული ჯარისკაცი იდგა და ზოგიერთი ინფორმაციით სპილოებითაც კი უტევდნენ არქეოპოლისს. ამ ატრაქციების მიზანია ისტორიის გაცოცხლება ბუტაფორიული ელემენტებით, იმავდროულად, გვინდა მნახველს დავანახოთ ის, რაც ჩვენ გავთხარეთ და აღმოვაჩინეთ.

თვალსაჩინოებისთვის მოვიყვან მაგალითს: გასული საუკუნის 70-იან წლებში გალავნებს შორის გათხრების დროს ვნახეთ პირქვე ჩამხობილი ჯარისკაცი, რომელსაც შუბისპირი ჰქონდა გაყრილი. ვიპოვეთ შუბის პირიც და ჩვენ ეს ეპიზოდი გავაცოცხლეთ. როდესაც არქეოპოლისში შეხვალთ და ზემოთ აიხედავთ, დაინახავთ გალავნიდან გადმოკიდებული ჯარისკაცის მულიაჟს. წარსულის საუკეთესოდ აღქმისა და ვიზუალიზაციისთვის ვაჩერებთ დინამიკას და გადაგვყავს სტატიკაში. მულიაჟები საიტს ყოველწლიურად პერმანენტულად დაემატება, ყველა ინფრასტრუქტურულ ერთეულთან გაჩნდება ასეთი ჩანართები.

ეს ცოცხალი პროცესია, მომავლის მუზეუმი - წარსული მომავალში.

დავით ლომიტაშვილი

"The essence of uniqueness of Nokalakevi is deep and diverse: there is no other city of these dimensions belonging to this period not only in the kingdom of Egrisi, or across Georgia, but throughout Transcaucasia either. Its refined infrastructure is unique, too... The city-site of Nokalakevi is Georgia's cultural heritage site of very special scientific and national importance which has been integrated with the world's multicultural space while retaining its individuality", wrote archaeologist David Lomitashvili, the deputy director of the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia in 2018 [Lomitashvili D. Online Archaeology, 2018:137] and probably he was already thinking about the museum interpretation relevant to the uniqueness of the site.

As a result of Mr. Lomitashvili's rather daringly conceptualized modern interpretation, the rehabilitation project of the museum of Nokalakevi was accomplished and it seems that today Tsikhegoji's preserved distinctiveness perfectly merged with modernity, i.e. the balance was not disturbed – the oldest harmoniously reconciled with the newest. The synthesis of old and new caused the essence of uniqueness of Nokalakevi to expand – the past does not oppress the present with its grandeur; neither does the daring anxiety of modernity make the past subordinate to it and their cohesion creates something called the future...

We are walking along the road leading to Archaeopolis...

The first attraction we encounter is at the gate – a siege catapult... This is what the ferocious mediator of Byzantium and the Sassanid Empire looks like... The enlivened ghosts of the pale knights hanging over the walls of Tsikhegoji or ambushed in different places proclaim appearance of Kuji Eristavi somewhere and challenge the battles of the past and present to a duel with the modernistic audacity of the 21st century... The Tekhuri River is lit in green at the end of the widest tunnel... Armed warriors, boulders packed in iron nets and the catapults ready to fight lead us, ordinary travelers, to the place where empires fought to gain control over Egrisi when:

"Mermeroe set off for Archaeopolis with his horse cavalry and eight warrior elephants. On seeing the walls of the city, Persians realized that it would be no good to use ordinary catapults, so Mermeroes ordered the Huns serving in his army to make light catapults so that the soldiers would be able to carry them on their shoulders. The commander-in-chief sent a squad of spearmen to the rock erected over the fence of the upper city in order to throw spears on the citizens, while he, himself, led the rest of the army to the lower gate putting the warriors with catapults and the elephants on the front line and embarked on a heavy attack..."

Deputy Director of the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia, David Lomitashvili tells the readers of 'Online Archaeology' about the past and the present of the city-site of Nokalakevi.

Nokalakevi-1973

In 1973, when the archaeological expedition of Nokalakevi (which, indeed, was not an international site at the time) started work under the leadership of Parmen (Napo) Zakaraia, there were no base or a museum in Nokalakevi. It was just a huge city-site unrivaled in Transcaucasia. Mr. Parmen Zakaraia correctly determined the action policy, i.e. how to conduct the development of the city-site in both scientific and touristic directions. At the place where later the museum operated for decades, they built a typical administrative facility for a collective farm. At the time, throughout the Soviet Union, they usually built identical structures. The same project was applied in Nokalakevi, as well as Vladivostok, etc.

Mr. Zakaraia was distinguished by his daring and risky decisions; he could take serious steps and he took one. At the time it was very difficult to persuade the government to open a cultural institution, as our country participated in the 'process of building Communism'. The scholar managed to have a new location allocated for the administrative building of the collective farm (one kilometer east of the museum). Following that a group of architects got together to decide how to adapt and remodel the construction and create museum space. Eventually, the project was drawn up and in 1979 a list of regular staff was compiled.

Initially, the museum belonged to Senaki (then Tskhakaia) Municipality, but later it was transferred under the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia. Mr. Giuli Gegelia was the author of the museum concept and adaptation project. It was him who gave the museum the image (1988) that was maintained until 2017. At the time it was an advanced museum with rather daring rendering of both interior and exterior set in the periphery. Its staff coped with the workload quite efficiently.

The city-site and, accordingly, the museum are far from central roads; therefore, indeed, the number of tourists arriving here with various intensity did not provide a general picture of how popular the city-site of Nokalakevi could become. It happened later, in 2001, when the world's leading scientific centers developed interest in archaeology.

The point is that the main and important component of development of a site and a museum has always been science and it is science that creates precondition for tourism development. Growing tendency of tourism is promoted by the webpages that we created in cooperation with the Great Britain, in the frames of the Georgian-British international expedition of Nokalakevi, which we annually enrich with textual and photo material concerning new discoveries. It is a powerful segment which allows us to claim that a much better and strong science center is to be created in the future.

Nokalakevi – 2005-2014

We started working on the concept of development of the museum together with a Norwegian group, as, at the time, none of the sites had their own management plan in Georgia. It is a novelty in the history of development of Georgian cultural heritage. Our work on the concept lasted for four years and in 2014 (under Prime Minister Irakli Gharibashvili) a decision was made to allow the project to develop and we started to plan the lower terrace of the city-site. As Nokalakevi is a site with three tiers and the agora, citadel and acropolis

are involved in the united system of the fence, it took us long to determine how to adapt the facility to the reality, but we failed to do so and eventually decided to knock it down.

The new museum, the frame of which is going to be finished this year, is far larger than the previous one. The area of the latter was 600 sq. m, while that of the new museum covers 2,000 sq. m. Remarkably, in respect with protection of cultural heritage, we have another modernistic innovation: one of the priorities of the museum is to create a chemical-restoration laboratory which, after being equipped with relevant appliances and staffed with human resources, will serve all the museums in western Georgia, which will not only raise the awareness of Nokalakevi, but expand its functions as well.

Presently, in the 21st century, the public has already reached a conclusion that only the discovery of an artifact is not an end in itself – it is necessary to look after it. The world spends huge sums on maintenance and preservation of every single artifact.

Nokalakevi today

Due to personal contacts, today we are able to conduct permanent trainings for those who are about to become employees of the Nokalakevi museum. There will be demand for a physicist, chemist, i.e. people of completely different professions. Personally, I had been collaborating with the governor of Senaki for a long time trying to get holders of bachelor's degree involved in our work and, in the case of their interest, retrain them with the aim of cooperating with us. Accordingly, with the government's assistance, we will take care of the youths' carriers so that they develop significant functions and motivations and become necessary specialists. We are planning a lot in this direction. We are conducting negotiations with England, Japan, etc. We have promises and we will see what happens in the future; for the time being, we are not ready to receive the latest foreign technologies as the building is yet under construction.

Nokalakevi tomorrow

I think, rehabilitation of Nokalakevi will finish in three years and we will receive a high standard museum equipped with depositories with lead walls designated for x-raying. It will provide everything necessary for working safely towards protection and management of cultural heritage.

As for artifacts, according to the cultural heritage law, artifacts are entrusted to the museum located closest to the place of discovery. Indeed, everyone would like to house the objects discovered accidentally or as a result of excavations in the strong museum of Nokalakevi. Thus, artifacts will enter the museum from the whole region. Of course, other museums will be challenged, but it is a healthy process. In general, competition does not imply oppressing others, on the contrary, it implies their enhancement. It is necessary to diversify tourism. We all know that Nokalakevi is not the place visitors arrive in Georgia for – they are interested in the country and, accordingly, and it is not only the museum of Nokalakevi, but Vani, Chkhorotsku and others as well.

The museum of the future – past in the future

What do modern attractions of Nokalakevi show?

First, it should be mentioned that this idea was accomplished by brothers Kakhi and Rati Eradze, who are highly experienced in this field. Whatever one can see here is the end of the first stage of works. These constructions will be coated with anti-corrosion paint in order to prevent them from rusting in the open air. The scenes visitors can see are from the great war of Egrisi (542-562), from the hardest times when 32,000 Byzantine soldiers attacked the city of Archaeopolis and, according to some sources, they even used elephants. The aim of these attractions is to revive history with mockup elements and, on the other hand, to show beholders what we have excavated and discovered.

Here is an example: during the excavations of the 1970s, we found a soldier lying with his face down and a spearhead driven through his body. We decided to liven up this episode, so when you visit Archaeopolis and look up, you will see a plaster cast of a soldier hanging from the fence. In order to perceive and visualize the past, we bring dynamics to a halt and transfer it into static. There will be more plaster casts every year and they will appear at all the infrastructural units.

It is a live process, the museum of the future – the past in the future.

David Lomitashvili

ჭაქვინჯა

თუკი სამეგრელოს მთისწინეთში, მდინარე ჭანისწყლის მარჯვენა სანაპიროზე გაისეირნებთ, შეგხვდებათ სოფელი ჯიხაშკარი. ის ერთი შეხედვით ტიპური მეგრული დასახლებაა - ოდებით დახუნძლული, კოხტა და სტუმართმოყვარე. მაგრამ... შავი ზღვის სურნელით შეზავებული სუბტროპიკული ჰავით სასიამოვნოდ თავბრუდახვეულ მგზავრს, სოფლის ძირითადი გზის მარცხენა მხარეს, ანდამატივით მიიზიდავს რაღაც, ვიღაცის დაჟინებული მზერასავით შეუპოვარი და აიძულებს შეჩერდეს, ზემოთ აიხედოს. ზემოდან კი, სოფელსა და მთელ სამეგრელოს, ჭაქვინჯის ციხე დაჰყურებს, რომელიც ცისკენ მიმავალი ბილიკით ყველა მოგზაურს თავისკენ იხმობს.

მთავარი გზიდან სულ რაღაც 1 კილომეტრში, ოდებს შორის ჩაკარგულ, ღორღიან სავალ ნაწილს ვიწრო საცალფეხო ბილიკი შეცვლის, რომელიც ციხის კართან ჩერდება... ციხე მთელი თავისი დიდებულებით ისე უეცრად ამოიზრდება მიწიდან, როგორც რაღაც მისტერიული მოულოდნელობა, თითქოს მიწამ პირი გახსნა და ქარაფიდან უფსკრულის მოდარაჯე გოლიათი გაათავისუფლაო.

ჭაქვინჯის ჯიხა (ციხე) ისტორიულ წყაროებში სამეგრელოს ერთ-ერთ უძლიერეს ციხედაა მოხსენიებული. პარმენ ზაქარაიას დახასიათებით, ჭაქვინჯა ერთ-ერთია იმ ქართულ ციხესიმაგრეთაგან, რომელთა კედლებსაც აშკარად ეტყობა ათასწლოვანი მშფოთვარე ცხოვრების კვალი. ჭაქვინჯა კეტავდა სვანეთიდან და აფხაზეთიდან მომავალ გზებს. მისთვის მაღალ მთებში ადგილი ისეა შერჩეული, რომ იქ მჯდომი, ძალიან დიდ მანძილზე ზვერავდა მიდამოს. შორს, ქვემოთ კოლხეთის ოქროსფერი დაბლობი მოჩანს, შებინდებისას, ზღვის ანარეკლი რომანტიკული ლიცლიცით ფერავს ციხის გოროზ კედლებს და ფერდობთან ერთად მდინარე ჭანისწყლისკენ ეშვება.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივითა და დაფინანსებით, ჭაქვინჯის ციხეზე 2019-2020 წწ. არქეოლოგიური სამუშაოები განახორციელა ექსპედიციამ არქეოლოგ ნიკოლოზ მურღულიას ხელმძღვანელობით. საინტერესოა, რა თანამედროვე პერსპექტივებს სთავაზობს ციხე ქვეყანას და ქვეყანა ციხეს, რომელიც დაახლოებით 1 500 წლის განმავლობაში იცავდა მას?

მაშ ასე, ჭაქვინჯა - მისი წარსული და მომავალი - ნიკოლოზ მურღულიას თანამედროვე ხედვით „ონლაინ არქეოლოგიის“ მკითხველისთვის:

ჭაქვინჯის ციხესიმაგრე ერთ-ერთი გამორჩეული ხუროთმოძღვრული ძეგლია შუა საუკუნეების საქართველოსთვის. ეს არ გახლავთ მხოლოდ ერთი პერიოდის ძეგლი. კონკრეტულად ციხესიმაგრე არსებობას იწყებს ადრე შუა საუკუნეებში (IV-V სს.), განვითარებულ შუა საუკუნეებში კიდევ უფრო იზრდება და ძლიერდება და გვიან შუა საუკუნეების ჩათვლით არსებობს, რაც ახლა ჩანს მისი ციტადელია ანუ დედაციხე. ფერდობის ქვემოთ კი ქალაქური დასახლება იყო გაშლილი.

ციხესიმაგრეზე არქეოლოგიური გათხრები ჩატარდა 1967-68 წლებში, აკადემიკოს პარმენ ზაქარაიას ხელმძღვანელობით. მაშინ ძეგლი სრულად აღიწერა, იქ არსებული შესანიშნავი კოშკები, გალავნები აიზომა, აღინუსხა, ჩაიხაზა, გაიწმინდა პალატი, სასახლე და მცირე ეკლესია. პარმენ ზაქარაიამ გამოსცა მონოგრაფია „ჭაქვინჯის ციხე“, სადაც ამ გამორჩეულ ციხესთან დაკავშირებული ყველა დეტალი აღწერა.

და მაინც რითია გამორჩეული?

თავისი არქიტექტურიოთ, ძალინ შთამბეჭდავი კოშკებით, მასშტაბით. ციტადელის სიგრძე 100 მეტრია, სიგანი კი 25 მეტრი. მისი ტერიტორია დაახლოებით მეოთხედ ჰექტარს მოიცავს.

ორიოდე სიტყვა ციხის მდებარეობის შესახებ:

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ჭაქვინჯის ციხე მდებარეობს სოფელ ჯიხაშკარში და არა ჭაქვინჯაში. თვითონ ჭაქვინჯაც სოფელია, რომელიც ციხიდან ცოტა მოშორებით, 5 კმ მანძილზეა. ლეგენდის მიხედვით, ამ სოფელში ყოფილა ძალიან ღრმა ჭა, ისეთი, რომ

მისი ძირი არსად მოჩანდა, ჭაქვინჯა - ნიშნავს „ჭის ძირს“. ისტორიულ სინამდვილეში, დღევანდელი ჯიხაშკარი, სოფელ ჭაქვინჯის ნაწილი იყო. მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში დაერქვა მას ჯიხაშკარი. ადამიანიც კი ცნობილია, რომელმაც ამ სოფელს სახელი შეუცვალა. ჯიხა - ციხეა, ჯიხაშკარი ციხის კარს ნიშნავს.

რაც შეეხება არქეოლოგიურ გათხრებს

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერითა და ინიციატივით, ჭაქვინჯის ციხეზე მცირე მასშტაბის არქეოლოგიური გათხრები გასულ წელს დავიწყეთ. შარშან ზუსტად 50 წელი გავიდა მას აქეთ, რაც დასრულდა პარმენ ზაქარაიას მიერ ჩატარებული პირველი ეტაპის კვლევები ჭაქვინჯის ციხეზე და ამ დროის განმავლობაში, ცხადია, ბევრი რამ შეიცვალა მსოფლიო მეცნიერებაში, მათ შორის, ქართულ არქეოლოგიაშიც. მიუხედავად უდიდესი პატივისცემისა პარმენ ზაქარაიას მიმართ, გადავწყვიტეთ გადგვემოწმებინა მის მიერ მიღებული არქეოლოგიური მონაცემები. ვფიქრობ, ეს არათუ არ აკნინებს დიდი მეცნიერების სახელს ან ღვაწლს, არამედ პირიქით. მით უმეტეს, რომ პ. ზაქარაიას მოსაზრებები, როგორც წესი მართლდება, უბრალოდ, შესაძლოა, თანამედროვე რეალობიდან გამომდინარე და მეთოდიკის გათვალისწინებით რაღაც იყოს გადასახედი, რაღაც ახალი შეემატოს იმას, რაც ძველებმა დაგვიტოვეს.

პირველი წლის სამუშაოების დროს ციტადელის აღმოსავლეთ ნაწილში 3 საცდელი თხრილი გავავლეთ. ერთ თხრილში ძალიან მალევე დავედით ე.წ. ყამირზე, თიროვან ფენაზე. იქ არქეოლოგიურად საინტერესო არაფერი აღმოჩნდა. დანარჩენ 2 თხრილში კი ძალიან კარგი შედეგები მივიღეთ. მეორე თხრილში აღმოჩნდა ადრე ანტიკური ხანის, ქ.წ. V საუკუნის კუტურული ფენა, რაც აქამდე ცნობილი არ იყო. ძველი მონაცემებით, ციხის აშენების ყველაზე ადრეული თარიღი ქ.შ. IV-V სს. გახლდათ. ჩვენ დავადასტურეთ, რომ ადამიანი აქ ციხის აშენებამდე 10 საუკუნით ადრე დასახლებულა.

როდესაც პარმენ ზაქარაიამ შეისწავლა ციხე, მან აღწერა იქ პალატიც, ეკლესიაც, გაწმინდა კედლები და გააკეთა

ჩანახაზები, შემდეგ ეს ყველაფერი გამოსცა კიდეც. ერთი სიტყვით, ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია შეადგინა, მაგრამ, მას არ მიუკვლევია ადრე ანტიკური ხანის ფენებისთვის. ეს იყო შარშანდელი გათხრებით მიღებული მთავარი სიახლე, გარდა ამისა, მივაგენით უცნობი დანიშნულების ნაგებობის კუთხეს, პატარა ფრაგმენტებს, რაც გახდა ძირითადი მოტივაცია საამისოდ, რომ წელს უფრო ფართო მასშტაბის კვლევები ჩაგვეტარებინა.

არქეოლოგიურად საინტერესო 2 თხრილი გავაერთიანეთ და მივიღეთ ფართობი 7X16 მ. დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ აღმოვაჩინეთ 2 ქრისტიანული სამარხი ეკლესიასთან, რაც არ იყო მოულოდნელი, რადგან, ცხადია, რომ ეკლესიის გარშემო აუცილებლად იქნებოდა სასაფლაო; დავადასტურეთ ადამიანის არეული ძვლები, რაც ან მეორად დაკრძალვას უნდა უკავშირდებოდეს, ან რაღაც სხვა ტიპის აქტივობას. შესაძლოა, რაღაცამ დააზიანა ეკლესიის გარშემო არსებული სასაფლაოები და ნაგებობის კუთხე, რომლის გაგრძელება შარშან აღმოვაჩინეთ, როგორც ჩრდილოეთით, ისე აღმოსავლეთ მიმართულებით, ხოლო მის თავზე დავადასტურეთ სხვა ნაგებობის ნაშთი. აქ საქმე გვაქვს შუა საუკუნეების არქეოლოგიასთან, როგორც განვითარებული შუა საუკუნეების ნაგებობასთან და მასთან დაკავშირებულ კულტურულ ფენებთან, ისე გვიანი შუა საუკუნეების შენობასთან ძალიან საინტერესო ქვაყრილით, რომლითაც ინტერიერია "მოკირწყლული".

წელს ნაგებობის მხოლოდ კონტურები გამოვავლინეთ, სამომავლოდ კი იგეგმება ამ ქვაყრილის აყრა და უკვე შენობის ინტერიერში სასიარულო დონის დაფიქსირება და შესწავლა. ეს ყველაფერი საიტერესოა იმ მხრივაც, რომ ჩვენ ზოგადად არ გვაქვს დიდი ინფორმაცია დასავლეთ საქართველოს ცალკეულ ციხესიმაგრეებზე ერთიანი საქართველოს პერიოდში, ვგულსხმობ გაერთიანებულ საქართველოს, როცა ქვეყანა მოიცავდა აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს (და არა მხოლოდ) ტერიტორიებს. სამწუხაროდ, დიდ ინფორმაციას არც წერილობითი წყაროები გვაწვდის ამ რეგიონის შესახებ და არც ბევრი ციხესიმაგრეა სათანადოდ გამოკვლეული. ამ მხრივ მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ბევრად უკეთ არის შესწავლილი ადრეანტიკური ხანის კოლხური დასახლებები. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ასეთი ტიპის დასახლება ჭაქვინჯაშიც აღმოჩნდა.

ჩემი აზრით, აუცილებელია, უკეთ შევისწავლოთ რა ხდებოდა ჯიხაშკარის ტერიტორიაზე ერთიანი საქართველოს პერიოდში, სადაც ასეთი შესანაშნავი ძეგლია თავისი საკულტო, სამეურნეო თუ საცხოვრებელი დანიშნულების ნაგებობებით. იმედია, ჭაქვინჯის ციხის მომავალი კვლევები ყოველივე ამის შესახებ კიდევ უფრო მეტ ინფორმაციას მოგვაწვდის, რაც მოგვცემს საშუალებას, ვიმსჯელოთ არა მხოლოდ კონკრეტულად ჭაქვინჯის ციხის შესახებ, არამედ განვითარებული და გვიანი შუა საუკუნეების საქართველოს ამ ნაწილის ხუროთმოძღვრული, ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური ისტორიის თაობაზე.

ნიკოლოზ მურღულია

Chakvinja

If you have a walk in the foothills of Samegrelo, on the right bank of the River Chanistskali, you will come across Village Jikhashkari. At first sight, it is a typical Megrelian settlement packed with wooden houses, neat and hospitable. However, the traveler feeling giddy with subtropical air mingled with the scent of the Black Sea, will be allured by something indomitable like insistent gaze and will be forced to look up. And up is Chakvinja Castle, overlooking the village and whole Samegrelo inviting every traveler to go along the path leading to the heaven.

At about one kilometer from the main road, the dirt road turns into a footpath reaching the door of the castle... The castle rises with its glory as unexpectedly as a mysterious surprise, as if the earth opened and released the giant guarding the abyss.

Historical sources refer to Chakvinja Castle as one of the strongest in Samegrelo. According to Parmen Zakaraia, Chakvinja is one of the Georgian fortresses whose walls still bear trace of thousand-year-old bustling life. Chakvinja blocked the roads running from Svaneti and Abkhazeti. The setting is selected in the way that someone occupying it would survey the area over a long distance. Far away, below, one can see golden Colchis Plain; at dusk, the reflection of the sea romantically shimmers on the haughty walls of the castle and descends towards the River Chanistskali.

On the initiative and financial support of the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia, in 2019-2020 archaeological excavations were conducted at Chakvinja Castle under the leadership of archaeologist Nikoloz Murghulia. What modern prospects does the castle, which defended the country for almost 1,500 years, offer the country, and vice versa?

Thus, here is Chakvinja, its past and future seen by Nikoloz Murghulia, for the readers of 'Online Archaeology':

Chakvinja Castle is one of the outstanding architectural monuments of medieval Georgia. It is not the site of just one period. The fortress itself emerges in the early Middle Ages (4th -5th cc), expands and becomes powerful in the high medieval epoch and remains in existence through the Late Middle Ages. Today one can see its citadel, while below there was an urban settlement set on the slope.

Archaeological excavations at the castle took place under the leadership of Acad. Parmen Zakaraia in 1967-1968. The expedition provided a complete description of the site, the wonderful towers and fences were measured, registered, and drawings were made; the palace and the minor church were cleaned. Parmen Zakaraia published a book 'Chakvinja Castle', in which he describes every detail of this outstanding castle.

But what makes it outstanding?

Its architecture, impressive towers and dimensions. The citadel is 100 meters long and 25 meters wide. It covers an area of about a quarter of a hectare.

Shortly about the situation of the castle:

It must be noted that Chakvinja Castle is situated in Village Jikhashkari, not in Chakvinja. There is a village of Chakvinja a little further, at five kilometers. According to a legend, there used to be a very deep well in the village, so deep that its bottom was not visible, and chakvinja translates as the 'bottom of the well'. Historically, present Jikhashkari was part of Village Chakvinja. It was called Jikhashkari only in the early 20th century. Even the person who changed the name of the village is known. Jikha means a castle, and jikhashkari - the door of the castle.

About the archaeological excavations:

On the initiative and with the support of the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia, small-scale archaeological excavations started at Chakvinja Castle last year. 50 years had passed since the first stage of investigations were conducted at the castle under Parmen Zakaraia. Since then a lot has changed in the world science, including Georgian archaeology. Despite deep respect toward Parmen Zakaraia, we decided to examine the archaeological data received by him. In my opinion, it does not diminish the fame and contribution of the great scholar, on the contrary. Moreover, P. Zakaraia's opinions are usually substantiated. Simply, sometimes, given the reality and modern methodology, some things might need to be revised and enriched.

During the first year of works we made three trial trenches in the eastern part of the citadel. In one trench we managed to reach a limestone layer. Nothing of archaeological interest was revealed there. However, we received good results in other two trenches. The second trench yielded a cultural layer of the Classical epoch – the fifth century BC, which had been unknown before. According to former data, the castle was built in the 4th -5th cc AD. But we confirmed that humans had inhabited the area ten centuries earlier.

When Parmen Zakaraia studied the castle, he described the palace, the church, cleaned the walls and made drawings, which were published as well. He compiled very important documentation, but he never tracked the Classical period layers. This was something of the main novelty acquired as a result of last year's excavations. Besides, we found the corner of a construction of unknown function, which became the incentive of conducting wider scale excavations in the current year. We unified the two archaeologically interesting trenches and received an area of 7 x 16 m. To sum up, we discovered two Christian burials near the church, which was quite expected as, indeed, there had to be a graveyard around the church. We documented disturbed human bones which must be associated to the re-burial or some other kind of activity. It is possible that something caused the graves around the church and the corner of a construction to damage. Last year we discovered extension of the corner on the north and the east and remains of another structure above it. In this case we are dealing with medieval archaeology – a structure of the High Middle Ages and the

cultural layers connected to it, as well as with a medieval building with an interesting rubblework which the interior used to be 'paved' with.

This year we revealed only the contours of the structure, but in the future, we are planning to remove the rubblework and reveal the walking level of the interior of the structure. All this is also interesting from the point of view that we do not possess much information about separate fortresses of western Georgia in the period of united Georgia, I mean the period when the country covered the territories of both eastern and western (and not only) Georgia. Regrettably, there is shortage of information about this region in written sources as well and not many castles have been investigated so far. It is notable that there is more comprehensive knowledge about the Colchian settlements of the early Classical period. It is also remarkable that such a settlement was discovered at Chakvinja too.

I believe it is necessary to research what the situation was like on the territory of Jikhashkari in the times of united Georgia, where there are so many wonderful sites with religious, household and residential facilities. Hopefully, further research of Chakvinja Castle will provide more information about all these which will enable us to discuss Chakvinja Castle itself, as well as architectural, economic, political and social history of this part of late medieval Georgia.

Nikoloz Murghulia

ნოქალაქევის ქართულ-ბრიტანული არქეოლოგიური ექსპედიციის 20 წლის იუბილე
და
ონლაინ სეზონი - 2020

„ციხესიმაგრეები ეს ხომ საქართველოს ისტორიაა.“ - წერდა ირაკლი ციციშვილი და მიაჩნდა, რომ სწორედ ციხესიმაგრეებზე მუშაობამ მიიყვანა პარმენ ზაქარაია არქეოლოგიური გათხრების ჩატარების აუცილებლობამდე. და მეცნიერმა დაიწყო „დიდი და ხანგრძლივი ბრძოლა, რასაც სჭირდება წლები და დიდი ბეჯითობა... ურბნისი, ნადარბაზევი, გრემი, ნოსტე, ჭაქვინჯი, ბოლოს კი ნოქალაქევი... სულ უნდა ეძებო, სულ უნდა იბრძოლო“, რადგან ,სათავე ამ ძიებისა ციხესიმაგრეებია, ანუ „ჩვენი ერის ბრძოლის ისტორიაა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის.“ [ციციშვილი ი. „ძეგლის მეგობარი“ #4, 1999].

ამ თვალსაზრისით, ნოქალაქევის ნაქალაქარი იღბლიანი ძეგლი აღმოჩნდა, მას მუდამ სწავლობდნენ და სწავლობენ, მისთვის იბრძოდნენ და იბრძვიან, მკვლევართა თაობები იცავდა და იცავს სამეგრელოსა და საქართველოს ამ ცადატყორცნილ ღირსებას, რომელიც ზურმუხტოვანი ტეხურის სანაპროზეა განფენილი და ციხეგოჯ-არქეოპოლისად მოიხსენიება.

ნოქალაქევის არქეოლოგიური შესწავლა ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის 30-იან წლებში დაიწყო აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით (ექსპედიციას ხელმძღვანელობდა ფრაიბურგის უნიერსიტეტის პროფესორი ალფონს მარია შნაიდერი. მასთან ერთად მუშაობდნენ გიორგი გოზალიშვილი და ლევან მუსხელიშვილი). 2020 წელს კი 20 წელი შესრულდა მას აქეთ, რაც არქეოპოლისში ქართულ-ბრიტანულმა საერთაშორისო ექსპედიციამ დაიწყო მუშაობა. ასე რომ, ამ მასშტაბური ძეგლის კვლევის ისტორიაც მასშტაბური გახლავთ.

საინტერესოა, როგორ შეისწავლებოდა და შეისწავლება ნოქალაქევი? გაზარდა თუ არა წარმატებულ მკვლევართა პლეადა? რა საგანმანათლებლო პოტენციალს ინახავს და გასცემს? და როგორი იყო ქართულ-ბრიტანული ექსპედიციის 2020 წლის საიუბილეო „ონლაინ სეზონი“?

ნოქალაქევის ნაქალაქარის დღევანდელი მდგომარეობისა და წლების განმავლობაში, იქ მიმდინარე სამუშაოების შესახებ „ონლაინ არქეოლოგიის“ მკითხველს ექსპედიციის ხელმძღვანელი არქეოლოგიის დოქტორი ნიკოლოზ მურღულია ესაუბრება.

ნოქალაქევის არქეოლიოგიურმა ექსპედიციამ, რომელიც საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა დააფუძნა, მუშაობა დაიწყო 1973 წელს. მისი დამაარსებელი და პირველი

ხელმძღვანელი აკად. პარმენ ზაქარაია გახლდათ. ექსპედიციამ პარმენ ზაქარაიას ხელმძღვანელობით XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისამდე იმუშავა. სამწუხაროდ, გასული საუკუნის 90-იან წლებში, საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური თუ სოციალური მდგომარეობის გამო, ზოგადად არქეოლოგიას ძალიან გაუჭირდა და ნოქალაქევის კვლევაც დროებით შეწყდა.

არქეოლოგიური სამუშაოები განახლდა მე-20 საუკუნის მიწურულს, როდესაც პროფ. დავით ლომიტაშვილის ინიციატივითა და მხარდაჭერით ბრიტანელ კოლეგებთან პირველი კონტაქტი შედგა. 2001 წელს დავით ლომიტაშვილმა თავის მეგობართან და კოლეგასთან, კემბრიჯის უნივერსიტეტის მეცნიერთან, იან კოლვინთან ერთად

დააფუძნა ნოქალაქევის ქართულ-ბრიტანული არქეოლოგიური ექსპედიცია. ექსპედიცია უწყვეტად მუშაობს დღემდე. თუმცა, სამწუხაროდ, სწორედ წელს, როდესაც ქართულ-იბრიტანული ექსპედიციის 20 წლის იუბილე უნდა აღგვენიშნა, ჩვენი კოლეგები საქართველოში ვერ ჩამოვიდნენ, რადგან COVID 19-თან დაკავშირებით მსოფლიოში განვითარებული მოვლენების გამო ყველა საერთაშორისო დონის ღონისძიება შეჩერდა.

ონლაინ სეზონი - 2020 და მისი ეტაპები:

საზღვრების ჩაკეტვის მიუხედავად, ქართულ-ბრიტანული ექსპედიციის ერთობლივი მუშაობა შედგა. უბრალოდ, წელს სრულიად განსხვავებული სეზონი ჩატარდა, ანუ ეს იყო ქართულ-ბრიტანული ექსპედიციის ონლაინ სეზონი. თუ როგორ უნდა ემუშავა საერთაშორისო ექსპედიციას ონლაინ რეჟიმში, ამის შესახებ კომუნიკაციებს ბრიტანელ კოლეგებთან სეზონის დაწყებამდე ვაწარმოებდით და გეგმა-გრაფიკიც წინასწარ გავწერეთ მათთან ერთად. ასე რომ, ჩვენს თანამშრომლობას საზღვრების ჩაკეტვამაც ვერაფერი დააკლო. ანუ, მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანელი კოლეგები და სტუდენტები ვერ ჩამოვიდნენ, ხელისუფლების, პროფესიონალებისა და სხვა კომპეტენტური პირების ძალლისხმევით მოხერხდა ის, რომ ექსპედიციამ მუშაობა 2020 წლის სეზონზეც გააგრძელა. რა თქმა უნდა, წინასწარ მოვიძიეთ და გავითვალისწინეთ ის რეგულაციები, რომლებიც ჯანდაცვის სამინისტრომ გამოსცა ღია სივრცეში სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებით. მოვიმარაგეთ საჭირო აღჭურვილობა - სადეზინფექციო ხსნარები, პირბადეები, სამუშაო ინვენატარი, გავაკარით საინფორმაციო ბანერები, სადაც გაწერილი იყო დაქირავებული მუშახელის ქცევის ნორმები ფორს მაჟორულ სიტუაციაში და ა. შ.

ექსპედიციამ მოახერხა ყველა რეგულაციის დაცვა, ყველა რეკომენდაციის შესრულება, თავის მხრივ, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ შეძლო ექსპედიციისთვის დაფინანსების გამონახვა და ნოქალაქევში სამუშაოდ წამოვიდა სპეციალისტთა მცირე ჯგუფი. სამწუხაროდ, წელს პირველი წელი იყო, როდესაც ვერც ქართველმა და ვერც ბრიტანელმა სტუდენტებმა ველზე ვერ იმუშავეს, მუშაობდნენ მხოლოდ პროფესიონალი არქეოლოგები.

როგორც აღვნიშნე, ექსპედიციის პირველი ეტაპი დაიგეგმა ინტერნეტის საშუალებით, ანუ ვირტუალური საუბრების შედეგად გადავწყვიტეთ რა უნდა გაგვეკეთებინა. მუშაობის დროს ყოველდღიურ რეჟიმში ასევე ვირტუალურად ვაჯამებდით შედეგებს და ვცვლიდით მოსაზრებებს, ანუ ეს გახლდათ ონლაინ კონსულტაციების ეტაპი, რაც გულისხმობს აზრთა შეჯერებას, ჯანსაღ სამუშაო პროცესს. გვიხარია და გვეამაყება, რომ ჩვენი საერთო იდეა გახლდათ ბრიტანული წარმომადგენლობის (თუნდაც სიმბოლური) ჩართვა ექპედიციის მუშაობის პროცესში.

წელს ქართულ-ბრიტანულ ექსპედიციას ბრიტანეთის ელჩი, ბატონი ჯასთინ მაკკენზი სმითი ეწვია, ადგილზე მოინახულა ძეგლი, გამოხატა მხარდაჭერა და ღიად განაცხადა, რომ ეს პროექტი, რომელიც საამაყოა, როგორც ჩვენთვის, ისე დიდი ბრიტანეთისთვის, ყველაზე გრძელვადიანი ფორმატია სამეცნიერო თანამშრომლობისა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში. მან სრული მხარდაჭერა აღგვითქვა და აღნიშნა, რომ პროექტი კიდევ მრავალი წელი გაგრძელდება.

ქართულ-ბრიტანული ექსპედიციის მუშაობის სპეციფიკა და 300 ახალგაზრდა სპეციალისტი

ექსპედიცია რამდენიმე ძირითადი მიმართულებით მუშაობს. პირველ რიგში ტარდება სამეცნიერო, არქეოლოგიური მულტიდისპლინარული კვლევები, მაგრამ, ჩვენთვის განსაკუთრებულად საამაყოა ექსპედიციის საგანმანათლებლო სისტემა, რომელიც გულისხმობს ქართველ და უცხოელ სტუდენტთა ტრენინგებს, რაც ნოქალაქევში 2001 წლიდან მიმდინარეობს და დღემდე გრძელდება. ამ ცხრამეტი წლის განმავლობაში ციხეგოჯში, კურსის ფარგლებში პრაქტიკა გაიარა 300-მდე სტუდენტმა. ჩვენ ვხელმძღვანელობთ მიზანმიმართულად გაწერილი პროგრამით, რომელიც მოიაზრებს ბრიტანული მეთოდოლოგიით სწავლებას, როგორც თეორიის ფარგლებში, ისე საველე პირობებში, ვიყენებთ ყველა კომპონენტს: ჩახაზვა, ფოტოგრაფირება, საველე დოკუმენტაციის შევსება, კონსერვაცია და სხვ. ვფიქრობ, საამაყოა, რომ ნოქალაქევმა უკვე 300 სტუდენტი გაზარდა.

ერთი სიტყვით, ზოგადად ექსპედიციის მთავარი ხაზი, გარდა სამეცნიერო კვლევების

წარმოებისა, საგანმანათლებლო მიმართულებაა - სტუდენტების ჩართულობა კვლევის პროცესში და მათი პროფესიონალური აღზრდა. სხვათა შორის, ამ 300 სტუდენტთაგან ერთ-ერთმა რამდენიმე წლის წინ დიდ ბრიტანეთში, ინგლისის მეფის, რიჩარდ მესამის საფლავი გახსნა და გაწმინდა. ნოქალაქევის საველე პრაქტიკებში სტუდენტები მონაწილეობდნ არა მარტო ბრიტანეთიდან, არამედ, არაბეთის გაერთიანებული საემიროებიდან, ავსტრალიიდან, კანადიდან, ბელგიიდან, საფრანგეთიდან, პოლონეთიდან, გვატემალადანაც კი.

ყოფილა ასეთი შემთხვევაც - დუბაიში შეხვედრიან ერთმანეთს ავსტრალიელი და კანადელი სტუდენტები, რომლებიც არ იცნობდნენ ერთმანეთს და საუბარში გამოვლენილა, რომ სხვადასხვა დროს ყოფილან ნოქალაქევში... ასე რომ, ნოქალქევის სკოლა უკვე მსოფლიო მნიშვნელობის საერთაშორისო სკოლა გახლავთ.

და ამ მნიშვნელობას დიდად განაპირობებს თვითონ ძეგლიც, როდესაც ასეთი სირთულის გრანდიოზულ ძეგლთან გაქვს შეხება, სხვანაირი პასუხისმგებლობით, ინტერესითა და აღმაფრენით ეკიდები საქმეს და, შესაბამისად ვითარდები პროფესიული კუთხით.

რაც შეეხება ნოქალაქევის სამეცნიერო შესწავლის საქმეს:

ამ ეტაპზე სამივე თხრილზე მოვახერხეთ სხვადასხვა მასშტაბის არქეოლოგიური სამუშაოების წარმოება. E თხრილზე ძალიან საინტერესო წინარე და ადრეანტიკური ხანის ეული ფენები დავადასტურეთ. აქვე იკვეთება სავარაუდო თავდაცვითი თხრილის კონტურები. დანარჩენ ორ თხრილს წლების განმავლობაში ვიკვლევთ კოლეგებთან ერთად, ერთ მათგანზე ადრეანტიკური და ელინისტური ხანის ძალიან საინტერესო კოლხური დასახლება შეისწავლება თავისი არქიტექტურითა და შესაბამისი პერიოდის კულტურული ფენებით, ხოლო მეორე თხრილზე (G) დადასტურებული გვაქვს ქალაქობის დროინდელი სასიარულო დონე მოკირწყლული კერამიკული ფილებით, აქ არის იატაკები, ნაგებობების ხაზები და სხვ. გამოვლენილი დონე, ჯერჯერობით მხოლოდ გაწმენდის ეტაპზეა და დანამდვილებით არ შეგვიძლია ვთქვათ თუ რა დანიშნულების იყო, ამას მხოლოდ მომავალი გათხრები გვიჩვენებს.

ერთი თხრილი წელს დავხურეთ, ვინაიდან ყამირზე დავედით. ის სრულად შევისწავლეთ და უახლოეს ხანებში მოხდება მისი რეკულტივაცია. დანარჩენ 2 თხრილზე, სადაც ელინისტურ და ადრეანტიკურ ფენებს ვამუშავებთ, ძალიან საინტერესო შედეგები გვაქვს. არქეოლოგიური შედარებითი ქრონოლოგიის გარდა, რა თქმა უნდა ვიყენებთ რადიოკარბონული დათარიღების მეთოდსაც, რაც გლაზგოს უნივერსიტეტში ხდება. ჩვენ იქ ვაგზავნით როგორც ნახშირს, ისე ძვლოვან მასალას, მათგან ვიღებთ ქრონოლოგიებს და ძალიან საინტერესო შედეგები გვაქვს. ცხადია, ყველა ეს შედეგი ქვეყნდება ყოველწლიური ანგარიშების სახით, ასევე, ნოქალაქევისა და ზოგადად, კოლხეთისა და ეგრისის სამეფოების შესახებ, ვამზადებთ და გამოვცემთ სამეცნიერო სტატიებს და ნაშრომებს სხვადასხვა ქართულ და საერთაშორისო რეფერირებად გამოცემებში და ა.შ.

2020 წლის ონლაინ სეზონი ქართულ-ინგლისური ექსპედიციისთვის არა მხოლოდ პროფესიული, არამედ დიდი ემოციური გამოცდა აღმოჩნდა, როგორც ინგლისელებისთვის ისე, ჩვენთვის. საქმე ის არის, რომ უკვე 19 წელია ყოველ ზაფხულს ერთად ვფიქრობთ, მივეჩვიეთ ამ შესანიშნავ ძეგლზე ერთად მუშაობას... წელს კი ყველაფერი სხვაგვარად მოხდა. თუმცა, მრავალწლიანი თანამშრომლობისა და მეგობრობის გამო, მაინც გადავჭერით თითქოს გადაუჭრელი ამოცანა და მიუხედავად ყველაფრისა, გამოსავალი მაინც მოიძებნა — ექსპედიციის მე-20 საიუბილეო სეზონი, მოკრძალებულად, მაგრამ მაინც შედგა.

20th Anniversary of Georgian-British Archaeological Expedition of Nokalakevi and the Online Season – 2020

"Fortresses are the history of Georgia", said Irakli Tsitsishvili and he believed that it was workings on fortresses that led Parmen Zakaraia to identify the necessity of conducting archaeological excavations. Therefore, the scholar embarked on "serious and long-term fight which takes years and great diligence... Urbnisi, Nadrbazevi, Gremi, Noste, Chakvinji, and, finally, Nokalakevi... One should never give up seeking and fighting", as the origins of this pursuit are fortresses, which means that "they are the history of the fight of our nation for independence and freedom" [Tsitsishvili I. Dzeglis Megobari N4, 1999].

In this respect, the city-site of Nokalakevi turned out to be very lucky. It has always been researched, fought for, generations of scholars have advocated this dignity of Samegrelo and Georgia, which extends on the bank of the Tekhura and is referred to as Tsikhegoji-Archaeopolis.

Archaeological investigation of Nokalakevi started on the initiative of Academician Ivane Javakhishvili as early as in the 1930s (the expedition was led by Professor Alfons Maria Schneider of Freiburg University. Giorgi Gozalishvili and Levan Muskhelishvili were working with him). In 2020 it has been twenty years since a Georgian-British international expedition started working in Archaeopolis. Therefore, the history of investigation of this site is as large-scale as the site itself.

How was Nokalakevi investigated then and how is it investigated now? Has it brought up successful scholars? What is the educational potential that it reserves and gives away? What was the jubilee 'online season' of 2020 of the Georgian-British expedition like?

Archaeologist Dr. Nikoloz Murghulia, head of the expedition, speaks to the reader of 'Online Archaeology' about the present situation and the works conducted on the city-site of Nokalakevi for years.

Established by the Georgian National Museum, the archaeological expedition of Nokalakevi started work in 1973. The founder and the first leader of the expedition was Acad. Parmen Zakaraia. The expedition continued working on the site until the early 1990s. Unfortunately, due to Georgia's political-economic and social conditions in the 1990s, archaeology, in general, went through hard times and the investigation of the site ceased for some time.

Archaeological works resumed at the end of the 20th century, when, on the initiative and with support of Prof. David Lomitashvili, first communication with British colleagues took place. In 2001, David Lomitashvili established a Georgian-British archaeological expedition

together with his friend and colleague, Ian Colvin of Cambridge University. The expedition has unceasingly been carrying out work to the present day. However, regrettably, this year, when we were planning to celebrate the 20th anniversary of the Georgian-British expedition, our colleagues were unable to arrive in Georgia, as all the international events were cancelled in the world due to COVID 19.

Online Season – 2020 and its stages:

Despite the lockdown of the countries, joint work of the Georgian-British expedition still took place. But this year it was so different – it was the online season of the Georgian-British expedition. Communication with the British colleagues concerning how the international expedition was going to work was conducted prior to the beginning of the season and the schedule was elaborated in advance. Thus, our cooperation did not suffer much because of the lockdown. In other words, although the British colleagues and students were unable to visit Georgia, we still managed to continue work in 2020 campaign as well with the help of the authorities, professionals and other competent persons. Indeed, we sought out and considered the regulations issued by the Ministry of Health with respect to working in the open space. We stocked up on the necessary equipment – disinfectant liquids, masks, equipment, put up information banners which provided rules of conduct of the workforce in force majeure, etc.

The expedition managed to comply with all the regulations, follow all the recommendations. On the other hand, the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia managed to allocated finances for the expedition and a small group of specialists was sent to work in Nokalakevi. Regrettably, it was the first time in 20 years that Georgian or British students were unable to do field work - there worked only professional archaeologists.

As mentioned above, the first stage of the expedition was planned to take place via the internet, which means that as a result of virtual meetings we decided on our further activities. In the course of cooperation, we discussed the results on daily basis and swapped opinions. It was one stage of online consultations which included a healthy working process and compilation of opinions. We are happy and proud that our common idea was to involve the British representation (even symbolically) in the process of working of the expedition.

This year the Georgian-British expedition was visited by the British Ambassador, Mr. Justin McKenzie. He looked around the site, expressed his support and openly declared that it is a project not only we, but Britain, too, must be proud of, that it is the longest running project of scientific cooperation in the history of independent Georgia. He promised full support and noted that the project would continue for many more years.

Specificity of operation of the Georgian-British expedition and 300 young specialists

The expedition is working in several principal directions. First, scholarly, archaeological multidisciplinary research is conducted, but we are particularly proud of the educational system of the expeditions that implies training of Georgian and British students, which has been going on since 2001. Over these 19 years nearly 300 students have done practical course in Tsikhegoji. We are guided by a specially developed program which implies teach-

ing according to British methodology, including both theoretical and field work. We employ all the components: drawing, photographing, filling out field documentation, conservation, etc. I think, the fact of bringing up 300 students in Nokalakevi is the subject to be proud of.

In general, apart from scientific research, the expedition focuses on the educational direction – students' involvement in the process of investigation and bringing up professionals. By the way, several years ago, one of these 300 students opened the grave of the king of England Richard III in Britain and cleaned it. Not only British students, but those from the United Arab Emirates, Australia, Canada, Belgium, France, Poland, Even Guatemala, have taken part in the practical field work at Nokalakevi.

There have been occasions, when, during the conversation in Dubai, Australian and Canadian students who did not know each other found out that they had been to Nokalakevi at different times... Thus, Nokalakevi school has grown into an international school of worldwide importance.

And this importance is largely conditioned by the site itself: when one is dealing with such a grandiose, complex monument, they develop special responsibility, interest and inspiration and, accordingly, grow professionally.

About scientific investigation of Nokalakevi

At this stage we managed to carry out archaeological work on all three trenches. Trench E yielded very interesting pre- and Early Classical period strata. Outline of a presumable moat is identifiable here. The other two trenches have been investigated together with colleagues for years. A very interesting Colchian settlement with its architecture and cultural layers of the Early Classical and Hellenistic epoch is being studied on one trench, while on the other trench (G) we have evidenced the walking level paved with ceramic tiles, floors, contours of constructions, etc. of the urban period. The revealed layer is still being cleaned and we cannot claim what function it had. It will become known as a result of further excavations.

We closed one trench this year as we reached the virgin land. It has been completely studied and its re-cultivation will occur in the near future. The other two trenches, where we processed Hellenistic and Early Classical layers, revealed very interesting results. Apart from comparative archaeological chronology, we, indeed, make use of the method of radiocarbon dating, which takes place at Glasgow University. We send both the coal and the bone material, receive chronological data from them and the results are rather fascinating. Naturally, all the outcomes are published in the form of annual reports; in addition, we prepare and publish scholarly articles and works about Nokalakevi and, in general, the kingdoms of Colchis and Iberia in various Georgian and international peer-reviewed editions, etc.

The online season of 2020 turned out to be not only professional, but also emotional challenge for the Georgian-British expedition. The point is that we have been contemplating together every summer for 19 years and we have got accustomed to working together on this wonderful site. However, everything changed this year. But due to our many years' cooperation and friendship, we managed to handle this task despite all the obstacles and found a way out – the jubilee 20th season of the expedition was modestly, but still accomplished.

გურამ გრიგოლია

ქართული არქეოლოგიის ახალ თაობად, გარკვეულ დრომდე, 30-იანი წლების არქეოლოგიის ლიდერები მოიაზრებოდნენ, სწორედ მათ იტვირთეს დიდი მცხეთისა და საქართველოს არაერთ ისტორიულ რეგიონში მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენისა და შესწავლის მისია. ამ თვალსაზრისით, მცხეთის, არმაზისხევის ძეგლების ფუნდამენტური გამოკვლევა და გამოცემა ფრიად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ძველ თაობას კი მკვიდრად წარმოადგენს ახალი დროის პირველი ქართველი არქეოლოგი პროფ. გიორგი ნიორაძე, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა თანამედროვე არქეოლოგთა საუნივერსიტეტო და საველე არქეოლოგიის სწავლების საქმეში, თუმცა, თაობათა ცვლილების ამგვარ სქემას რომ მივსდიოთ, ძველი თაობის კიდევ ერთი ეტაპის უაღრესად დიდი წარმომადგენლები დიმიტრი ბაქრაძე და ექვთიმე თაყაიშვილიც უნდა დავასახელოთ... რადგან არქეოლოგიურ კვლევათა მნიშნელოვანი ქართული ეტაპი სწორედ მათ დაიწყეს; აქ აღსანიშნავია ლევან მუსხელიშვილიც, რომელიც მონაწილეობდა გასული საუკუნის 30-იანი წლებში, მარია შნაიდერის ხელმძღვანელობით ჩატარებული ნოქალაქევის კამპანიასა და დმანისის ნაქალაქარის გათხრებში. ამ ადრეული ეტაპის, კერძოდ მცხეთის ძეგლების შესწავლის სათავეებთან ივანე ჯავახიშვილი და სიმონ ჯანაშია იდგნენ...

სურათზე: გ.გრიგოლია დაზვერვებზე კოლხეთში (ხობის მუნიციპალიტეტი).

ამ პერიოდის წარმომადგენელთა დიდ ნაწილს ხანმოკლე სიცოცხლე დაებედა, მაგრამ მათ დატოვეს მთელი პლეადა მოსწავლეებისა, რომელთაც დიდი ღვაწლი მიუძღვით ძეგლების შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეში... ერთ-ერთი მათგანი, პროფ. გურამ გრიგოლია, სულ ახლახან გარდაიცვალა... სწორედ ის ეკუთვნოდა უკვე ჩვენი დროის რიცხვმრავალ ახალგაზრდა თაობას, რომელიც თავისი სწავლებითა და საქმიანობით ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტს დაუკავშირდა. ახლა უკვე ბევრად უფრო ფართოა თანამედროვე არქეოლოგთა საველე და პროფესიული საქმიანობის ასპარეზი... მცხეთასა და საქართველოს სხვა ისტორიულ რეგიონებში (ქვემო ქართლი, რაჭა და სხვ.) ფართოდ გაშლილი არქეოლოგიური და ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის ძიებანი ისევ ინტენსიური გახდა.

...მოხდა ისე, რომ უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე, გურამ გრიგოლიამ, საველე-არქეოლოგიურ და ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიციების აქტიურმა მონაწილემ, ინსტიტუტის დირექტორის, აკად. ნიკო ბერძენიშვილის ყურადღების მიიქცია; ამას ქ-ნ ნ. კილაძის (ბერძენიშვილის) ექსპედიციებში მისი ჩართულობაც განაპირობებდა. ასე გამოიკვეთა ადრეულ ეტაპზე გურამის არქეოლოგიაში საქმიანობის პროფილიც; დასაწყისში იგი ქვემო ქართლის ძეგლებს, კერძოდ კი წოფს იკვლევდა და მისი პირველი ნაშრომიც ამ ძეგლს დაუკავშირდა. ბოლო დრომდე გურამ გრიგოლია ამ რეგიონისა და არქეოლოგიისადმი ინტერესს არ კარგავდა და ძველი დაზვერვების მონაცემების სამუშაოების გაგრძელებაც კი შეძლო (თუმცა კი, უკვე მძიმე ავადმყოფმა), როცა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს დირექციის დიდი ხელშეწყობითა და საქართველოს უნივერსიტეტთან თანამშრომლობით არქეოლოგიური სამუშაოები განახორციელა ბოლნისის მუნიციპალიტეტში, ორთვალა მღვიმესა და მის ტერიტორიაზე. მისმა ექსპედიციამ ქვის ხანის მღვიმის მონაკვეთში ადრე შუა საუკუნეების სატაძრო კომპლექსი გამოავლინა ასომთავრული წარწერებით (აქ, რთულ რელიეფზე, ტერასულ დასახლებათა მნიშელოვანი ნაშთების დადატურების შესაძლებლობაც ივარაუდება...).

საქართველოში არქეოლოგიუირი კვლევების იმ საწყის პერიოდში, როცა ე.წ. „გორაების“ თეორიამ პოპულარობა მოიპოვა და ნასახლართა არქეოლოგიური შესწავლაც დაიწყო, ხოვლეგორის (კასპის მუნიციპალიტეტი) გათხრებში აკად. ბერძენიშვილი ხელმძღვანელობით, ახალგაზრდა თაობის დიდ ჯგუფთან ერთად, გურამ გრიგოლიაც ჩაერთო... მაგრამ, მისი ძირითადი კვლევები, მაინც ისტორიულ კოლხეთს უკავშირდება... არ დარჩენილა თითქმის არც ერთი კუთხე ამ მხარისა, სადაც მისი ტრადიციული წერაქვი მიწას არ შეხებოდა... ამ ეტაპის კვლევის გათხრები ისევ პრეისტორიული, უფრო ქვის ხანის ძეგლებს დაუკავშირდა; იგულისხმება ფართო და მნიშვნელოვანი გათხრები აფხაზეთში ქ-ნ ნინო ბერძენიშვილის თაოსნობით დაგეგმილ სამუშაოებში, კერძოდ, იაშთხვის მთის პირველყოფილი ნასახალარის კვლევა, როცა ზუსტდებოდა

მისი სტრატიგრაფია. ამ და სხვა კვლევებით მიღებული მონაცემები, აგრეთვე, მნიშვნელოვანი ილუსტრაციები პრეისტორიული ხანის აფხაზეთის ძეგლებისადმი მიძღვნილი, ვრცელი ნაშრომის I ტომში გამოქვეყნდა (რედ. მ. ბარამიძე). აქაც და სხვაგანაც, აფხაზეთში, ასევე ცენტრალურ კოლხეთში, გურამ გრიგოლია შეისწავლიდა და აქვეყნებდა ნაშრომებს არა მარტო ქვის ხანის ძეგლებზე (მაგ., ცნობილია მისი მონოგრაფია: „ცენტრალური კოლხეთის ნეოლითი. „პალური“, თბ.1977), არამედ არქეოლოგიისა და ისტორიული გეოგრაფიის საკითხებზეც (მაგ.: „ეგრის-ლაზიკის სამეფოს საისტორიო გეოგრაფიის პრობლემები“, თბ. 1994 და სხვ.). ეს პუბლიკაციები ხანგრძლივი საველე სამუშაოების შედეგების განზოგადება გახლავთ.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს დასავლეთ საქართველოს არაერთ რეგიონში მისი ხელმძღვანელობით განხორციელებული ისტორიულ-გეოგრაფიული ხასიათის დაზვერვები. იგი მონაწილეა აკად. ნ. ბერძენიშვილის თაოსნობით სვანეთში მოწყობლი ექსპედიციებისა. ბევრმა დღეს არც კი იცის, რომ გურამ გრიგოლია პირველია მათ შორის, ვინც აკად. ნ. ბერძენიშვილის დავალებით პირველი საძიებო, გათხრითი სამუშაოები განახორციელა დღეისთვის საყოველთაოდ ცნობილ, სვანეთის მნიშვნელოვან არქეოლოგიურ ძეგლ ეცერის გორანამოსხლარზე.

ძალიან საინტერესო და შედეგიანი იყო გურამ გრიგოლიას ხელმძღვანელობით დაგეგმილი დასავლეთ საქართველოს სადაზვერვო ექსპედიციის საქმიანობა; ცენტრალური კოლხეთისა და მდ. ფაზისის (რიონის) ხეობის ძეგლების, მეტადრე, თვით ქალაქ ფაზისისა და მისი „ქვეყნის“ არქეოლოგიური ძიება. ამ მხრივ აღსანიშნავია ხელოვნური ბორცვების ცალკეული ჯგუფების მიკვლევა მდ. რიონის შუა წელსა და მისგან დასავლეთით. ამათგან, განსაკუთრებით აღსანიშნავია ბორცვი „ნამარნუ“ სოფ. კეთილართან, სადაც შემდგომი კვლევებით, ანტიკური ხანის ნასახლართა ნაშთები იყო გამოვლენილი. პროფ. გრიგოლიას მოსაზრებით, ბორცვი „ნამარნუ“ წყაროებში მითითებული, ძველი კოლხეთის მნიშვნელოვანი ცენტრიც შეიძლებოდა ყოფილიყო. ფაზისის თემასთან დაკავშირებით საინტერესოა პროფ. გ. გრიგოლიას დაზვერვები ჯერ კიდევ დიუბუა დე მონპერეს მიერ მიკვლეული რომაული ხანის ფაზისის „ნაჯიხუს“ მონაკვეთში, კერძოდ, მის მიერ გაჭრილი თხრილის (თუ თხრილების) მასალები, ძირითადად სწორედ ამ ხანას ეკთვნის, ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რადგან ძეგლი ფოთის აეროპორტის მშენებლობის დროს თითქმის გაანადგურეს.

ბ-ნ გურამის თაობის კოლეგების საველე საქმიანობის ერთი მნიშვნელოვანი დეტალი საველე დღიურების დიდი სიბეჯითით შედგენა გხლდათ. ამ მხრივ იგი მართლაც გამორჩეული იყო. როდესაც სოხუმის უნივერსიტეტის რექტორატისა და არქეოლოგიური ინსტიტუტის ინიციატივითა და გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტთან თანამშრომლობით ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთში, კერძოდ ხობისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტებში არქეოლოგიურ სამუშაოებს ვგეგმავდით, გურამი 44 წლის წინანდელი დღიურების მონაცემებზე დაყრდნობით ხშირად ამახვილებდა ჩვენს ყურადღებას მნიშვნელოვან ძეგლებზე, მაგ., „ოტორონჯე“. ეს ძეგლი მართლაც კოლხეთის დაბლობის შემაღლებული რელიეფის მქონე მონაკვეთის ფარგლებში, თხრილით

განმხოლოებული ერთი ხელოვნური ბორცვი და სამომავლო არქეოლოგიური სამუშაოების ობიექტი აღმოჩნდა. ასეთი მონაცემები მის დღიურებში ვინ იცის რამდენია...

ბოლო რამდენიმე წელი მძიმე სენით შეპყრობილი მეცნიერი დიდ პრობლემებზე, მაგ., ფაზისზე, ძველი გატაცებით ვეღარ საუბრობდა... ალბათ, ფიქრობდა, რომ ფაზისის ძიების მისია ახალმა თაობამ უნდა იტვირთოს. გურამი ენერგიულად მონაწილეობდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არქეოლოგიური კომისიის საქმიანობაში და ზოგჯერ სწყინდა კიდეც, როცა ვუფრთხილდებოდით...

გურამ გრიგოლია ქართული არქეოლოგიისადმი საქმიანი ერთგულებით გამოირჩეოდა და ასეთივე მეგობრული ერთგულებით დაგვამახსოვრა თავი, რაც მისაბაძია და მისი არდავიწყების წინაპირობა გახლავთ.

ვახტანგ ჯაფარიძე

Guram Grigolia

Up to a certain time, leaders of archaeology of the 1930s had been recognized as a new generation of Georgian archaeology. It was this generation that took on uncovering and studying of important archaeological sites of Greater Mtskheta and other historic regions of Georgia. In this respect, comprehensive investigation and publication of the sites of Armaziskhevi, Mtskheta, was a significant event. However, the first Georgian archaeologist of the new era is firmly represented by Prof. G. Nioradze, who has made a lot of contribution to teaching a new generation of archaeologists academic and field archaeology... However, if we follow this pattern of generation change, we are obliged to name great representatives of another stage of the old generation – D. Bakradze and E Takaishvili, as they were the ones who embarked on a really important Georgian phase of research. Here we should also mention L. Muskhelishvili, who participated in Nokalakevi campaign under the leadership of M. Schneider in the 1930s, conducted excavations at Dmanisi city-site and did interesting research. I. Javakhishvili and S. Janashia headed investigation of the sites of Mtskheta... For some reason, there was an established opinion that most of the representatives of this new generation were destined to live short lives, but they produced a pleiad of disciples who did excellent job in researching and promoting the sites. One of these outstanding people - Prof. Guram Grigolia passed away recently ... He belonged to the young generation of our times whose teaching and other activities were closely connected to I. Javakhishvili State University and I. Javakhishvili Institute of History of the Georgian Academy of Sciences. Presently, the choice of field and professional activities of the large new generation is wide-ranging their archaeological and historical-geographical pursuits are going on rather intensively.

It happened so that on graduating from the university, G. Grigolia, an active participant of field-archaeological and historical-geographical expeditions, drew attention of Acad. N. Berdzenishvili, Director of the institute. It was also conditioned by his participation in Mrs. N. Kiladze's (Berdzenishvili's) expeditions and at an early stage the profile of his activities in archaeology took a definite shape. In the beginning, he investigated the sites of Kvemo Kartli, specifically, Tsopi, and his first work was connected to this very site. G. Grigolia's interest in this region and archaeology did not fade until recently and he even managed to continue work according to the former prospecting data with great support of the management of the National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia: he carried out archaeological works at Ortvala Mghvime and its environs, Bolnisi Municipality, in cooperation with the Georgian University. As a result, his expedition revealed an early medieval monastic complex with asomtavruli inscriptions in the Stone Age section of the grotto (there is a possibility of revealing important remains of terrace settlements on this complex terrain).

At an early stage of archaeological explorations in Georgia, when the so-called 'gorebi' (hill) theory became popular and archaeological research of settlement-sites started with the leadership of Acad. Berdzenishvili, G. Grigolia became involved in the excavations of Khovlegora (Kaspi Municipality) together with a large group of the new generation. However, his basic research was still associated with historical Colchis... He excavated every inch of this area. Excavations of this stage were again connected mostly to prehistoric, stone-age sites: there were extensive and important excavations in Abkhazeti under the

leadership of Mrs. Nino Berdzenishvili, specifically, at renowned primitive settlement-site of Mount Iashtkhvi, when they specified the stratigraphy. The data of this and other research were published together with lavish illustrations in volume I of an extensive work dedicated to Abkhazian sites of prehistoric epoch (edited by M. Baramidze). G. Grigolia investigated sites here and elsewhere in Abkhazeti, also in Colchis and published works not only concerning stone-age sites (e.g. his renowned monography 'Neolithic of Central Colchis', Tbilisi, 1977), but also on the problems of archaeology and historical geography (e.g. 'Problems of Historical Geography of Egrisi-Lazika Kingdom", Tbilisi, 1994, etc.), which represent generalization of the outcomes of long-term field works.

Of special interest is historical-geographical prospecting conducted under his leadership in several regions of Georgia. He participated in expeditions arranged by Acad. N. Berdzenishvili. Hardly anyone knows that he was the first to carry out exploratory excavations commissioned by Acad. N. Berdzenishvili at the now famous and important archaeological site of Svaneti – Etsera hill settlement-site.

Remarkable were the outcomes of western Georgia's prospecting expedition planned under the leadership of G. Grigolia, specifically, of the archaeological pursuits of the sites of central Colchis and the River Phasis (Rioni), especially the city of Phasis and its 'country'. In this respect we should mention tracking certain clusters of artificial hills in the middle stretch of the Rioni River and west of it. Most notable is finding hill 'Namarnu' near Village Ketilari, where further investigation revealed remains of vast, mainly Classical-period settlement-sites. Prof. Grigolia suggests that the hill called 'Namarnu' might be an important center of ancient Colchis. With regard to Phasis, special interest is raised by Prof. G. Grigolia's prospecting in the Roman period section of 'Najikhu' tracked down by Dubois de Montpereux, specifically, the material of this period received from the trenches dug by Prof. Grigolia. It is even more significant as the site was badly damaged during construction of Poti airport.

An important detail of field activities of Mr. Grigolia and other scholars of his generation was keeping field diaries with great diligence. He stood out in this respect. When, on the initiative of the rectorate of the Sokhumi University and in cooperation with the German Archaeological Institute we were planning archaeological excavations in north-western Colchis, specifically, in Khobi and Zugdidi municipalities, he put emphasis on some remarkable sites (for example, 'Otoronje') based on the data of his 44-year-old diary. In fact, it is a site set in a raised section of Colchis Plain, on an artificial hill separated with a ditch and a site of further archaeological excavations. His diary contains plenty of such data...

Being gravely ill, during the last years of life, Guram Grigolia did not speak about serious problems, for example, Phasis, with former enthusiasm... He probably thought that this pursuit had to be taken on by a new generation. He took part in the activities of the archaeological commission of the National Agency and was sometimes resented if he was tended carefully... He was distinguished by his loyalty to Georgian archaeology and made us remember him as a loyal friend, which is a perfect precondition for never forgetting him.

Vakhtang Japaridze